ვალერიან ფუცბაია

# აფხაზეთი ჩემი

გამომცემლობა „ფანი“
თბილისი, 1998

რედაქტორი ჯემალ გამახარია
გამომცემელ–რედაქტორი მურმან ზაქარაია

ISBN 99928-57-03-X

# რედაქტორისაგან

ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის პროფესორ ვალერიან ზუხბაიას მორიგი 21 -ე წიგნი პოეტური (გალაქტიონი) სახელწოდებით „აფხაზეთო ჩემო" (ისევე როგორც მისი ადრინდელი გამოკვლევები) მეტად მნიშვნელოვანი, საინტერესო და ორიგინალური ნაშრომია. იგი წარმოადგენს კრებულს პირველი შეხედვით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეცნიერული, მეცნიერულ -პუბლიცისტური, მემუარული და კრიტიკული (რეცენზია) ხასიათის წერილებისა, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებული იყო პერიოდულ -პრესაში. ყველა წერილს აერთიანებს მთავარი იდეა, რომელიც წითელ ხაზად გასდევს წიგნს- აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია პოლიტიკურად, ეთნიკურად, კულტურულად, ასევე ტოპონიმიკის, ბუნებრივი პირობების მიხედვით და სხვა მონაცემებით -უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა ისტორიული კოლხეთის და სრულიად საქართველოს განუყოფელ ნაწილს, ხოლო აფხაზებად წოდებული აფსუები ამ მიწაზე დამკვიდრდნენ XVI-XVII საუკუნეებში.

ვინაიდან ნაშრომი შედგება სხვადასხვა დროს დაწერილი (ძირითადად ბოლო ორ წელიწადში) წერილებისაგან -ამაში ხშირად გვხვდება განმეორებები. აეტორი ამას ზოგჯერ სპეციალურადაც აკეთებს, რათა გაამახვილოს მკითხველთა ყურადღება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე.

განხილული პრობლემების საყუძველიან ცოდნასთან, მათ ღრმა პროფესიულ ანალიზთან ერთად, მკითხველის ყურადღებას უსათუოდ მიიპყრობს აეტორის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, მისი უმშვენიერესი კუთხისადმი- დროებით ოკუპირებული აფხაზეთისადმი, შეურიგებლობა ერთმუჭა სეპარატისტთა ლიდერებისადმი, პატივისცემა და თანაგრძნობაც მწარედ მოტყუებული აფსუა ხალხისადმი, ნოსტალგია მშობლიური მხარისადმი, რომელიც ასეულ ათასობით თანამემამულესთან ერთად იძულებით დატოვა რაღაც სასწაულით სიკვდილს გადარჩენილმა ბატონმა ვალერიანმა, მტკიცე რწმენა და დაუოკებელი სურვილი საოცნებო აფხაზეთში გარდუვალი დაბრუნებისა. ამ რეგიონში ქართული გენისა და სულის ფენიქსივით აღორძინებისა.

წიგნს „აფხაზეთო ჩემო" დიდი ინტერესით წაიკითხავენ აფხაზეთის ისტორიის და ბუნებისმცოდნეობის პრობლემებით დაინტერესებული მეცნიერები, პედაგოგები, სტუდენტები, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

# წინასიტყვაობის მაგიერ

როგორც გელოდებოდა საქართველო ფეხით თუ მანქანით რამდენიმეჯერ მაქვს მოვლილი. მინახავს მარად თოვლიანი მწვერვალები, მოძრაველელი ალპური მდელოები, წაწყვეული თუ ფოთლოვანი ტყეებით დაფარული მთები და ხეობები, გორაკ—ბორცვები. წალკოტად ქცეული ზღვისპირეთი, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები.

ვან იცის, ფეხით რამდენჯერ მაქვს მოვლილი აფხაზეთის მთა და ბარი. ეკოფალეარ აფხაზეთის თითქმის ყველა სოფელში. . მაყვარს აფხაზეთი, სადაც პოეტისა (ალაო მარცხულავა) არ იყოს, „ძველ ლაბაზია. ბარაც ლაბაზი. ცა ფარეოსმანის მოხაგულია". სოხუმი ხომ ერთ-ერთია ულამაზესი ქალაქი იყო შავი ზღვის სანაპიროზე, სად ნახავდით სოხუმისოანი პეიზაჟებს. ან ასეთ ლამაზ ქალაქებს როგორც იყო ახალი ათონი, გაგრა, ბიჭვინთა, კურორტი მაუსერა. თითოეულ მათგანს მე ქებაია—ქება ვუძღვენი.

მაყვარს აფხაზეთის არა მარტო ბუნება, მაყვარს მშრომელი, პატიოსანი, სტუმართმოყვარე აფხაზი (აფსუა) ხალხი. ცხადია. არ მაყვარს აფხაზი სეპარატისტები, აფხაზი ბოევიკები—უდანაშაულო ადამიანთა მკვლელები, მძარცველები. ყოველგვარ ბოროტების ჩამდენნი. მაგრამ, გვჯერა, რომ მოვა დრო და დადგება აფხაზ სეპარატისტთა განკითხვის ჟამი. მინდა მათ ახსოვდეთ შექსპირი: „ბოროტი საქმე დღეს (მზის) სანათლეს ვერსად წაუვა თუნდ დასამალად. დედამიწა ვალდებულია".

შეუძლებელია არ მაყვარდეს საქართველოს. ჩემი მხარის-აფხაზეთის ბუნება. განსაკუთრებით არაცოცხალი ბუნება. რა-დგან ვიცი ტყე გაიჩეხება. ასევე აღსდგება, ტყეში ნადარ—ფრანველი შეშცარდება. ასევე გამრავლდება. მაგრამ ადამიანის

მიერ დამსხვრეული ქვის ძეგლი არასოდეს აღსდგება. ამიტომ ვუძღვენი საქართველოს არაცოცხალი ბუნების ძეგლებს, მაი დაცვას 250 გვერდიანი ნარკვევი. მაგრამ ეღირსება ჩემს ნარკვევს დაბეჭდვა? გაღარჩება მგრის ხელში დარჩენილი ტექსტი?

მოწმე ვიყავი, ათეული წლების მანძილზე აფხაზი სეპარატისტები რომ ამახინჯებდნენ, აყალბებდნენ აფხაზეთის ისტორიას. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტან: რუსებმა აფხაზეთს „სოხუმის ოკრუგი“ უწოდეს, ქართველებმა აღადგინეს მხარის საკუთარი სახელი „აფხაზეთი“. აფხაზი ისტორიკოსი (ს.ლაკობა) კი წერს: „საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა აღედგინა ქვეყნის საკუთარი სახელი „აფხაზეთი“. აი, როგორ შეაფასეს აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველთა კეთილი საქმე.

ორჯერ დაიპყრო რუსეთმა აფხაზეთი, 1810 წელს და 1921 წელს. აფხაზი სეპარატისტი ისტორიკოსები ცდილობენ გაამა-რთლონ რუსული იმპერიალისტური პოლიტიკა და წერენ, რომ 1810 წელს რუსეთმა აფხაზეთს მიანიჭა დამოუკიდებლობა, ავტონომია. რუსეთმა დაიპყრო აფხაზეთი, და ავტონომიაზეა საუბარი?

1921 წელზე აფხაზი ისტორიკოსი წერს: „საქართველოს მთავრობის აგრესიულმა პოლიტიკამ გამოიწვია აფხაზთა უკმაყოფილება და დააჩქარა 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.“ ამ სტრიქონების ავტორია პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე. ნუთუ არ შერცხვა პატივცემულ მეცნიერს, ბატონ ზურაბს ამ სტრიქონების დაწერისა. 1921 წლის 4 მარტს რუსის ჯარმა დაიპყრო სოხუმი და აფხაზეთი, მეცნიერი კი ამ დანაშაულს ქართველებს აბრალებს.

ვერ მოვითმინე ასეთი ფაქტები, ისტორიის ასეთი დამახინჯებანი და მე, გეოლოგმა, სპეციალურად შევისწავლე აფხაზეთის ისტორია. წლების მანძილზე პრესის საშუალებით ვეკამათებოდი, ვაკრიტიკებდი აფხაზ სეპარატისტებს, სამაგიეროდ, ქება—დიდებას ვუძღვნიდი აფხაზ ხალხს, აფხაზეთის ბუნებას. არ მაპატიეს, აფხაზმა ბოევიკებმა, ავტომატიდან ტყვია მესროლეს,

დაბეჭდეს. აფხაზმა სეპარატისტებმა დასახვრეტია საბჭო შეტანეს და რისთვის, ალბათ, იმისათვის რომ ნახევარი საუკუნის მანძილზე ყასწაელადი მათ შვილებს, მათ დებსა და ძმებს.

მახსოვს, როგორი სიძულვილით დაწერეს ჩემს წიგნებზე უარყოფითი რეცენზიები აფხაზებმა გუნბამ თუ მაინმა, თუ დუმაკამ. როგორ არ უნდოდა ჩემი წიგნის გამოცემა პოეტად წოდებულ აფხაზ ბებიას.

სამაგიეროდ, სიხარულს მანიჭებდა, მამხნევებდა. ჩემს წიგნებზე ქართველი მეცნიერების, პროფესორების, ბატონების: გიორგი გვახარიას, გრიგოლ ჭელიძის, მირიან ძველაიას, გიორგი ლომთათიძის, ალექსანდრე კალანდაძის,ალექსანდრე მოწერილიას, აკაკი კერესელიძის,გივი კილასონიას, ბორის კვარაცხელიას, თეიმურაზ მიბჩუანის,ვალერიან ქარჩავას, დოცენტების: იოსებ საღინაძის, კუკური მგელაძის, ილია აფხაზავას ავტორისადმი სიყვარულით დაწერილი დადებითი რეცენზიები.

20 წიგნის და 300—მდე სტატიის ავტორი ვარ. ყველგან ჩანს ჩემი სიყვარული სამშობლოსადმი—საქართველოსადმი. სტატიებზე არ ვილაპარაკებ, მარტო წიგნის სახელწოდებანი კმარა ამ სიყვარულის გამოსახატავად: „რას გვიამბობს საქ-ართველოს მიწა“, „ქართლის ცხოვრების ქვის ფურცლები“ (დაიბეჭდა 20 ათასი ტირაჟით და ერთ კვირაში გაიყიდა), „განძი ქართული მიწისა“, „მტკვარი–საქართველოს დედამდინარე“, „ქართული ოქრო“; წიგნები ჩემს საყვარელ, ამჟამად დანგრეულ ქალაქზე—„სოხუმი“, ჩემს მშობლიურ რაიონზე–„გალი“, მონოგრაფიები: „ქვის კულტურა საქართველოში“, „საქართველოს დეკორატიული და ფერადი ქვები“, „ძვირფასი და სანახელავო ქვები“, ჩემს საგნებში სტუდენტთათვის შედგენილი ხუთი სახელმძღვანელო.

საქართველოს სიყვარულში გავიზარდე, ეს სიყვარული მაცოცხლებს დღესაც და მზად ვარ დავიფერფლო ჩემი სამშობლოს სიყვარულში.

სიყვარულითაა დაწერილი წინამდებარე ნარკვევი „აფხაზეთო ჩემო“.

# I. ბუნება

## აფხაზეთის ბუნებაც ქართულია

აფხაზეთი, როგორც ისტორიული წარსულით, ისე ბუნების პირობებით ქართულია. აფხაზეთის ბუნება მსგავსია დასავლეთ საქართველოს ბუნებისა, მხოლოდ, უფრო ლამაზი და მშვენიერი, ზოგჯერ ოდნავ განსხვავებული. იგი სრულებით არა ჰგავს ჩრდილოეთ კავკასიის ბუნებას, მით უმეტეს—რუსეთისას. ასე, რომ განცხადება (ზ.აჩბა): „აფხაზეთი ეს რუსეთია"(?!) –არც ისტორიული წარსულით და არც ბუნების პირობებით ყოვლად უსაფუძვლო და არასწორია. სად რუსეთის ტუნდრა და სად აფხაზეთის აყვავებული მხარე, სად რუსეთის ერთფეროვანი, თვალუწვდენელი სტეპები და სად აფხაზეთის მოხატული გორაკ—ბორცვები, სად რუსეთის ყინულოვანი ზღვისპირეთი და სად ჩვენი წალკოტი ზღვისპირეთი, სად მდორედ მიმდინარე ვოლგა და სად მოუსვენარი რიონი და ენგური.

მეცნიერებაში მხარის, რეგიონის ფიზიკურ—გეოგრაფიული დახასიათებისათვის გარკვეული თანმიმდევრობა არსებობს. ჩვენც შევეცდებით ამ თანმიმდევრობით აღვწეროთ აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს ბუნება.

აფხაზეთი მთიანი მხარეა, აქ ქედს ქედი მოყვება, მთას—მთა, ხეობას—ხეობა; თითოეულ მათგანს აქვს თავისი სილამაზე და მიმზიდველობა.

რელიეფი დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთისა ერთნაირია; ჩრდილოეთით ორივეს საზღვრავს მარად თოვლიანი კავკასიონის ქედი, კავკასიონის სამხრეთითაც მაღალი მთებია ღრმა ხეობებით, ალპური მდელოებით, ტყის ზონაშიც მთებია, ჯერ წი-

წვიანი, უფრო დაბლა ფოთლოვანი. უფრო სამხრეთით, სადაც მოსახლეობა იწყება, გორაკ—ბორცვიანი ზონაა, რომელსაც დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში აგრძელებს ზღვისპირა დაბლობი – კოლხეთის დაბლობად ცნობილი.

ამ ორი მხარის გეოლოგიური აგებულებაც, გეოლოგიური ისტორიაც თითქმის ერთნაირია. იზოლირებულად გვხვდება კამბრიულამდელი და პალეოზოური მაგმური და მეტამორფული ქანები—გრანიტები, კრისტალური ფიქლები, გნეისები, კვარციტები და სხვა. ტრიასი იშვიათია. უფრო დიდი გავრცელებით სარგებლობს იურული ნალექები. ერთნაირი ქანებითაა წარმოდგენილი ქვედა იურა: თიხა—ფიქლები, ქვიშაქვები; შუა იურის ზედა ნაწილი წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით, თიხა—ფიქლებით; ამ ნალექებთან ტყიბულსა და ტყვარჩელში გვხვდება ქვანახშირი; შუა იურის ქვედა ნაწილში, ორივე რეგიონში ვულკანურ ქანებში (პორფირიტული წყება) გვხვდება ტყვია—თუთია და ბარიტი. ზედა იურა დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში კირქვებითაა წარმოდგენილი, ზოგან კი (აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა) ე.წ. ფერადი წყებით, ჩაკეტილი აუზის ნალექებით თაბაშირთან ერთად. ცარცული ნალექები (როგორც ქვედა, ისე ზედა ცარცული) ყველგან ერთნაირია—ძირითადად კირქვებია.

ერთნაირია პალეოგენი და ნეოგენი

პალეოცენსა და ეოცენში ძირითადად კირქვები და მერგელები გვხვდება, ოლიგოცენი ძირითადად მაიკოპის წყებითაა წარმოდგენილი.

ასევე სრული ჭრილი გვაქვს, წარმოდგენილია ყველა სართული და ჰორიზონტი მიოცენ—პლიოცენისა, სადაც სჭარბობს ქანები: კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები, მერგელები.

მეოთხეული ნალექები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში წარმოდგენილია შავი ზღვის სანაპიროზე ტერასების სახით და კოლხეთის დაბლობზე, სადაც დამარხულია ალუვიური ნალექები მდინარეული ტერასების სახით. მთავარ ქედზე, მდინარე ბზიფის და ფსოუს სათავეებთან, 2000—2200—

მეტრ სიმაღლეზე გვხვდება ახალი მყინვარული ფორმები— კარები და ცირკები. მორენები გვხვდება მდინარეების ლაშიფსეს, ბზიფის, კოდორის ხეობებში.

აფხაზეთში გვაქვს ტყვია—თუთიის, ბარიტის საბადოები, ტყვარჩელში— ქვანახშირი, ნავთობის პერსპექტივები. იგივე შეიძლება ითქვას ოქროზე, თაბაშირზე, ცარცზე, საშენ ქანებზე, თიხებზე, ინერტულ მასალაზე, საცემენტე ნედლეულზე, მინერალურ წყლებზე და სხვა. გვჯერა, რომ აფხაზეთის წიაღისეულის დეტალური შესწავლა გამოავლენს მნიშვნელოვან სასარგებლო ნამარხებს, მადნეულს თუ არა მადნეულს.

აფხაზეთის გეოლოგიური ისტორია ისეთივეა, როგორც მთელი დასავლეთ საქართველოსი. ერთდროულია და ერთნაირი ქანებითაა წარმოდგენილი ინტრუზიები და ეფუზიები. ერთდროულად ხდებოდა ტრანსგრესიები (ზღვის შეჭრა ხმელეთზე) და რეგრესიები (ხმელეთიდან ზღვის უკან დახევა). ერთნაირი იყო ზღვიური და კონტინენტური ნალექები, პალეოკლიმატი—ტროპიკული და სუბტროპიკული ჰავა.

დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში კლიმატიც ერთნაირია — ტენიანი სუბტროპიკული ჰავა, მაგრამ აფხაზეთში დასავლეთ საქართველოსთან შედარებით ჰაერის ტემპერატურა უფრო მაღალია (გაგრა, ახალი ათონი), არაა ძლიერი ქარები, როგორც იმერეთსა და სამეგრელოში. აჭარასთან შედარებით აფხაზეთში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ნაკლებია; ბათუმში წლიური ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 2500 მმ—ია, სოხუმში კი—1300—1400 მმ, მზიანი დღეების რაოდენობა სოხუმში მეტია, ვიდრე ბათუმში.

საქართველოში არსად არაა მთის ისეთი ლამაზი მდინარეები, როგორიც აფხაზეთშია. განსაკუთრებით ლამაზია მდინარეები, ჩანჩქერებად რომ ვარდება მაღალი კლდეებიდან. სილამაზით გამოირჩევიან მდინარეები ლაშიფსე, გეგა, გუმისთა, კელასური, მოქვის შენაკადი დუაბი, რეჩხი და სხვა. აფხაზეთში ბევრია მიწისქვეშა მდინარეებიც. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზების მიერ მჭიშთად წოდებულ მდინარეს მიწის წყალს უწო-

დებს, რადგან იგი დიდი ვოკლუზის—წყაროს სახით გამოდის მიწისქვეშეთიდან. გაგრაში, ზღვისპირას კლდიდან გამოდის მდინარე რეპრაა. მიწისქვეშ რამდენჯერმე იკარგება რიცის ტბიდან გამომდინარე ლაშიფსე. ახალ ათონში, მიწისქვეშეთიდან (კირქვებიდან) გამოდის ანაკოფიის მდინარე (აფსუების მიერ ფსირცხათი შეცვლილი), შემდეგ იკარგება მიწაში და ისევ ზედაპირზე ამოდის, გაივლის რამდენიმე ასეულ მეტრს, ქმნის ჩანჩქერს და მცირე ზომის ტბას და ზღვისპირას ისევ ქმნის ულამაზეს გედების ტბას. სოფელ შრომაში, კამანთან ახლოს (სოხუმის რაიონი) კლდიდან გამოსული მდინარე ქმნის მცირე ზომის ტბას, შემდეგ ნაკადული ერთვის მდინარე გუმისთას. ეს ადგილი ისე მომაჯადოებელია, რომ ხალხი მას წმინდა წყლად მიიჩნევს და სალოცავად დადის. მდინარე გეგას შენაკადი, კლდიდან გამოსული, ქმნის ჩანჩქერს. ეს ადგილი უჩვეულოდ ლამაზია. მომხიბვლელია მდინარე რეჩხის სათავე, იგი ერთ ნაკადად გამოდის მიწისქვეშეთიდან.

საქართველოში აფხაზეთი ითვლება ტბების მხარედ, ტბები აქ ყველგანაა— ზღვისპირეთიდან მაღალ მთიან მხარემდე. სილამაზით ტბების დედოფალია რიცა (და არა რიწა). 50—იან წლებში რომელიღაც აფსუა ჟურნალისტს თვალში არ მოუვიდა სახელწოდება რიცა და იგი შეცვალა რიწად. ჩვენ სპეციალურად გამოვიკითხეთ აფსუებს შორის ტბის სახელწოდება და ყველამ რიცა დაასახელა. მარტო ის კმარა, რომ დიდი გალაკტიონი ტბას რიცას უწოდებს და არა რიწას. შესაძლებელია რიცა ქართული ტოპონიმი იყოს (მსგავსი ტოპონიმი რიცეული გვხვდება რაჭაში). გვინახავს ხანდაზმული ევროპელი ქალი ტბის შემყურე პირჯვარს რომ იწერდა, ამას რას ვხედავო. ლამაზია მთის სხვა ტბებიც: ამტყელი, ყვარაში, ოქრო—წყალი (მარტო სახელწოდება რად ღირს), არანაკლებ ლამაზია ბიჭვინთასთან, ზღვისპირა ტბა ინკიტი, გაგიდის ზღვისპირას მარგალიტიანი ნიჟარებით სავსე მცირე ზომის ტბები, ყოფილი ნამდინარევი— ბებეისირის ტბები გალის რაიონში და სხვა.

ბუნების მშვენება— წყაროები ყველგანაა აფხაზეთში, არა

მარტო მთებში, ვაკე ადგილებშიც. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზღვისქვეშა წყაროები. გაგრის რაიონში, არაბიკის მასივზე, ვერტიკალურ მღვიმეებში ჩადენილი მიწისქვეშა წყლის ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთით მიედინება, რიცის გზის პირას ბზიფის ხეობაში გამოდის მიწისქვეშეთიდან და ქმნის ულამაზეს „ცისფერ ტბას". ამ ტბიდან გამოსული მდინარე, რომლის სიგრძე შვიდი მეტრია, გაივლის ხიდქვეშ და უერთდება მდინარე ბზიფს. ეს არის მსოფლიოში უმოკლესი მდინარე. არაბიკის ვერტიკალურ მღვიმეებში ჩასული წყლის ნაწილი—ჩადის გაგრასთან ზღვის ფსკერის ქვეშ, ისევ ამოდის ზღვის ფსკერზე და გაგრის სანაპიროზე რამდენიმე კილომეტრზეა დასავლეთისაკენ და ცნობილია ზღვის ქვეშა სუბმარინული წყაროების სახელწოდებით. ეს იშვიათი მოვლენაა ბუნებაში, ამიტომ გაგრის სუბმარინული წყაროები მსოფლიო გეოგრაფიაში აღნიშნული აქვს ცნობილ ელიზე რეკლიუს.

რაც შეეხება შავი ზღვის სანაპიროს, იგი ყველაზე ლამაზია სწორედ აფხაზეთის მონაკვეთზე, განსაკუთრებით გაგრის მიდამოებში.

მიწისქვეშა წყლების მოქმედებასთან, ადვილ ხსნად კარბონატულ ქანებთან არის დაკავშირებული ე.წ. კარსტული მოვლენები. აფხაზეთი კარსტული პროცესების კლასიკური მხარეა. რა ფორმები გნებავთ ამ პროცესებისა აქ არ იყოს: მიწისზედა ჩაღრმავებანი თუ მიწისქვეშა სიცარიელეები—მღვიმეები. ბზიფის ხეობაში არის მსოფლიოში ერთ—ერთი უღრმესი თოვლიანი მღვიმე. ულამაზესია ახალი ათონის მღვიმე თავისი მდიდარი სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, სტალაგნატებით, ჰელიქტიტებით, სვეტებითა და ფარდებით. დასავლეთ საქართველოშიც ბევრი მღვიმეა—სათაფლია, ნავენახევი, დევის ხვრელი, ცახი და სხვა. მაგრამ სილამაზით ვერც ერთი ვერ შეედრება აბლასკირის მღვიმეს (ამ მღვიმეს აფსუებმა სახელი შეუცვალეს და აბრსკილი უწოდეს, რადგან აბლასკირი ქართულია, სკირი მეგრულად შვილს ნიშნავს). მისი სიღრმიდანაც გამოდის მდინარე. აფხაზეთში ოხაჩქუეს ქედზე, არაბიკის მასივზე და სხვ. ცნობილია ვე-

რტიკალური მღვიმეები. მღვიმეები ჩვეულებრივ კირქვებთან არის დაკავშირებული, მაგრამ აფხაზეთში მღვიმეები კირქვის ცემენტის მქონე კონგლომერატებშიც გვხვდება (ლიხნი, დურიფში). ასეთი მღვიმეები ბუნების იშვიათი მოვლენაა.

ისე როგორც მთელი საქართველო, აფხაზეთიც მდიდარია მინერალური წყლებით. რა შედგენილობის მინერალური წყალი გნებავთ აქ რომ არ იყოს: ტყვარჩელის წყალტუბოს ტიპის რადიოაქტიური, ბორჯომის ტიპის ავადხარა, ოქუმის ლუგელას ტიპის ქლორკალციუმიანი წყლები; სულფატიანი, რთული მინერალური შედგენილობის წყაროები, მთიან ნაწილში თითქმის ყველგანაა, ისე როგორც სვანეთში, ნახშირმჟავა, მინერალური წყლები. სოხუმი და გაგრა მარტო ზღვისპირა კლიმატური კურორტები არ არის, ბალნეოლოგიური კურორტებიცაა.

ნიადაგთმცოდნე პროფესორი ზახაროვი საქართველოს ნიადაგებს ირანულ ხალიჩას ადარებდა. ხალიჩასავით ჭრელია, ნაირფერი აფხაზეთის ნიადაგები, ისეთი როგორც დასავლეთ საქართველოში. აქ არის მდინარეულ ნალექებზე განვითარებული ალუვიური ნიადაგები, კარბონატული ნიადაგები, ეწერი ნიადაგები, ჭაობიანი ნიადაგები, ყომრალი ნიადაგები და სხვა.

აფხაზეთს სილამაზეს მცენარეულობა ანიჭებს. მთელი აფხაზეთი ერთიანი ბოტანიკური ბაღია ზღვისპირეთიდან თოვლიან მწვერვალებამდე. აფხაზეთის ზღვისპირეთს განსაკუთრებული სილამაზე მიანიჭა სუბტროპიკულ და დეკორატიულ მცენარეთა ინტროდუქციამ, რომელიც დაიწყო მე—19 საუკუნის დასასრულიდან და გრძელდებოდა თითქმის ჩვენს დრომდე. ამის ნათელი მაგალითია სოხუმის ბოტანიკური ბაღი. აფხაზეთის გორაკ—ბორცვიან ზონაშიც კულტურული მცენარეებია, რომლებსაც მაღლა მთებისაკენ ცვლან ფოთლოვანი ტყეები, უფრო მაღლა — შერეული და წიწვიანი ტყეები, კიდევ უფრო მაღლა იწყება ალპური მდელოები — აფხაზეთში იგივე მცენარეები ხარობენ, რაც დასავალეთ საქართველოში. მართალია აქ არა გვაქვს გოდერძისებრი—ორსართულიანი ტყე, რომლის ქვედა სართული გაქვავებულ ტყეს წარმოადგენს და ზედა სართული ჩვეულებრივ

ტყეს. მაგრამ აფხაზეთში (სოხუმის რაიონი, ტყვარჩელი,ახალი ათონის მიდამოები) ნაპოვნი ცალკეული გაქვავებული ხეები ასეთი ტყის არსებობაზე მიგვანიშნებს. მართალია, გაქვავებული ტყეები ჯერ-ჯერობით უცნობია, მაგრამ გვაქვს ბიჭვინთის რელიკტური ფიჭვნარი, მესამეული პერიოდიდან დღემდე შემორჩენილი ტყე. რიცის გზაზე ტყეები ქმნიან განუმეორებელ სილამაზეს და ყოველივე ეს სიზმართან შეხვედრა გგონიათ. ბზიფი—რიცის გზა ულამაზესია ყოველივე იმაზე, რაც ჩვეულებრივ ადამიანის თვალს ბუნებაში უნახავს და ამ სილამაზეს მცენარეულობა — ტყეები ქმნიან.

ცხოველთა სამყაროც ისეთივეა აფხაზეთში, როგორც მთელ საქართველოში. მართალია, აქ ნიამორი და ჯეირანი არ გვხვდება, მაგრამ რიცის ნაკრძალში ჯერ კიდევ ნახავთ ტყის მშვენებას — ირემს, აგრეთვე — შველს, არჩვს, გარეულ ღორს, დათვს, მგელს, მელიას, ტურას.

მდინარე ბზიფის ხეობაში გეოგრაფიული სახელწოდება დომბასტა მიგვანიშნებს არც ისე შორეულ დროში აქ დომბას არსებობაზე.

ზღვის სანაპიროდან კავკასიონამდე აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოში ლანდშაფტები ერთნაირია, მხოლოდ აფხაზეთში უფრო ლამაზია.

ისიც გვინდა დავუმატოთ რომ დასავლეთ საქართველოს ქართველები (და საერთოდ ქართველები) და აფხაზები ანთროპოლოგიურად ერთი და იგივე ხალხია—შავიზღვისპირეთის დასავლეთი ქართული. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ ქართველები და აფხაზები წარმოშობით ერთნაირნი არიან (ეს არ ეხება ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული აფსუების შთამომავლობას).

დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში სოფლებიც ერთნაირია და ლამაზი, სოფლის მეურნეობის დარგებიც ერთნაირი.

მაგრამ აფხაზეთის ზღვისპირა ქალაქები გაგრა, ახალი ათონი, სოხუმი განირჩევა დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან,

პირველ რიგში სილამაზით. გაგრა—მთასა და ზღვას შორის მდებარე ორი ქალაქი და ერთი ქუჩაა თავისი განშტოებებით. როგორც პოეტი ხუტა ბერულავა ამბობს, – გაგრა—შავი ზღვის თეთრი ასულია; აქ კლდეებია თეთრი, ქალაქის ნაგებობანიც ბუნების შესაბამისად თეთრია. სულ სხვანაირია ახალი ათონი, ძველი ანაკოფია, რომელიც ერთ დროს აფხაზეთის აღმოსავლეთი საზღვარი იყო. აქ ბუნებაც თავისებურია და ადამიანის შემოქმედებაც მრავალფეროვანი. აქ მაღალი მთებიცაა—ივერიის მთა, ღრმა ხეობებიც, ზღვისპირა დაბლობიც, მიწისქვეშა მდინარე, ხელოვნური ტბა და მსოფლიო მნიშვნელობის მღვიმე, რომელსაც ჯერ ანაკოფიის მღვიმე უწოდეს, შემდეგ კი ახალი ათონის მღვიმედ შეცვალეს. ჰავა კი აქ ყველაზე თბილია, აფხაზეთში კი არა მთელს საქართველოში. ახალ ათონში დღემდე შემორჩენილია ადრეული შუა საუკუნეების ციხე—სიმაგრეები, სიმონ კანანელის ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეების კოშკები, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგებული მონასტერი; აქ მრავალი სანატორიუმია და დასასვენებელი სახლი, დეკორატიული და ხეხილის ბაღები. მაღლა მთაზე ულამაზესი ადგილებია: „არწივის ბუდე“, „მერცხლის ბუდე“.

სოხუმმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ შეიცვალა არა მარტო სახე, სახელწოდებაც: დიოსკურია—სებასტოპოლისი—ცხუმი—სოხუმი. აფხაზები სოხუმს აყუს ეძახიან, მაგრამ ირკვევა რომ აყუ—აყვაც ქართულია. ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია: „სოხუმის ციხე, ქართულად აყუ ჰქვიან“.

მსოფლიოში ერთ—ერთი ულამაზესი ზღვისპირა ქალაქი სოხუმი ამჟამად თითქმის დანგრეულია აფხაზების მიერ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამჟამად ნანობენ აფხაზები, რომ დაანგრიეს თავიანთი აყვავებული, ლამაზი ქალაქი.

ამგვარად, აფხაზეთი არა მარტო წარსულით—ისტორიით არის ქართული მხარე, არამედ ბუნებითაც, ბუნების ერთნაირი კომპონენტებით.

და აი, ეს ულამაზესი და უმდიდრესი მხარე აფხაზეთი ამჟამად აფხაზი სეპარატისტების მიერ დანგრეულია. გვჯერა, რომ ერთიანი საქართველოს აღდგენის შემდეგ ქართველები და აფხაზები, სხვა ხალხთა დახმარებით აღადგენენ დანგრეულ მხარეს; ასე, რომ, აფხაზეთი უფრო ლამაზი და მშვენიერი გახდება.

## შავი ზღვა

აფხაზეთს სამხრეთ – დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ შავი ზღვის მეოთხეულ ისტორიას.

შავი ზღვის ასაკი ქვედა ან შუა პლიოცენია. პლიოცენისა და მეოთხეულის საზღვარზე არსებობდა ჩაუდური აუზი, რომელიც შეცვალა ძველმა ევქსინურმა აუზმა. მისი საზღვრები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც თანამედროვე შავი ზღვისა. ძველი ევქსინური აუზის ფაუნას კასპიური ხასიათი ჰქონდა (კავშირი იყო კუმა–მანიჩით). თავისი არსებობის ბოლო ხანებში ძველმა ევქსინურმა აუზმა განიცადა მნიშვნელოვანი გამტკნარება.

შავი ზღვის ისტორიის შემდგომი ფაზისი აღინიშნება ხმელთაშუაზღვის ფაუნის დარდანელის სრუტით შემოჭრით უზუნლარულ და კარანგატულ აუზებში. ამ დროს მატულობს მარილიანობა, წყალიც უფრო თბილი იყო (ფაუნით მტკიცდება).

შავი ზღვის ისტორიაში ხმელთაშუაზღვის ფაზისი შეიცვალა კასპიური ფაზისით ანუ ახალი ევქსინური ფაზისით. კარანგატული ეპოქის დასასრულს ადგილი ჰქონდა სანაპიროს მნიშვნელოვან აწევას, აუზის ხელახლა გამოცალკავებას; ახალი ევქსინური აუზის ფართობი ნაკლები იყო კარანგანტულ და თანამედროვე შავი ზღვის ფართობზე. ახალი ევქსინური ეპოქის დასასრულს იწყება ახალი ტრანსგრესიული ფაზისი. გვხვდება გამტკნარების უფრო ამტანი ხმელთაშუაზღვის ფორმები. იწყება ძველი შავი ზღვის აუზის ეპოქა. გოგირდ წყალბადით იწამლება

ზღვის აუზი.

მეოთხეულში გვხვდება ქვედა, შუა, ზედა და თანამედროვე ზღვიური ნალექები ტერასების სახით.

მაგალითისათვის ავიღეთ ბიჭვინთის კონცხი, სადაც ჩაუდურს ზემოთ განლაგებული შრეები ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ქვედა—გვიანი პლეისტოცენი და ზედა—ჰოლოცენი; პლეისტოცენი სამ ნაწილად იყოფა: ქვედა უზუნლარული—თიხნარებით წარმოდგენილი, შუა—კარანგატული და ზედა ევქსინური—თიხები, ქვიშები; ჰოლოცენი—ძირითადად ქვიშა, ხვინჭა და თიხნარებითაა წარმოდგენილი. მდ.ბზიფის ხეობის ტერასები დაფარულია პლეისტოცენური და ჰოლოცენური ნალექებით.

დადგენილია, რომ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში მეოთხეულის დროს იყო დასავლეთისაკენ ფართოდ გაშლილი თხელწყლიანი უბე, რომელიც აღმოსავლეთით მაღლობებით იყო შემოსაზღვრული. ამ უბეში მოლუსკების შემცველ თიხებში გამოყოფილია ძველ ევქსინური, კარანგატული და ახალ ევქსინური უბეები. ძველ ევქსინურსა და კარანგატულ ეპოქებს შორის შავი ზღვისპირეთში დალექილა უზუნლარის ქვიშები და თიხები. ჩაუდურს შემდეგ არჩევენ ხუთ ტერასას, მათ შორის ძველი ევქსინური კარგად ჩანს მიუსერაში (120—130 მ. სიმაღლის), გუდაუთაში (70—75 მ სიმაღლეზე), ახალ ათონში 120 მ სიმაღლეზე. სოხუმში 110 მ სიმაღლეზე, მის რიყნარში აღმოჩენილია მუსტიეს კულტურა.

აფხაზეთის ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო განუწყვეტლივ იცვლებოდა და იცვლება ამჟამადაც. გვაქვს უბნები, სადაც ხმელეთი იწევს ზღვისაკენ, ზოგან კი ჩვენს თვალწინ გაიზარდა ხმელეთი სოხუმში ბესლეთის შესართავთან. ვახუშტი გვიდასტურებს, რომ ანაკოფიასთან ზღვაში ჩაძირული ძველი ნაგებობები მოჩანსო. წარსულში ზღვა გვტაცებდა ხმელეთს, მომავალში ეს არ უნდა განმეორდეს, საქართველოს სადა აქვს მოსატაცებელი მიწა. შავი ზღვა ანიჭებს აფხაზეთს სილამაზეს. განსაკუთრებული სილამაზე გვაქვს გაგრასთან, მიუსერასთან,

ახალ ათონთან.

აფხაზეთის ფარგლებში შავიზღვისპირეთის უძველესი ნალექებია მეხადირსა და გაგრას შორის ცარცული კირქვები, დოლომიტიანი კირქვები, სოფელ „ხოლოდნაია რეჩკასთან"—გვხვდება ქვედა ცარცული კირქვები. ახალ ათონსა და ეშერის მიდამოებში თითქმის ზღვამდე აღწევს ცარცული კირქვები. ზღვისპირას მხოლოდ ვიწრო ზოლშია მეოთხეული ნალექები. ზემო ეშერაში შიშვლდება პალეოგენური კირქვები და მერგელები. მას ზღვის პირას ვიწრო ზოლად მიყვება მეოთხეული ნალექები. მდინარე ბზიფის მარცხენა მხარეზე მდინარე მჭიშთამდე ზღვისპირად შიშვლდება შუა მიოცენური ქვიშაქვები, თიხები , მერგელები, კონგლომერატები. გუდაუთის აღმოსავლეთით მდინარე ააფსთამდე გვხვდება შუა და ზედა მიოცენური თიხები.

ძველ ევქსინური—უზუნლარული ტერასა წარმოქმნის საფეხურს გაგრასთან 60—70 მ.სიმაღლემდე, გუდაუთთან— 45—50 მეტრზე, ახალ ათონთან— 45—48 მ. სიმაღლეზე. კარანგატული მაღალი ტერასა: გაგრა— მიუსერას— 33—34 მ. სიმაღლეზე; გუდაუთა—სოხუმი — 14—24 მ. ტერასის წარმოშობა დაიწყო უზუნლარის ბოლოს და დამთავრდა კარანგატულში. ცნობილია მუსტიეს ნაშთები.

კარანგატული დაბალი ტერასა უფრო ფართო გავრცელებით სარგებლობს დაახლოებით 8—10 მ. სიმაღლეზე. არქეოლოგიურად მიეკუთვნება ზედა პალეოლითს. ახალი შავი ზღვის ტერასა წარმოქმნის 4—6 მეტრის სიმაღლის საფეხურს. შეიცავს თანამედროვე შავი ზღვის ფაუნას.

ქალაქ სოხუმის მიდამოებში აღინიშნება ხუთი ტერასა: იაშთხვის, ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის, ქალაქის პირველი საავადმყოფო და მეოთხე ტერასა, სადაც ამჟამად ქალაქია გაშენებული და მეხუთე, სადაც ამჟამად ზღვის პლაჟია. ქალაქ სოხუმში ხმელეთის ჩაძირვის მაჩვენებელია დაახლოებით 2000 წლის წინათ ჩაძირული ქალაქი დიოსკურია.

ისტორიულ წარსულში და ამჟამადაც შავ ზღვას საქართვ-

ელოსათვის უდიდესი სატრანსპორტო მნიშვნელობა აქვს, საუკუნეების მანძილზე შავი ზღვით შემოდიოდა აფხაზეთში მტერი თუ მოყვარე.

## აქ ყველაფერი მომხიბვლელია

აფხაზეთი მთა—გორიანი მხარეა. სამხრეთ—აღმოსავლეთით, განსაკუთრებით გალის რაიონში გვაქვს დაბლობი—კოლხეთის დაბლობის გაგრძელება, რომელიც დასავლეთისაკენ თანდათანობით ვიწროვდება.

ყველაზე მაღალი ნაწილი აფხაზეთის კავკასიონია (უმაღლესი მწვერვალი დომბაი—ულგენი 4.046 მ.). აფხაზეთის კავკასიონი მოიცავს მთავარ ქედს და მის სამხრეთ განშტოებებს: გაგრის, ბზიფის, კოდორის და ჩხალთის ქედებს. ქედებს შორის მოქცეულია ხეობები: ბზიფის, კოდორის, ჩხალთის, საკენის და სხვა. უღელტეხილებია: კლუხორი, ნაჰარი, მარუხი, სანჭარი და სხვა. აქ ყველგან საცალფეხო გზებია. ქედების ზემო ნაწილში ტროგული ხეობებია: მყინვარული ცირკები, მყინვარული ტბები და სხვა.

აქ არის სიმაღლის მიხედვით სხვადასხვა ლანდშაფტური ზონა: ნივალური და სუბნივალური თოვლითა და მყინვარებით (2500—2900მ. ზემოთ—მაღლა), შიშველი კლდეებით; მომხიბვლელი ალპური ზონა, მუქ—წიწვოვანი—წიფლნარი ტყის ზონა (2000მ. მაღლა), ფართოფოთლოვანი ტყის ზონა (600—800 მეტრიდან 1800—1900მ). უფრო სამხრეთით გორაკ—ბორცვიანი ზონაა ფართოფოთლოვანი ტყით; უფრო ქვევით უკვე დასახლებული პუნქტებია, სადაც პირვანდელი ბუნება მნიშვნელოვანად შეცვლილია.

ლამაზია აფხაზეთის ზღვისპირეთი, განსაკუთრებით კოდორისა და ფსოუს შესართავებს შორის; ზღვის ნაპირი ძლიერ ლამ-

აზია სოხუმის სანაპიროზე, ახალ—ათონთან, გუდაუთთან, მიუსერასთან, ბიჭვინთასთან, გაგრასთან.

ჩვენ მხოლოდ ბიჭვინთაზე ვისაუბრებთ. ქართული სახელწოდება ბიჭვინთა რომ ფიჭვიდანაა, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ეს არ სჯერა აფხაზ—სეპარატისტს არისთაას: ბიჭვინთა, რომ ქართული იყოს, მაშინ გვექნებოდა ფიჭვიანი, ან ფიჭვისიო. მან არ იცის, რომ არსებობს ნთა—სუფიქსიანი ქართული ტოპონიმები: დუნთა, გურიანთა, ლეღვანთა. აფხაზეთშიც კი გვაქვს აზანთა და რატომ არ შეიძლება არსებობდეს ბიჭვინთა; პიცუნდა ხომ ბიჭვინთის თარგმანია.

ბიჭვინთა—მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს ბიჭვინთის კონცხზე და გუდაუთის რაიონის ზღვისპირეთის დასავლეთ ნაწილში და უკავია მიუსერის ძვირფასი ტყის მასივი.

ზღვისპირეთის რელიეფი დაბლობია. ჩრდილოეთისაკენ რელიეფი თანდათან მაღლდება. ზღვის ტენიანი რბილი ჰავაა. იანვრის საშუალო ტემპერატურა 6,2°—ია, აგვისტოს 24°, საშუალო წლიური—14,6°, ზღვის წყლის ტემპერატურა ზედაპირზე მაისიდან ნოემბრამდე—20°—ია. ბიჭვინთას აქვს ქვიშიანი, ფართო ბუნებრივი პლაჟი.

ბიჭვინთა—მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი მნიშვნელოვანია მცენარეულობით. ტ.ჩიქოვანის, მ.ჰახოკიას მიხედვით (ქ.ე.ტ.I გვ.446), ნაკრძალის ფართობის 3761 ჰექტარიდან ტყით დაფარულია 2471 ჰექტარი. მცენარეულობიდან ყველაზე ძვირფასია ბიჭვინთის ფიჭვი, რომელიც მესამეული პერიოდის რელიქტია, კავკასიური ენდემი. გავრცელებულია ანაპიდან ფსირცხამდე. იზრდება ზ.დ. 300—400 მეტრამდე, ფსირცხაში 900 მეტრამდე აღწევს. ბიჭვინთის კონცხზე 295 ჰექტარზე ფიჭვის კორომია შენარჩუნებული, აღრიცხულია 25440 ძირი. ნაკრძალში მუხნარს უკავია 1163 ჰექტარი, წაბლნარს—1040 ჰექტარი, ბზას—53 ჰა, რცხილნარს—100 ჰა. ლაფანს (ლაფნარს)—9 ჰა, წიფლნარს—2 ჰა; ფართოდ გავრცელებულია კავკასიური

ცაცხვი, ჯაგრცხილა, უხრავი, თხილი, ჰარტვისის მუხა, ხურმა, სამხრეთული აკაკი, ჩვეულებრივი იფანი, თრიმლი, თუთუბო, ქაცვი, სამი სახეობის კუნელი, ოთხი სახეობის ტირიფი. გარდა ფიჭვისა, გვხვდება რელიქტური სახეობები: ხემარწყვა, ხისებრი მანანა, კოლხური ბზა და სხვა იშვიათი მცენარეები. ტერიტორიაზე აღრიცხულია 92 მერქნიანი მცენარე; მიუსერისა და კავაკლუკის მაღლობებზე ქართულ მუხასთან შერეულია იშვიათი სახეობები—ხისებრი მანანა, სალბისებრი საკმელა და ხემარწყვა. ნაკრძალში აღრიცხული იყო 115—მდე სახეობის ფრინველი, მათ შორის 67 მობუდარი; ძუძუმწოვრებიდან: ზღარბი, თხუნელა, ციყვი, დედოფალა, კვერნა, კურდღელი, მაჩვი, ტყის კატა, მელა, ტურა, მგელი, გარეული ღორი.

იშვიათია ასეთი ლამაზი მხარე, ასეთი მომხიბვლელი ბუნება. მცენარეები ქმნიან ულამაზეს ბუნებას, რომელსაც ემატება ძველი თუ ახალი ბიჭვინთის ნაგებობანი, ისტორიული ძეგლები თუ თანამედროვე მაღლივი შენობები. ჩვენ მხოლოდ ბიჭვინთაზე შევჩერდით. განა ნაკლები იყო, ამჟამად ნანგრევებად ქცეული სოხუმი, ედემად ქცეული ახალი ათონი, გაგრა.

რომელი მხარე გნებავთ აფხაზეთისა, ლამაზი რომ არ იყოს. ჩანჩქერები ხომ ხატავს აფხაზეთის ბუნებას.

ისე როგორც სვანეთის, მთიანი აფხაზეთის მშვენება ჩანჩქერები და კასკადებია, რომელნიც კლდეებიდან ვარდებიან ხშირად ასეული მეტრის სიმაღლეზე. დგახართ და შესცქერით სივრცეს, სადაც ეცემა ჩანჩქერი. მისი ხმაური არღვევს მყუდროებას, არ გინდათ თვალი მოაცილოთ ბუნების ამ მშვენებას, ამ სილამაზეს. აფხაზეთის მაღალი მთები არ წარმოგვიდგენია უჩანჩქეროდ.

აფხაზეთში ბუნება ძლიერ მომხიბვლელია.

# მიწისქვეშა საოცრებანი
# (მღვიმეები)

აღნიშნული გვაქვს, რომ აფხაზეთი კარსტული მოვლენების (პროცესების) კლასიკური მხარეა, რადგანაც აქ ფართოდაა გავრცელებული კარბონატული ქანები, კირქვები, კარბონატული ცემენტის კლასტური ქანები. საუბარი გვექნება სპელეორელიეფის უმაღლეს ფორმებზე—მღვიმეებზე.

არაბიკის კირქვული მასივი მდებარეობს გაგრის რაიონში. მღვიმეები გამომუშავებულია ზედა იურულ, ცარცულ და ქვედა პალეოგენურ კირქვებში. აქ ოცზე მეტი მღვიმეა ცნობილი. დაღმავალი მღვიმეებიდან აღსანიშნავია ვახუშტი ბაგრატიონის, კრუბერის, მარტელის უფსკრულები. ზ.ტატაშიძის მიხედვით, აღსანიშნავია მნიშვნელოვანი კოლბისებური ფორმის გიგანტური დარბაზი, სიმაღლე— 271 მეტრი, ერთერთი ყველაზე მაღალი მსოფლიოში, მოცულობა 600 ათასი $მ^3$. 700 მეტრ სიღრმეზე არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელობის დარბაზი (მოცულობა 150 ათასი $მ^3$). არაბიკის მასივის ძირში გამოედინება ვოკლუზები (რეპროა, ციცწყალასი, ცისფერი ტბისა, გეგის ჩანჩქერისა). ზ.ტატაშიძე აღნიშნავს, რომ „ვოკლუზური წყაროები ერთერთი უღრმესი კარსტული ჰიდროსისტემაა მსოფლიოში". წმ.იპატის მღვიმე გაგრაში გამოყენებული იყო სამლოცველოდ.

ბზიფის მასივზე ცნობილია ათიოდე მღვიმე: ჰაცირძიხის შახტი, ახდუს უფსკრული, ასაძხიწრის უფსკრული და სხვა. მჭიშთის ვოკლუზის თავზე რამდენიმე სართულად განლაგებულ მღვიმეებში ძველად მონასტერი იყო. აქ შორიდან ჩანს ქვითკირის კედლები, კარ—სარკმლის ჩარჩოები. განსაკუთრებით საინტერესოა ბზიფის ქედზე ზედა იურული და ქვედა ცარცული კირქვებით აგებული აბიხოხის გამჭოლი ბუნებრივი გვირაბი— კარსტული მღვიმე აბიბოხის „ფანჯარა".

დურიფშის პლატოს ქვედა პლეისტოცენურ კონგლომერატებში ცნობილია ათიოდე მღვიმე (ზემო ლიხნის, აჩიმჯიღრის, ტარკილის, დურიფშის შახტი და სხვა), მათ შორის 9 – სუბჰორიზონტულია. ყველაზე გრძელია ზემო ლიხნის მღვიმე– 310მ. დურიფშის შახტის სიღრმე 28 მეტრია.

ახალი ათონის ანუ ანაკოფიის მღვიმე მდებარეობს ახალ ათონში ივერიის მთაზე. გამომუშავებულია ქვედა ცარცულ სქელ შრეებრივ კირქვებში; ჯამური სიგრძე 3288 მეტრია, ჯამური სიღრმე– 183 მ. დიდი დარბაზებია „აფხაზეთი“, „ქართველ სპელეოლოგთა“, „ივერია“, „სოხუმი“, „თბილისი“, „ჰელიქტიტების“, და სხვა.

დარბაზები შემკულია სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, სტალაგნატებით, ფარდებით, კასკადური ნაღვენთებით. მღვიმური სისტემის მოცულობა 1,5 მლნ $მ^3$—ს აღემატება და ერთერთი უდიდესია ევროპაში. მღვიმე აღმოაჩინა და შეისწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა (ზ.ტატაშიძე, შ.ყიფიანი, ა.ოქროჯანაშვილი). მღვიმე ტურისტებისა და ექსკურსანტებისათვის ხელმისაწვდომია (მოხერხებულ ადგილასაა). გუმიშხა—ფსირცხას მასივის მღვიმეებია აგრეთვე: ანუხვის (კედლის მხატვრობაზე და ძველ ქართულ წარწერებზე გვაქვს საუბარი), ხაბიუს, უაზ—აბაას (აძაბის) და სხვა.

სოხუმის მიდამოებში სოფელ შრომის ტერიტორიაზეა სტალაქტიტებიანი მღვიმე (ამჟამად სტალაქტიტები არ არის); მდინარე გუმისთასა და კელასურს შორის აღსანიშნავია გუმის, მთის კალთის, კელასურის მღვიმური ციხე—დარბაზი და სხვა. ცნობილია მღვიმეები პალეოლითელი–ქვის ხანის ადამიანის ნადგომით.

აბრსკილის მღვიმე, უფრო სწორად აბლასკირის მღვიმე მდებარეობს ფანავის ქედის სამხრეთ კალთაზე სოფელ ოტაპში. გამომუშავებულია ზედა ცარცულშრეებიან კირქვებში. მღვიმის ჯამური სიგრძე 4 კმ—ია. ამ მხრივ აბრსკილის მღვიმე უდიდესია

საქართველოში. „აბრსკილის“, „ჭაღიანის“, „გიგანტრი“, „მეანდრის“, „ფარდებიანი“ და სხვა მღვიმეთა დარბაზები შემკულია ნაღვენთი—ნაწვეთარი ფორმებით. აბრსკილი ერთერთი ლამაზი მღვიმეა საქართველოში. მღვიმიდან გამოდის მდინარე. ნაპოვნია მღვიმის დათვის ძვლები, მუსტიეს ხანის ქვის იარაღები. შედგენილი იყო მღვიმის კეთილმოწყობის პროექტი, მაგრამ ქართულ—აფხაზურმა კონფლიქტმა მისი განხორციელება შეაჩერა.

მდ.კელასურსა და მდ. ამტყელს შორის წებელდის მასივზე ცნობილია ოცზე მეტი კარსტული მღვიმე, რომელთაგან მნიშვნელოვანია კელასურის პირველი, წებელდის პირველი და მესამე, შაქურანის პირველი, მეორე და მესამე, ქვაჭარის, შავწყალას და ცივწყალას მღვიმეები. კელასურის მღვიმე მდინარის ქვეშაა, ჯამური სიგრძე— 1400 მეტრი. წებელდის მღვიმე შემკულია სტალაქტიტებით; შაქურანის ჯგუფში ულამაზესია პირველი მღვიმე. მესამე მღვიმის სიგრძე 1300 მეტრია. ქვაჭარის მღვიმეში საინტერესოა პალეოლითელი ადამიანის ნადგომი. წებელდის მასივის გაგრძელებაა ფალის მეორე მასივი, სადაც ცნობილია ხუთი მღვიმე. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯალში არის კიმერიულ კონგლომერატებში გამომუშავებული ჯალის მღვიმე (სიგრძე 150 მ).

მდინარე ოქუმსა და ენგურს შორის ოხაჩქუეს კირქვულ მასივზე ცნობილია სამი შახტი. შუშელში ჭაში 18 მეტრი სიღრმიდან გაჭრილ იქნა ხელოვნური ხვრელი და მოხვდნენ მაკარონისებური სტალაქტიტებით მორთულ დარბაზში.

ამგვარად, აფხაზეთში უმნიშვნელოვანესია ახალი ათონის, აბრსკილის მღვიმეები, არაბიკის ყინულოვანი უფსკრულები. მღვიმეები ადასტურებს, რომ აფხაზეთი არა მარტო მიწის ზედაპირზე, მიწისქვეშეთშიც ლამაზია.

# მდინარეები და ტბები

მდინარე დედამიწაზე მოძრაობის სიმბოლოა. „მდინარის მარადიული და ძლიერი სიცოცხლე ადამიანის ცხოვრების შემავსებელია“ (ელიზე რეკლიუ).

საქართველოში 25 ათასზე მეტი მდინარეა. ყველაზე მეტი მდინარეები აფხაზეთშია. მდინარეთა ქსელის ასეთი სიხშირე ატმოსფერული ნალექების სიუხვით აიხსნება. აფხაზეთის მდინარეები სათავეს ღებულობენ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, წინა მთების ზონაში, ზოგჯერ დაბლობ ზონაშიც. ისინი ან უფრო დიდ მდინარეთა შენაკადებია, ან უშუალოდ უერთდებიან ზღვას.

აფხაზეთის მდინარეები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: ტრანზიტული, რომელნიც სათავეს ღებულობენ კავკასიონის მთავარი ქედის და მის სამხრეთით მდებარე მთებიდან (ენგური, ერისწყალი, ღალიძგა, მოქვი, კოდორი, კელასური, ბზიფი და სხვა) და ადგილობრივი, რომელთა სათავე მდებარეობს დაბლობის ფარგლებში (ხუმუშკური, ბესლეთი, გუდოუ, ჟოეკვარა და სხვა). მდინარეთა მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია. აფხაზეთის მდინარეებს დამატებით საზღვრებისათვის იყენებენ: აფხაზეთი იწყება მდ.ენგურით და მთავრდება მდინარე ფსოუთი. ენგურსა და ღალიძგას შორის სამურზაყანოა; ღალიძგასა და კოდორს შორის—აბჟუა, შუამხარე, თანამედროვე ოჩამჩირის რაიონი; კოდორსა და კელასურს შორის—გულრიფშის რაიონი; ქალაქი სოხუმი კელასურსა და გუმისთას შორის მდებარეობს; გუდაუთის რაიონს დასავლეთით მდინარე ბზიფი საზღვრავს; ბზიფსა და ფსოუს შორის გაგრის რაიონია.

ლამაზია აფხაზეთის მდინარეები, მაგრამ საქართველოში არსად არაა მთის ისეთი ლამაზია მდინარეები, როგორც აფხაზეთში. განსაკუთრებით ლამაზი მდინარეები, ჩანჩქერებად, კასკადებად რომ ვარდებიან მაღალი კლდეებიდან. სილამაზით გამოირჩევიან მდინარეები ლაშიფსე, გეგა, გუმისთა, კელასური,

მოქვის შენაკადი დუაბი, რეჩხი და სხვა.

ენგური (ძველ ბერძნულად ხობოსი) არა მარტო სვანეთ—სამეგრელოს, აფხაზეთის მდინარეცაა... იგი ჩაუვლის გალის რაიონის ულამაზეს სოფლებს: ლეკუხონას, საბერიოს, დიხაზურგას, ჭუბურხინჯს, თაგილონს, ნაბაკევს, ოტობაიას.

ქართულ—აფხაზური კონფლიქტის დროს ენგურს, როგორც სასაზღვრო მდინარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ენგურის მარცხენა მხარეზე გადმოსვლა ხშირად ხსნას, სიცოცხლის შენარჩუნებას ნიშნავდა. ამიტომ აფხაზეთის მდინარეებიდან შედარებით ვრცლად მდინარე ენგური გვაქვს აღწერილი.

ენგური კავკასიის ერთ—ერთი უსწრაფესი, წყალუხვი მდინარეა. სათავე აქვს სვანეთში, მყინვარ ენგურზე ზ.დ. 2614 მ. სოფელ ანაკლიასთან ერთვის შავ ზღვას. ენგურის სიგრძე 212 კმ—ია. სვანეთში შენაკადები ნაკრა, ნენსკრა, დოლრა, ჰადიში, მულხრა, მესტია—ჭალა და მრავალი სხვა ენგურს უხვწყლიან მდინარედ აქცევენ. სათავეებთან ჩანჩქერებად და კასკადებად მოისწრაფვიან ენგური და მისი შენაკადები. არა მარტო ენგურის, შენაკადების კალაპოტებიც ღრმაა, ციცაბო ნაპირიანი; ქვევით ხმაურობს მდინარე, ფსკერზე მოაგორებს კლდეებს მოწყვეტილ დამსხვრეულ ლოდებს. სიღრმეში, კანიონებში ვერცხლისფერ ზოლად ბრწყინავს ენგური. ლახამულს ქვევით ციცაბო კლდეებით შევიწროებული ენგურიდან უკვე აღარ ჩანს მარადთოვლიანი მწვერვალები. აქ მთები, კლდეთა თხემები მწვანითაა მორთული, ბობოქარი ენგური კი მოქცეულია გრანიტის ვიწროებში და უფრო აღშფოთებულია – ღმუის, ბრაზობს, კენჭებივით ისვრის დიდ ქვებს და ველური ხმაურით ავსებს ხეობას. „რამდენად დინჯია ზღვას მიახლოებული ენგური ოდიშში, იმდენად გადარეულია ენგური სვანეთში. აქ მისი საწოლი ვიწროა და ათასგზის დაკლაკნილი, როგორი ძალა უნდა ჰქონდეს ამ წყალს რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე რომ გაუჭრია გრანიტის ტინი, ასე საშინლად დაულეწია ეს სალი კლდეები, ლოდები

მიურეჯგ—მოურეჯგავს და ფერდები ჩალეწილი ფლატეებს ებდღვინება დაკოდილი ლომსავით“ (კ.გამსახურდია).

ვინ იცის რამდენი ასეული ათასი წელია, რაც სვანეთის მთები მდუმარედ დასცქერიან ქაფად ქცეულ ენგურს, არაჩვეულებრივი სისწრაფით რომ ეხეთქება კლდეებს; ამ კლდეების შავი და მუქი ნაცრისფერი ტონები კიდევ უფრო აძლიერებს ხეობის მკაცრ და პირქუშ სურათებს. მკაცრი ხეობებით, უხვწყლიანობით ენგური შეუდარებელია საქართველოს სხვა მდინარეებთან. ამიტომ ამბობს პოეტი: „ენგურთან ჩემო არაგვო ხმა აღარ ამოგეღება“ (მუხრან მაჭავარიანი). მაგრამ სწუხს მეორე პოეტი (კარლო კალაძე), რომ მრისხანე ენგური ანაკლიასთან იქცევა „შავი ზღვის ტალღად“.

ჯვრის კლდეკარიდან გამოსული ენგური თანდათანობით დინჯდება და ზღვისაკენ უფრო ნელა მიედინება.

გალის რაიონის ტერიტორიაზე აგებული ენგურჰესის ყველა ელექტროსადგური და მდინარე ენგურის წყლის მეტი ნაწილი ამჟამად არხით გალის რაიონის ტერიტორიაზე მიედინება. იგი აძლევს ძალას ელექტროსადგურებს, ქმნის დიდ ტბას „გალის ზღვას“ და გუდავასთან უერთდება შავ ზღვას. ასე რომ , ამჯერად მდინარე ენგურს ორი შესართავი აქვს—ანაკლიასთან და გუდავასთან.

მდინარე ერისწყალი სათავეს იღებს ოხაჩქუეს ქედის სამხრეთ—აღმოსავლეთი კალთის ძირას, ერთიში მთიდან, ამიტომ ეწოდებოდა ერთიშ წყალი, რომელიც დროთა ვითარებაში ერისწყლად შეცვლილა. ერისწყალი მღვიმიდან გამოდის, კარსტული მდინარეა. არიანე (II ს) ერისწყალს სინგამეს უწოდებს,. ლამბერტი— ჰეტიწყარს, ვახუშტი ბაგრატიონი— დადისწყალს, ა.ლეონიდი. —დადისს.

არქ.ლამბერტი ამ მდინარეზე წერს: „სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცაღირსშესანიშნავია თევზის სიუხვით“—ო. მდინარეს მრავალი შენაკადი აქვს. ქალაქ გალში გაივლის მდინარე ერისწყალის მარცხენა შენაკადი ქვიშონა. მდ-

ინარე ერისწყლის შენაკადებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კარსტული მდინარე რეჩხი. მდინარე რეჩხი სასმელი და ტექნიკური წყლით ამარაგებს გალის რაიონსა და ქალაქ ზუგდიდს. ერისწყალი ძალას აწვდის ენგურჰესს, ენგურთან ერთად ქმნის „გალის ზღვას“.

ოქუმის წყალი პირველად მოხსენებული აქვს ისტორიკოს ..დადიანს. ღელეები, რომელნიც ქმნიან მდინარე ოქუმს, სათავეს იღებენ ჟეპიშხას და ანარას მთის სამხრეთ ფერდობებზე. ხეობის ამგებ ქანებთან დამოკიდებულებით კალაპოტი ხან ფართოვდება, ხან ვიწროვდება. სოფლების ოქუმისა და ღუმერიშის საზღვარზე მდინარე გამოდის დაბლობზე და გუდავასთან უერთდება მდ.ერისწყალს და შემდეგ ერთად უერთდებიან ზღვას.

გასულ საუკუნეში აფხაზეთის დიდი მდინარეები გამოყენებული იყო სანაოსნოდ. ვ.მაევსკის ცნობით, რომელმაც გასული საუკუნის მიწურულში სამხედრო შტაბის დავალებით სპეციალურად შეისწავლა დასავლეთი საქართველო და წიგნიც გამოსცა მის შესახებ, მდ.ოქუმის წყალზე წერს: „ქვემო წელში თავისუფლად შეიძლება ბრტყელძირიანი ნავებით ცურვა შესართავიდან ხიდამდე, რომელიც ამ მდინარეზე შოსე გზაზეა აგებული“. ვ.მაევსკის მხედველობაში აქვს ის ხიდი, რომელიც დღეს გალი—სოხუმის გზატკეცილზეა. მის დროს ეს ხიდი აგებული იყო..ვ.მაევსკის ცნობით, ერისწყლის ქვემო წელი დაახლოებით 20—25 კმ—ის მანძილზე „თავისუფლად შეიძლება სანაოსნოდ ჩაითვალოს“. ტყეები გაჩეხილი არ იყო, მდინარეებში წყლის დონე მაღალი იყო.

გალის რაიონში პატარა მდინარეებია: ოხოჯე, წარჩე, ხუმუშკური, ქირი, სიდა, ოჯოღორე და სხვა. მდ. ერისწყლის შენაკადი ნიშონი წარსულში იმდენად დიდი ყოფილა რომ მდინარეზე ნიშით—ნავით გადადიოდნენ ამიტომ ეწოდა ნიშონი.

ღალიძგა ოჩამჩირის რაიონის მდინარეა. ვახუშტი ბაგრატიონი მას ეგრისს უწოდებს, ტიმოთე გაბაშვილის რუკაზე მას ღალიცკა ეწოდება. ტოპონიმი ქართულია (მეგრულია)— ამიტომ

აფხაზები ცდილობენ მდინარეს გამოუცვალონ სახელი—უწოდებენ გალიზგას, ალზგას. ხალხი კი უწოდებს ღალიძგას. მე—17 საუკუნეში ამ მდინარის ნაპირას არსებობდა სოფელი ამავე სახელწოდებით. მე—18 საუკუნის დასაწყისიდან აფხაზებმა ამ სოფელს ბესლახუბა უწოდეს. მდინარეს სათავე აქვს ფანავის ქედის სამხრეთით. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოსთან, მდინარის სუფთა წყალი ძლიერ ჭუჭყიანდება და ფერს იცვლის, ილორსა და ოჩამჩირეს შორის ერთვის ზღვას.

მოქვს აფხაზები უწოდებენ მიქუს, რადგან ო—ხმოვანი და ვ.თანხმოვანი არ არის აფხაზურ ენაში. სათავეს იღებს ფანავის ქედის სამხრეთ კალთაზე. მდინარე მოედინება ძლიერ ლამაზ ხეობაში, ალპურ ზონაში, ტყის ზონაში, ვაკე—ბორცვიან ზონაში. მდინარე ქმნის ვიწრო კანიონისებურ და ფართო ხეობებს, სადაც ბუნების სურათები განუწყვეტლივ იცვლება. აქ ნახავთ ჩანჩქერებს, კლდეებს, ბუნების შესანიშნავ ძეგლს—სვეტისებრ განწევრებას და სხვა. მთავარი შენაკადია დუაბი, რომელიც მოქვს ტაძართან ერთვის. ბერძნულ წყაროებში მდინარე მოქვს ტარსურა ეწოდებოდა. მდინარე მოქვზე მერკულამდე ადიოდნენ ბრტყელძირიანი ნავები.

ჩვენთვის ნაცნობია მდინარის სახელწოდება „ცხენის წყალი“ – წყალუხვობით მოქვზე ოდნავ ნაკლებია. კოჩარაში მდინარე ქეთევანი ცხენის წყალზე ნაკლებია. ოჩამჩირის რაიონის სხვა მდინარეებია: ფშია – პატარა მდინარეა (ათარის სექტორში), სახელწოდება ქართულია (ს.ს. ორბელიანი „ფშა—მდინარისაგან წყარო მუნვე ახლოს გამონადენი“). ამ სახელწოდების ასევე პატარა მდინარე არის გაგრის რაიონში. ენგურის შემდეგ აფხაზეთში ორი დიდი მდინარეა: კოდორი და ბზიფი. კოდორს უფრო ადრე ჰენისწყალი ეწოდებოდა. პ.ინგოროყვა ჰენის კოლხურ ტომს ჰენიოხებს უკავშირებს. ჰენე (ჰუნე) ნიშნავს ცხენს, ამიტომ ანტიკური ხანის ბერძენი ავტორები, მას ჰიპოსს ე.ი. ცხენის წყალს უწოდებდნენ. კოდორი ქართული ტოპონიმია. ასეთი სახელწოდების სოფელი ცნობილია აბაშის რაიონში,—სამი

ტიპონიმი გურიაში: ღრმაღელეში, შრომის უბანსა და ჯიხანჯურში. ვახუშტი წერს: „მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელიც არის „დრანდას ზეით ამ წყალზედ“.

აფხაზები კოდორს კუდრის უწოდებენ, რადგან „ო“ ხმოვანი არ არის აფხაზურში. მე—17 საუკუნეში კოდორი აფხაზეთის აღმოსავლეთი საზღვარი იყო. საუკუნის მეორე ნახევარში ეს მდინარე გადალახეს აფხაზებმა და ჩავიდნენ ჯერ მდინარე ღალიძგამდე, შემდეგ – ენგურამდე. ასე გახდა ჩრდილო—დასავლეთი სამეგრელო აფხაზეთის ნაწილი (თანამედროვე ოჩამჩირისა და გალის რაიონები). კოდორს სათავე აფხაზეთის სვანეთში აქვს, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე. კოდორი მდინარეების საკენის, ღვანდრას შეერთებით წარმოიქმნება, იგი გაივლის უძველეს პალეოზოურ, მეზოზოურ, მესამეულ და მეოთხეულ ნალექებს. კოდორის უმნიშვნელოვანესი შენაკადებია ჩხალთა, ზიმა, უჩკურია, ამტყელ—ჯამპალი. მდ.კოდორის ნაპირებზე მდებარეობს აფხაზეთის სოფლები—აჟარა, ჩხალთა, ლათა, ამტყელი.... კოდორის ხეობაში არის ცნობილი ბაგადის კლდეები, მღვიმეები. გულრიფშის რაიონში არსებობდა სოფელი კოდორი, მაგრამ სოფელს ვლადიმიროვკა უწოდეს.

გულრიფშის რაიონს ქალაქ სოხუმისაგან საზღვრავს მდინარე კელასური. ტოპონიმი ქართულია. 1998 წელს სოფელ კელასურს აფხაზებმა აფხაზური სახელი უწოდეს. კელასური „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: კელასური (მარიამის და მაჩაბლის ვარიანტი), ეკლისორი (ბროსეს „ქართლის ცხოვრება“), კლისორი (ჭილაშვილის ვარიანტი). მდინარე კელასურის ხეობაში ისეთი პეიზაჟებია, თვალს ვერ მოაცილებს ადამიანი. მთის მდინარეების წყლის ფერიც ცვალებადია: ცისფერი, ფირუზისფერი, ძლიერ გამჭვირვალე. განსაკუთრებით ლამაზია ჩანჩქერები და კასკადები. ვ.მაევსკის მიხედვით, მე—19 საუკუნეში მდინარე სანაოსნოდ იყო გამოყენებული.

ბესლეთი. ვახუშტი ბაგრატიონი სოხუმში (ცხუმში) ასახე-

ლებს მდინარე ცხომს. დიუბუა დე მონპერეს აღნიშნული აქვს, რომ მდინარე ცხომი გუმისთაა. შესაძლებელია ცხომი ბესლეთი იყოს, რადგან ვახუშტის დროს თანამედროვე სოხუმი ვერ აღწევდა ვერც გუმისთამდე და ვერც კელასურამდე. პ.ინგოროყვა სახელწოდება ბესლეთს უკავშირებს ბასილთა ტომს. პ.ინგოროყვას ცნობით მდინარე ბესლეთს მეორე სახელი რქმევია– ანთემის წყალი (პლინიუს სეკუნდი). ანთემიც ქართული გეოგრაფიული სახელწოდებაა. ანთემი მდინარის პირას არსებული პუნქტი ყოფილა.

შესართავიდან მე–12 კმ–ზე მდინარე კელასურის წყლის ნაწილი მიწაში იკარგება. მიწისქვეშ კირქვების სიცარიელეში გაივლის 5–6 კილომეტრს და სოფელ ბესლეთში გამოდის მღვიმიდან. ამგვარად, მდინარე ბესლეთის წყალი კელასურისაა. კელასურში, სადაც წყალი მიწისქვეშ იკარგება, იგი შეღებეს და შეღებილი წყალი გამოვიდა ბესლეთის მღვიმიდან. მდინარეზეა მე–11 საუკუნის ერთმალიანი თაღური ხიდი, სადაც ამოკვეთილი იყო ქართული წარწერა, სადაც მეფე ბაგრატ მესამე იყო მოხსენებული. წარწერა მოსპეს აფხაზებმა.

სოხუმს დასავლეთით უვლის მდინარე გუმისთა, რომელსაც სათავე ჩედიმის ქედზე აქვს. გუმისთა ორია: აღმოსავლეთი და დასავლეთი. სოფელ შრომაში აღმოსავალეთ გუმისთა უერთდება დასავლეთს. პ.ინგოროყვა წერს: „სახელწოდება თავისი გრამატიკული აღნაგობით ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის“. ფუძე სიტყვა გუმა ქართულია. გუმისთა მოედინება ლიასურ ფიქლებს, ბაიოსურ ვულკანოგენურ ქანებს, ზედა იურულ და ცარცულ კირქვებს შორის. გუმისთაზე ამ ნახევარი საუკუნის წინათ აგებულ იქნა ჰიდროელექტრო სადგური.

აფხაზეთში გვაქვს არა მარტო მიწისზედა, არამედ მიწისქვეშა კარსტული მდინარეები. გალის რაიონში მიწისქვეშა მდინარეებს მიეკუთვნება ერისწყალი და რეჩხი. გულრიფშის რაიონში ამტყელის ტბიდან გამოსული მდინარე ამტყელი მიწის ზედა პირზედაც მიედინება და მიწისქვეშაც.

სოფელ შრომაში (სოხუმის რაიონი) კამანთან კლდიდან გამოსული მდინარე ქმნის მცირე ზომის ტბას, საიდანაც გაედინება დიდი ნაკადის სახით და ერთვის მდინარე გუმისთას. ისევ ვიმეორებთ: ეს ადგილი ისე ლამაზია, ისე მომაჯადოებელია რომ ხალხი ნაკადულს წმინდა წყლად მიიჩნევს და სალოცავად დადის.

ახალი ათონის ლამაზ ბუნებას, ლამაზ ნაგებობებს უფრო ალამაზებს ანაკოფიის მდინარე (ამჟამად ფსირცხა). მდინარე კლდიდან გამოდის დიდი ნაკადის სახით, გაივლის რამდენიმე ასეულ მეტრს, ქმნის ჩანჩქერს და მცირე ზომის ტბას და მიედინება ზღვისაკენ. ზღვისპირას ისევ ქმნის ულამაზეს გედების ტბას (უკვე ხელოვნურს) და იქვე ერთვის ზღვას. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზების მიერ ამჟამად მჭიშთად წოდებულ მდინარეს მუწისწყალს (მიწისწყალს) უწოდებს, რადგან მიწის ქვეშ კირქვის კლდეში აქვს სათავე.

ბზიფი—მდინარისა და სოფლის სახელი ქართულია და მცენარე ბზასთან არის დაკავშირებული (ეს მცენარე ამჟამადაც ხარობს მდინარის ორივე ნაპირზე).

პ.ინგოროყვა წერს: „დადგენილად ჩაითვლება, რომ სახელწოდება ბზიფი მდინარისა, სოფლისა ქართულია და მცენარე ბზასთან არის დაკავშირებული". მდინარე ბზიფს წარსულში აგრეთვე კაპოეტის წყალი ეწოდებოდა. ეს სახელწოდებაც ქართულია. ქართულად კაპოეტი ეწოდება გარეულ მონადირე ფრინველს და თევზსაც. თევზი კაპოეტი ეწოდება კალმახ—ორაგულის ჯიშის თევზს, რომელიც გვხვდებოდა მდინარე ბზიფში. ბზიფის ციხე—სიმაგრესაც კაპოეტი ეწოდება. ბზიფი ერთ—ერთი უგრძესი, ულამაზესი მდინარეა აფხაზეთში, სათავეს იღებს კავკასიონის ქედის სამხრეთით, აქვს მრავალი შენაკადი. აქ არის აფხაზეთში ყველაზე ღრმად მდებარე მღვიმე, თოვლიანი მღვიმე—უფსკრული.

რიცის გზა, მდინარე ბზიფი ულამაზესია ყოველივე იმაზე რაც კაცის თვალს უნახია, ბუნებაში ამ გზაზე გავლა ზღაპართან შეხ-

ვედრაა; რიცის ტბიდან გამოსული მდინარე ლაშიფსე მთელი კილომეტრი იკარგება, მიწისქვეშიდან ამოდის და ისევ იკარგება, შემდეგ ისევ ამოდის...

არაბიკის მთის უფსკრულებში—ვერტიკალურ ხვრელებში—ბუნებრივ შახტებში ჩაყონილი თუ ჩადენილი წყალი მიწისქვეშ ორი გზით მიედინება: სამხრეთით და ჩრდილოეთით. სამხრეთით —ამოდის ზღვის ფსკერზე და წარმოშობს გაგრის სანაპიროებზე რამდენიმე კილომეტრზე ზღვისქვეშა ანუ ე.წ.სუბმარინულ წყაროებს: ეს მოვლენა იშვიათია ბუნებაში. გაგრის სუბმარინული წყაროები, როგორც აღნიშნული გვაქვს, მოხსენიებულია ელიზე რეკლიუს მიერ „მსოფლიო გეოგრაფიაში“.

ჩრდილოეთით მიწისქვეშა წყლები გამოდიან ზედაპირზე და წარმოქმნიან ცისფერ ტბას. დაილოცოს იმის სახელი, პირველად რომ უწოდა მას ცისფერი ტბა. მზიან ამინდში ანარეკლ სინათლეზე ტბის ზედაპირი ცისფრად მოსჩანს, შეუძლებელია ტურისტმა, ექსკურსანტმა აქ არ დაისვენოს, სურათი არ გადაიღოს.

ცისფერი ტბიდან გამოდის მდინარე, გაივლის ხიდქვეშ და უერთდება მდინარე ბზიფს, მისი სიგრძე, როგორც ზემოთ აღინიშნა, შვიდი მეტრია და ეს არის მსოფლიოში უმოკლესი მდინარე.

ძველ გაგრაში ზღვის ნაპირას კლდიდან გამოდის მიწისქვეშა მდინარე რეპროა, იგი ზედაპირზე მხოლოდ პლაჟზე მიედინება და ერთვის ზღვას.

ძველ გაგრაში ერთი პატარა მდინარეა, მას ამჟამად აფხაზურად ჟოეკვარა ეწოდება. დიუბუა დე მონპერე მდინარეს კინჩულს უწოდებს: „ული“ ხომ არ მიუთითებს მის ქართულ წარმოშობაზე. გაგრა, გაგარი ხომ ქართულია, მის დასავლეთით მდებარე ვიწრო გასასვლელი უღაღიც.

საქართველოს ჩრდილო—დასავლეთი საზღვარია მდინარე ფსოუ. ფსოუ ქართული ტიპონიმია.'შუა საუკუნეებში საქართველოს საზღვარი იყო ნიკოფსი. მე—11 – მე—12 საუკუნეებში ახალ ათონს ხომ ნიკოფსი ეწოდებოდა და ამ დროს აფხაზთა ენა

მეგრულ– ქართული იყო და არა მე–17 საუკუნიდან აფხაზურად წოდებული აბაზინური ენა. გაგრის რაიონში არის მდინარეები: ხაშუფსე, ლაშიფსე...

ფსოუ პატარა მდინარეა, გარდა საზღვრისა არაფრით არაა შესანიშნავი.

ტბები. საქართველოში აფხაზეთი ითვლება ტბების მხარედ. ტბები აქ ყველგანაა, ზღვისპირეთიდან მაღალი მთების ჩათვლით. ტბები სხვადასხვაგვარი წარმოშობისაა (რელიქტური, მყინვარული და სხვა). გალის რაიონში სოფელ გაგიდაში უშუალოდ ზღვის ნაპირთან მდებარეობს გაგიდის ტბა. ტბა პატარაა, ფართობი 0,03 კმ², სიღრმე სამი მეტრი. ტბაში ცნობილია მარგალიტ შემცველი ორსაგულიანი მოლუსკები. მდინარეების გაგიდის და ოქუმის წყლის შესართავებს შორის ჩვენ დავთვალეთ რვა მცირე ტბა. გინძე ეწერის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი ტბის სიგრძე 500 მეტრია, განი– 150–200 მეტრი, სიღრმე– 2–3 მეტრი. ტბა არის სოფელ გუდავაშიც.

კოლხეთის დაბლობში პალიასტომის ტბის შემდეგ ყველაზე დიდი წყალსატევია აჩიგვარის ტერიტორიაზე ბებეისირის ტბათა ჯგუფი: დიდი ბებეისირი, ბებეისირი და პატარა ბებეისირი... სამხრეთით დიდი ბებეისირიდან გამოდის მდინარე ჯოყობა. ტბები მდინარეული წარმოშობისაა, მდიდარია თევზით, ფსკერი დაფარულია შლამით, საპროპელიტით. იყენებენ ჩაის პლანტაციების მოსარწყავად, მოშენებულია ნუტრია. ტბები არის მთიან ნაწილშიც: ოისირე, ოხაჩქუე, ოფუჯე და სხვა. ზღვისპირა რელიქტური ტბები ცნობილია გაგრის რაიონში: ინკიტი, გველების ტბა და სხვა უსახელო ტბები.

მთიან ნაწილშია საქართველოში ერთ–ერთი უღრმესი (120 მ) ტბა ამტყელი, ყვარაში, ოქრო–წყარო, ცისფერი ტბა. მაგრამ აფხაზეთში სილამაზით ტბების დედოფალია რიცა. ისევ ვიმეორებთ, 50–იან წლებში რომელიღაც აფხაზ ისტორიკოსს თვალში არ მოუვიდა სახელწოდება რიცა და იგი შეცვალა რიწად. ჩვენ სპეციალურად გამოვიკითხეთ აფხაზებს შორის ტბის სახ-

ელწოდება და ყველამ რიცა დაასახელა და არა რიწა. მარტო ის კმარა, რომ დიდი გალაკტიონი, როგორც ზემოთ ითქვა, ტბას რიცას უწოდებს და არა რიწას. შესაძლებელია რიცა ქართული ტოპონიმი იყოს (მსგავსი ტოპონიმი რიცეული გვხვდება რაჭაში).

ულამაზესი ტბაა რიცა. მისი აღწერა კი არ უნდა წაიკითხო, თვითონ უნდა ნახო ტბა, რომ დატკბე რიცის სიმშვენიერით, მისი სილამაზით.

ბუნების მშვენება – წყაროები ყველგანაა აფხაზეთში, არა მარტო მთებში, ვაკე ადგილებშიც. რა უნდა დაიწეროს წყაროებზე ვაჟა–ფშაველას „მთის წყაროს" შემდეგ.

რა წყაროები გნებავთ, აფხაზეთში არ იყოს: აღმავალი თუ დაღმავალი. ჩვენი ხეობები, მთის ფერდობები, მთის ძირები, მინდორ–ველები წარმოუდგენელია წყაროების გარეშე. რა სახელწოდებანი არა აქვს აქაურ წყაროებს. ვის სახელზე არ იყო ჩვენი წყაროები: მეფის წყარო, დედოფლის წყარო, ეგრისის წყაროები, ცივი წყარო, შინდის წყარო, თხილის წყარო. ზოგჯერ უცნაური სახელწოდებებიც გვხვდება. წიფურიას ბორცვის ძირზე (სოფ. თაგილონი) იქ, სადაც ეკლესიისა და გალავნის ნანგრევებია, დღემდე არის ცივი წყარო საინტერესო სახელწოდებით: ერგუჯარუ. წარსულში თუ ამჟამად ჩვენი ხალხი წყაროებს სათუთად უვლის. დღემდე, ტრადიციულად გრძელდება წყაროებისადმი მზრუნველობა, მათი მოვლა–კეთილმოწყობა. ჩვენებური კაცი მთის ბილიკზე რომ გაივლის, ნაკადულს სათავესთან ხის ღარს გაუკეთებს, წყაროდ აქცევს, მგზავრთა მადლობას და ლოცვას დაიმსახურებს. ჩვენი წყაროები ბუნების სიმდიდრეცაა და სილამაზეც.

# II. ისტორია

## კაჟიცა და ოქროც
## (არქეოლოგიური მონაპოვარნი)

აფხაზეთი პალეოლითიდან ანტიკური ხანის ჩათვლით მდიდარია არქეოლოგიური მონაპოვარით (ძეგლებით).

პალეოლითის შესწავლაში განსაკუთრებული როლი ითამაშა აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აკადემიკოს ი.ი.მეშჩანინოვის ხელმძღვანელობით, ამ ექსპედიციის პალეოლითის შემსწავლელმა რაზმმა ს.ნ.ზამიატნინის მეთაურობით. პალეოლითს სწავლობდნენ ადგილობრივი არქეოლოგებიც: ლ.სოლოვიოვი, ნ.კილაძე—ბერძენიშვილი, გ.ხუბუტია და სხვა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქვის ხანის ყველაზე ძველი ნადგომი აღმოჩენილია სოხუმის მახლობლად იაშთხვაში. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აქ ნაპოვნი იარაღები იყო მოსამზადებელი აშელური საჭრისებისათვის, რადგან ჰქონდათ მათ არქაული სახე. აფხაზეთის ქვედა პალეოლითური ძეგლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ აშელურ ინდუსტრიას ჰქონდა ადგილობრივი წარმოშობა და შესაძლებელია გენეტიკურად დაკავშირებული იყო ანატოლიის ზღვისპირა მხარესთან. სოხუმიდან ახლოს მეოთხეულ ტერასაზე პირველი ადამიანები დაფუძნდნენ ადრე აშელურ დროს და შემდეგ აქ ცხოვრობდნენ აშელ—მუსტიეს ეპოქებში. ადრეული აშელიდან იწყება პირველყოფილი ადამიანის დასახლება შავი ზღვის პირა ზოლში. თორმეტ ადგილას არის ნაპოვნი აშელური ძეგლები აფხაზეთში—გაგრიდან ენგურამდე (ჭუბურხინჯამდე).

1963 წელს არქეოლოგმა გ.ხუბუტიამ სოფელ ღუმერიშს ზემოთ მდინარე ოქუმის ხეობაში აღმოაჩინა პალეოლითელი და

ნეოლითელი ადამიანის ნადგომები. მდ.ოქუმის ხეობაში ქვის ხანის ადამიანის 15 მღვიმე და 30—ზე მეტი ღია ნადგომია მიკვლეული. ისინი შეიცავენ ქვის ხანის თითქმის ყველა პერიოდს აშელურიდან ნეოლითის ჩათვლით.

მღვიმე ოქუმი I. აქ კულტურულ ფენაში და გზაზე შეგროვილ იქნა ქვედა პალეოლითის 500—მდე კაჟის იარაღი და მეოთხეული პერიოდის ცხოველების ძვლები, მათ შორის ბიზონისაც. აქვე ნაპოვნია ადამიანის კბილი. ნ.ბურჩაკ—აბრამოვიჩის მიხედვით, ის მიეკუთვნება Homo Sapiens Fossilis—ს. აქ ადრეულ პალეოლითთან ერთად არის მუსტიეური იარაღებიც. აქ ყოფილა იარაღის დამამზადებელი სახელოსნო. ოქუმის ადამიანს უცხოვრია არა მარტო ზღვისპირას და მდინარეულ ტერასებზე, არამედ მაღალ მთიან ზოლში.

ქვედა პალეოლითური იარაღები აღმოჩენილ იქნა (გ.გრიგოლია) სოფელ რეჩხის ტერიტორიაზე, მდინარე ერისწყლის ხეობაში. აქ ნაპოვნია აშელის, ადრეული მუსტიეს, განვითარებული მუსტიეს კაჟის იარაღები. იაშთხვაში ნაპოვნია ადრეული მუსტიეს კაჟის იარაღები. მუსტიეური ნადგომები ცნობილია სოხუმთან ახლოს ბირცხაში, კელასურში, ოჩამჩირეში, გალში, ბზიფის კლდის ეხში, მრავალფენიან მღვიმე აპიანჩაში. მუსტიეური კარგადაა წარმოდგენილი ხეივნის ნადგომში (გაგრის რაიონი). გვიანი პალეოლითური ადამიანის ნადგომები აფხაზეთში ნაპოვნია 33 ადგილას, მარტო გაგრის რაიონში— 10 ძეგლი, ასევე სხვაგანაც (აპიანჩა, ოქუმი, ამტყელი, ქვაჩარა, ცივი მღვიმე, სვანთა სავანე). სვანთა სავანეში ნაპოვნია ადამიანის ძვლები.

ადრეული ნეოლითი. სვანთა სავანეში გვხვდება ტრაპეციისებრი მიკროლითური, თოხისებრი იარაღები, მარცვალ სახეხი იარაღები, სასრესი და სხვა. ეს არის მეზოლითიდან ადრენეოლითში გარდამავალი ფენა. რამდენიმედ უფრო გვიანდელი დროისაა ადრენეოლითური ეპოქის დასახლება წებელდის ახლოს. აქ ნაპოვნია კაჟისა და ობსიდიანის ინვენტარი.

უკანასკნელ ხანებში ნაპოვნია გვიან ნეოლითური ნადგომები:

გალი I, ღუმერიში და ჩხორთოლი. ღუმურიშის ერთერთ ტერასაზე (დაახლოებით 10 ჰექტარი) ნაპოვნია კაჟის, რიყის ქვის, ნაკლებად– ობსიდიანისა და არგილიტის იარაღები. აქ ბევრია ნუკლეუსები, საფხეკები, საჭრისები, ისრისთავები, ნაჯახები, სათლელები, ჩაქუჩები, კომბინირებული იარაღები. ნაპოვნია ნაგებობის ნაშთები.

ჩხორთოლის ტერასები. ნაპოვნია გვიანი ნეოლითის ხელუხლებელი (აუშლელი) 0,82მ ფენა მდიდარი ქვის იარაღებით, ძირითადად კაჟისა და რიყის ქვისა, მცირედ გვხვდება ობსიდიანისა და ბაზალტის იარაღები. ნაპოვნია ხუთი სამეურნეო ორმო ნაცრითა და ნახშირით სავსე. ქალაქ გალში ნაპოვნია გვიან ნეოლითური იარაღების დიდი რაოდენობა: საფხეკები, საჭრისები, ნუკლეუსები, სატეხები და სხვა. ნეოლითური დროის ნამოსახლარი ცნობილია სოფელ პირველ გალში. აქ ნაპოვნია ხელცულები, ნამგლისპირები, საჭრისები, ხელსაფქვავები, საწაფავები, ლამელები და სხვა. იარაღის დასამზადებლად გამოყენებულია ძირითადად კაჟი, აგრეთვე ობსიდიანი, რიყის ქვა, არგილიტი.

სოფლებში ჭილოუსა და ოტაპში ნაპოვნია ნეოლითური იარაღები.

კისტრიკი. გუდაუთთან ახლოსაა სოფელ ბომბორთან 6 ჰექტარზე, ზღვასთან ახლოს, სადაც ღელე კისტრიკი ერთვის ზღვას. კულტურული ფენის სიმძლავრე ზოგან 0,80მ. აღწევს. მეტწილად კაჟისა და რიყის ქვის იარაღებია, იშვიათად ობსიდიანი. ბევრია საჭრისები სათლელები, ხვეწები, თოხები, მარცვლეულის სასრესები და სხვა. ორმოში ნაპოვნი იყო დანახშირებული მარცვლები ცუდად დაცული, ძნელი იყო სახის განსაზღვრა. სოფელ მაჭარაში ნაპოვნია ნეოლითური საცხოვრებელი სახლი.

ენეოლითური ძეგლები ნაპოვნია ქალაქ გალში, სოფელ სიდაში.

სოხუმის მთასთან გუად–იხუს გორაზე აღმოჩნდა გვიანი ენეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (ძვ. IV–III ათასი წლები). აქ ნაპოვნია ტყვიის ზოდები, ორნამენტით შემკობილი თიხის ჭურჭელი. ამავე ეპოქის ძეგლები შესწავ-

ლილია სოხუმის დასავლეთ ნაწილში შუქურას რაიონში. ჯერ კიდევ 1881 წელს სოფელ საბერიოში უპოვნიათ ბრინჯაოს ხანის იარაღები—ბრინჯაოს რვა ცული.

1890 წელს ჭუბურხინჯში აღმოუჩენიათ განძი. აქედან არქეოლოგიურ კომისიაში მოხვედრილა: ბრინჯაოს ორი ზოდი, სეგმენტური იარაღის 4 ნატეხი, სპილენძის სამი ფირფიტა, სადაფის ნატეხი, ოქროს ორი სპირალური საყურე, ვერცხლის ორნამენტებიანი ჭურჭელი (ფსკერისა და სახურავის გარეშე), ოქროს სამი ზოდი. ძეგლი თარიღდება ძვ.წ. VIII—VIIსს. ბრინჯაოს ხანისაა თაგილონის განძი I. 1959 წელს ქალაქ გალში აღმოაჩინეს მეტალურგიული კერის ნაშთი. 1978 წელს ფიჩორელმა ჯ.ჩემინავამ გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა ფიჩორთან ზღვის ფსკერზე ნაპოვნი კოლხური ცული.

სოფელ ფიჩორში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ ბარამიძე). აქ მთავარი ბორცვის ირგვლივ ბევრია ნამოსახლარი ადგილები. ბორცვზე გაჭრილმა შურფმა უჩვენა ცხრა კულტურული ფენის არსებობა: ძელური ნაგებობის ნაშთი ბათქაშოვანი ფენით, ამფორების, კრამიტის და კერამიკის ნატეხები. შეინიშნება მოზელილი თიხის იატაკი. უფრო ქვევით მდებარე კულტურული ფენა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ფიჩორის კომპლექსი ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანიდან არსებობს. ერთ—ერთი დაბალი ბორცვის გათხრისას აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის VII—VI საუკუნეებით დათარიღებული თიხით შელესილი ხის სახლების ნაშთები. ბრინჯაოს იარაღებთან ერთად აქ ნაპოვნია იარაღთა ჩამოსასხმელი ყალიბები, ბრინჯაოს ზოდები და წიდა. არქეოლოგების დასკვნით, ფიჩორში მოჰქონდათ ბრინჯაოს ზოდები და შემდეგ აქ წარმოებდა იარაღების დამზადება. ნამოსახლართან ახლოს აღმოჩნდა 40—მდე რკინის თოხი. სამი ცალი ვაზის სასხლავი დანა, რკინის სახნისის ფრაგმენტი, ოცამდე მძივი (გამჭვირვალე მინა, სარდიონი, მთის ბრო-

ლი), ვერცხლის ნაკეთობათა ფრაგმენტი. ფიჩორში აღმოჩნდა კოლხური კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სოხუმში გუად—იხუს გორაზე აღმოჩენილია გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ძეგლი. სამარხ ინვენტარს შორის ნაპოვნია ჭურჭელი: სურები, ჯამები, თითისტარები, სალესი ქვები—ქვიშაქვა, რკინის დანები, რკინის წალდი—ჩაქუჩები, რკინის შუბისთავი, რკინის ხანჯალი, ბრინჯაოს სამაჯურები, ქინძისთავები, ფიბულები, ცხოველთა ბრინჯაოს ფიგურები (ჩამოსხმული), მძივები, ბრინჯაოს ბეჭდები, საყურეები ვერცხლისა. ბრინჯაოს მძივებს გარდა ნაპოვნია გიშრის, მინის, ქარვის მძივები და სხვა. ნაპოვნია აგრეთვე ბრინჯაოს ორი ბრტყელი სეგმენტისებრი იარაღი, სპილენძის წიდა და სხვა.

გუადიხუს ნეკროპოლი თარიღდება ჩვენს ერამდე VIII—VI საუკუნეებით. 1950—51 წლებში ალ.კალანდაძის, მ.ტრაფშის მიერ სოხუმის მთაზე ნაპოვნია ბრინჯაოს კოლხური ცულები, რკინის სატევრები და სხვა. დიოსკურიამდელი არქეოლოგიური მასალა ნაპოვნია სოხუმის სხვა ადგილებშიც: კელასური, ლეჩქოფი, შუქურა, უშუალოდ ზღვის სანაპირო ზოლში, ბესლეთის ხეობაში. ყოველივე ეს მიეკუთვნება კოლხურ კულტურას.

ამჟამად მიღებულია შეხედულება, რომ ძველი ქალაქი, დიოსკურიას ძირითადი ნაწილი სოხუმის ყურის ფსკერზეა, რომ მისი პერიფერიული ნაწილი, თანამედროვე სოხუმის ტერიტორიაზე ზღვის პირას მდებარეობს. ბრინჯაოს ხანისაა დოლმენები (ძვ. III—II ათასეული) —მეგალითური ტიპის სამარხი ნაგებობანი (სოფლები აზანთა, ოთხარა, აჭანდარა, ყულანურხვა, დოუს გადასასვლელი და სხვა. დოლმენებში აღმოჩენილია ბრინჯაოს იარაღები—ცულები, მძივები და სხვა.

ანტიკური ხანის ძეგლებს მიეკუთვნება 1930 წელს თაგილონში შემთხვევით აღმოჩენილი მდიდრული ორმო— სამარხი. სამარხეული ინვენტარის მეტი ნაწილი გაიტაცეს და დაიკარგა. მცირე ნაწილი გადარჩა და ცნობილია თაგილონის (II) განძის სახელწოდებით. აქ ნაპოვნია: სარიტუალო ოქროს ხარირემის

თავის ქანდაკება. მახვილის ვადის ოქროს გარსაკრავი, ოქროს ნაირნაირი ბალთები. ოქროს ნივთების მეტი წილი მდიდრულადაა შემკული ცვარათი და ძვირფასი ქვებით. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის 14 ჭურჭელი—თასები, ლანგრები, პინაკები.

გუდავას (ჩვენი წელთაღრიცხვით I—IIსს.) არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელმძღვანელი პროფ.პ.ზაქარაია) ძირითადად აღმოჩნდა კერამიკა, აგრეთვე რომაული მონეტები და სხვა.

ძვ.წ. II ათასწლეულიდან... მოყოლებული ვიდრე ანტიკურ ხანაში ამ ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რომ აქ არსებობს საერთო კოლხური, ე.ი. ქართული კულტურა, სადაც გამოყენებულია კაჟიცა და ოქროც.

## აფხაზეთის ძველისძველი ბინადარნი

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი მოსახლეობის შესახებ ძირითად წყაროს ბერძენ—რომაელ ავტორთა ცნობები წარმოადგენს. ანტიკურ ხანაში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების შესახებ ყველაზე ადრინდელი ცნობები ძველ ავტორებს ჰეკატეოს მილეტელს (ძვ.წ. VIს), ფსევდო სკილაკს კარიანდელს (ძვ.წ. iv ს) ეკუთვნის. მათი ცნობებით, ამ მხარეში ოდითგანვე სახლობდნენ კოლხური ტომები, რომლებსაც ეჭირათ დიოსკურიის (დღევანდელი სოხუმი) ჩრდილო—დასავლეთით მდებარე ტერიტორია. დიოსკურიაც კოლხთა მიწაწყლის ფარგლებში შედიოდა, ხოლო დიოსკურიის ჩრდილო—აღმოსავლეთით წებელდა—დალის მხარეში მისიმიელები ცხოვრობდნენ. კოლხურ ტომებს მიაკუთვნებდნენ ჰენიოხებს, სანიგებს, კორაქსებს, მისიმიელებს.

ძვ.წ. V-II საუკუნეებში ჰენიოხებს ეჭირა მდინარე ბზიფის დასავლეთი მხარე, დღევანდელ ტუაფსემდე, ხოლო კორაქსებს—

ბზიფსა და დიოსკურიას შორის მდებარე ტერიტორია, მისიმიელებს კი—თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო—აღმოსავლეთი ნაწილი.

სანამ უშუალოდ მათი ბინადრობის საკითხს განვიხილავდეთ, გავერკვეთ ამ კოლხურ ტომთა ვინაობაში. ვინ იყვნენ ჰენიოხები, სანიგები, კორაქსები, მისიმიელები.

აი, რას ვკითხულობთ ჰენიოხებზე ქართულ ენციკლოპედიაში (ტ.XI, გვ.624): „ჰენიოხები—უძველესი დროიდან კოლხეთის სანაპიროზე მოსახლე ტომები. ბერძენ—რომაელ ავტორთა დიდი ნაწილი— ჰელანიკე მიტილენელი (ძვ.წ. V ს), ფსევდო სკილაკს კარიანდელი (ძვ. წ. IVს) , არისტოტელე (ძვ.წ. IVს), არტემიდორე ეფესელი (ძვ.წ. II-Iს), სტრაბონი (ძვ.წ.Iს, ახ.წ.Iს) და ახ.წ.I ს. ისტორიკოსები— პომპონიუს მელა, ოვიდიუსი, პლინიუს უფროსი და სხვ. ჰენიოხების საცხოვრებელ ადგილად ასახელებენ კოლხეთის სანაპიროს ჩრდილოეთ სექტორს, პიტიუნტის... ჩრდილოეთით და დიოსკურიის... მახლობლად“. სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი აზრი ჰენიოხების ეთნიკური ვინაობის შესახებ. ზოგის აზრით ჰენიოხები არიან სვანები (ი.ორბელი, გ.მელიქიშვილი, თ.მიქელაძე), იმ განსხვავებით, რომ სამხრეთ ჰენიოხებს გ.მელიქიშვილი ეთნიკურად ჭანებს უკავშირებს. მეცნიერთა ნაწილი ჰენიოხებს მეგრულ—ჭანური მოდგმის ტომებად მიიჩნევს (ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, პ.ინგოროყვა, მ.ინაძე, ბ.გიგინეიშვილი და სხვა), ზოგი კი— აფხაზურ—ადიღეურ ტომებად (აფხაზი სეპარატისტი ისტორიკოსები, ზ.ანჩაბაძე). თ.ყაუხჩიშვილის მიხედვით, ჰენიოხები ადრე ცხოვრობდნენ კოლხეთის სანაპიროს ჩრდილოეთ მონაკვეთზე, ხოლო შემდეგ ჩერქეზული ტომების მოწოლის გამო სამხრეთისაკენ გადმონაცვლებულან. ასეთი ტალღა რამდენიმე ყოფილა, რის შედეგად ახ.წ. I-II საუკუნეებში ჰენიოხები აღმოჩნდნენ კოლხეთის სანაპიროს სამხრეთ რაიონებში ( ქ.ე., ტ. 11, გვ. 624). თუ ჰენიოხები ადიღეურ—ჩერქეზული ტომია, როგორ მოხდა, რომ ისინი სამხრეთით განდევნა ისევ ჩერქეზულმა ტომმა, ან რა იქნენ შემდეგ ჩერქეზები.

ახ.წ. I—ლი საუკუნიდან აფხაზეთის სანაპიროზე პლინიუსი აღნიშნავს ახალ სატომო სახელწოდებას სანიკი. ფლავიუს არიანეს გადმოცემით, მათ მიწაწყალზე მდებარეობდა ქალაქი სებასტოპოლი (დღევანდელი სოხუმი).

სანიგები, სანიხები, სანიკები ძველი დასავლეთ ქართული ტომია. პირველად იხსენიებენ I-IIსს. ავტორები—პლინიუსი, არიანე, მემნონი. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სანიგები იგივე ზანები (მეგრელ—ჭანები) იყვნენ. სხვების აზრით—სვანები. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ სანიგები ჯიქები (საძები) იყვნენ. პლინიუსისა და არიანეს ცნობით, სანიგები სებასტოპოლისის მიდამოებში ცხოვრობდნენ. (თ.მიქელაძე, ქ.ე., ტ.9, გვ. XI).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აკად.ი.ორბელის მიხედვით, ჰენიოხები იგივე სანიგები არიან. ი.ჯავახიშვილი, პ.ინგოროყვა, მ.ინაძე, ბ.გიგინეიშვილი ჰენიოხებს სანიგებთან აკავშირებენ და მეგრულ—ჭანურ ტომებად მიიჩნევენ.

აფხაზი ისტორიკოსების (ზ.ანჩაბაძე, შ.ინალიფა) მიხედვით, სანიგები აფხაზური ტომი საძებია.

ორიოდე სიტყვა კორაქსებზე. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე—12 ტომში (1975, გვ.140) კორაქსებზე წერია: კორაქსები—დასავლეთ საქართველოს ერთ—ერთი ტომის ძველი ბერძნული სახელწოდება—ხმარებული ძველბერძენი ავტორების ჰეკატიოსის, ფსევდო სკილაქსს კარიანდელის, პტოლემაიოსის მიერ. კორაქსებს ასახელებენ აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში. ზოგიერთი მკვლევარი სახელწოდებას „კორაქსი“ უკავშირებს კოლხების სახელწოდებას, რომელთა ნაწილსაც ისინი შეადგენდნენ.

ამჟამად სადაოდ არ ითვლება, რომ მისიმიელები ერთ—ერთი ქართული ტომია, თუმცა ზ.ანჩაბაძის ვარაუდით, მისიმიელები ერთ—ერთი აფხაზური ტომია. აკად.გ.მელიქიშვილი წერს: „რამდენადაც სახელწოდება მისიმიელი სვანთა ადგილობრივი სახელის „მუშვანის“ სახეშეცვლილი ფორმა უნდა იყოს... იხსენიებენ ბიზანტიელი ავტორები. მათი ადგილსამყოფელი აფსილების მიწა—წყალს თანამედროვე წებელდასთან ესაზღვრებოდა. აგა-

თია სქოლასტიკოსის (VIს) ცნობით მისიმიელები, ისე როგორც აფსილები, კოლხეთის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ, მაგრამ ამ ტომისაგან განსხვავებით სხვა ენა და ზნე—ჩვეულება ჰქონდათ" (ქ.ე., ტ. VII, გვ.15—16). მისიმიელები რომ სვანური ტომი იყო, ეს დადგენილი აქვს ს.აყაუხჩიშვილს, პ.ინგოროყვას.

მაშასადამე, წებელდის აღმოსავლეთით კოდორის ხეობაში ჯერ სვანებს უცხოვრიათ, შემდეგ—აფხაზებს. აფხაზები წებელდის მხარეში ცხოვრობდნენ მე—17 საუკუნიდან მე—19 საუკუნის 80—იან წლებამდე, სანამ ისინი მუჰაჯირობის დროს თურქეთში არ გადასახლდნენ.

ანტიკურ ხანაში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ბინადარი ხალხი, რომ კოლხური კულტურის მატარებელი იყო, ეს კარგად სჩანს არქეოლოგიური მონაპოვრებიდან — ბიჭვინთის (ლიმავის), ბომბორის, ყულანურხვის, სოხუმის მთის, წებელდის არქეოლოგიური ძეგლებიდან. ამას არ უარყოფს აფხაზი არქეოლოგი მ.ტრაფში.

ბერძენი ავტორების ჰელანიკე მიტილენელის (ძვ.წ. V ს), პალიფატე აბიდოსელის (ძვ. IVს) და მითრიდატეს ომების ისტორიკოსების (პროკოფი კესარიელი) ცნობით, აფხაზეთში ანტიკურ ხანაში ცხოვრობდა ქართული ტომი მოსხები. არცერთ აფხაზ ისტორიკოსს თავიანთ შრომებში, აფხაზეთის ისტორიის არც ერთ გამოცემაში აღნიშნული არა აქვთ ანტიკურ ხანაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსხების ცხოვრება. უცხოურ წყაროებში აბაზგები მოხსენებულია ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში. ნ.მარის, პ.ინგოროყვას, სიკვდილის წინახანებში დ.გულიას მიხედვით, მოსხები აფხაზთა წინაპრებია: მოსხი—ბასხი—აბასხი—აბაზგი—აფხაზი. მე—17 საუკუნემდე აფხაზები ქართველები იყვნენ. მათ სალაპარაკო ენას წარმოადგენდა მეგრული. თანამედროვე აფხაზები (აფსუები) კი ნაწილობრივ XVII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ხალხია. ისინი ქართველი ტომების შევიწროებით თანდათანობით აფართოებენ თავიანთ ტერიტორიას. XVII საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში კი აფხაზებმა გადალახეს მდინარე

კოდორი და დაიპყრეს სამეგრელოს ჩრდილო—დასავლეთი ნაწილი კოდორიდან ენგურამდე.

ამგვარად, უძველესი დროიდან აფხაზეთის მიწის ბინადარნი ქართველებია.

ორი ათასი წელია ფარშავანგის ბოლოსავით მოხატული აფხაზეთის ამ ულამაზეს მიწაზე ქართველები ( აფხაზები) ცხოვრობენ. გვჯერა, რომ იცხოვრებენ მომავალშიც. გვჯერა, რომ შრომისმოყვარე, დიდი ტრადიციების მქონე აფხაზი (აფსუა) ხალხი არ აჰყვება სეპარატისტულად განწყობილ ადამიანთა ცდუნებას, მათ ვნებათა ღელვას.

რამდენიმე საუკუნეა ერთი გვაქვს ყველას მიწა და ცა. კეთილი გულით ორივეს ქართველებსაც და აფხაზებსაც გვეყოფა ეს მიწაც და ცაც.

## ჩვენი მიწა

მშობლიური მიწის სიყვარული პატრიოტიზმის უმაღლესი გამოხატულებაა. ვის არ უყვარს მშობლიური მიწა, ბუნებრივია იგი უყვარს აფხაზსაც. ისტორიული ფაქტია: მუჰაჯირობის დროს თურქეთში მიმავალ აფხაზებს თან მიჰქონდათ ერთი მუჭა მშობლიური მიწა, რათა სიკვდილის შემდეგ საფლავში თან ჩაეტანებიათ. აფხაზს დღესაც უყვარს მშობლიური მიწა. ამ სიყვარულში არავინ ეცილება მას.

ჩვენ კი ვიტყოდით, რომ არა თუ აფხაზეთის მიწა, აფხაზურად მიწის აღმნიშვნელი სიტყვა „ადგილ"—იც ქართულია. ს.ს.ორბელიანი ადგილს მიწის ნაკვეთს უწოდებს.

აფხაზ სეპარატისტებს აკვიატებული აქვთ: „აფხაზეთი, ეს ჩვენი მიწაა". აფხაზეთში მოსახლე სხვა ეროვნებებს, პირველ რიგში, ქართველებს ამადლიან, აყვედრიან — ჩვენს მიწაზე ცხოვრობთო. არა თუ აყვედრიან, მათ ქართველების გასახლებაც

დაისახეს მიზნად და შედეგიც საყოველთაოდ ცნობილია. აფხაზი მეზობელი ქართველის ეზოში უნებართვოდ შევიდა. ხილი მოკრიფა, როცა შეეკითხნენ შეიძლება სხვის ეზოში ღობის გამონგრევით შესვლა და პატრონის ნებართვის გარეშე ხილის მოკრეფაო, უპასუხა: „რატომაა სხვისი, მე აფხაზი ვარ და აქ ყველგან ჩემი მიწაა". ვფიქრობ რომ ეს პასუხი ქურდობაზე მძიმე ბრალდებაა; სოხუმის მკვიდრს, რომლის პაპის—პაპაც სოხუმში ცხოვრობდა, აფხაზები ეუბნებიან: თქვენ აფხაზეთში ფანერის ჩემოდნით ჩამოხვედით და დღეს ჩვენს მიწაზე ცხოვრობთო. „ჩვენი მიწის" პრობლემამ უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო—აფხაზი მძღოლები ქუჩას, გზას გადაკეტავენ და იძახიან: ეს ჩვენი მიწაა, ვისაც გვინდა იმას გავუშვებთო, უშვებენ აფხაზ მძღოლებს, ქართველებს—არა.

1993 წელს, როდესაც აფხაზეთის არტილერია სოხუმს ბომბავდა და ქალაქს ანგრევდა, სეპარატისტთა ლიდერმა არძინბამ განაცხადა: „ჩვენ ქალაქი კი არ გვაინტერესებს, ჩვენ სოხუმის მიწა გვინდაო".

ვისია სინამდვილეში ეს მიწა? დავიწყოთ შორეული დროიდან ძველი ბერძნულ—რომაული წყაროებით ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ კოლხური ტომები, ჰენიოხები, სანიგები, კორაქსები, მისიმიელები. ქართველი ისტორიკოსების მიერ დამტკიცებულია, რომ ეს ტომები კოლხები იყვნენ. თუმცა აფხაზი ისტორიკოსები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ეს ტომები აფხაზთა წინაპრებიაო.

აფხაზეთში თავიდანვე კოლხური ტომების ბინადრობა იმაზე მოგვითხრობს, რომ აფხაზეთის მიწა ქართულია. ნ.მარის, პ.ინგოროყვას, ს.ყაუხჩიშვილის და სხვ. მიერ დამტკიცებულია, რომ აფხაზები ანტიკურ ხანაში აფხაზეთში მცხოვრები ქართული ტომი მოსხებიდან მომდინარეობენ. მრავალი ისტორიული საბუთით მტკიცდება, რომ I-II საუკუნიდან XVII საუკუნემდე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა ქართული ტომი აფხაზები, რომელნიც მეგრულ—ქართულ ენებზე ლაპარაკობ-

დნენ, მიწა ქართული იყო.

აღნიშნული გვაქვს, რომ სურათი იცვლება XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან—XVII საუკუნიდან, როდესაც აფხაზეთში მოსახლეობის შემცირების, შიდა პოლიტიკური ვითარების გამო ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოვიდნენ ადიღეურ—აბაზინური ტომები—აფსუები და მათ აფსუებად მოაქციეს ადგილობრივი აფხაზები. ქართული ენის ნაცვლად გაბატონდა აბაზინური ენა, რომელსაც აფსუები აფხაზურ ენას უწოდებდნენ. ამ დროიდან მიწის ერთი ნაწილი აფსუებმა ჩაიგდეს ხელში, ხოლო მისი მეტი ნაწილი აფხაზებად ქცეულ მეგრელებს და მეგრული წარმოშობის „ბა“ ბოლოკიდურიან გვარის (ქეცბა, თარბა, ჭანბა და ა.შ.) აფხაზებს დარჩა; მაგრამ განა მარტო აფსუები და აფსუებად ქცეული აფხაზები ცხოვრობდნენ აფხაზეთში? ქართველებიც ხომ ცხოვრობდნენ და ისინი ფლობდნენ ქართულ მიწას.

გადავხედოთ საქართველოს ისტორიას. ისტორიის ანალებში ვნახავთ მრავალ ფაქტს იმის დასამტკიცებლად, რომ აფხაზეთი მუდამჟამ საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო, აფხაზეთის მიწა კი—ქართული.

განა ვახტანგ გორგასალი უცხო ტომის აფსუას მიწისათვის იომებდა სამი წლის მანძილზე ბიზანტიელების წინააღმდეგ, აფხაზეთის დასაბრუნებლად?

აფხაზეთი აფსუების მიწა რომ ყოფილიყო , გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ მესამე აფსუებს აუშენებდა სოხუმში მდინარე ბესლეთზე ქვის ხიდს, ან ზღვის სიახლოვეს გორაკზე ააშენებდა ციხე—სიმაგრეს, ბაგრატის ციხე—სიმაგრის სახელწოდებით, რომლის ნაწილმა დღემდე მოაღწია; ცხუმ—აფხაზეთი ქართული მიწა იყო, ამიტომ დადიოდა „ჩვეულებისამებრ“ აქ დასასვენებლად საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე. აფხაზეთი ქართული მიწა იყო, ამიტომ ჩავიდა ზამთარში ბიჭვინთამდე დავით აღმაშენებელი, სადაც ერთგულნი დააჯილდოვა, ორგულნი კი დასაჯა — „წურთნა“.

ცხუმი და აფხაზეთი ქართული მიწა იყო, ამიტომ ჩადიოდნენ

აქ თამარ მეფე და გიორგი ლაშა, რათა განეგოთ „საქმენი მანდა-ურნი“; გიორგი ბრწყინვალეს შეეძლო ცხუმის ერისთავად ბედი-ელი დაესვა, აფხაზეთი ქართული მიწა რომ არ ყოფილიყო? ვახ-უშტი ბაგრატიონს სადაოდ არ მიაჩნია, რომ აფხაზეთი საქართ-ველოს განუყოფელი ნაწილია, ამიტომ იძლევა საკმაოდ ვრცელ ცნობებს მისი ისტორიისა და ბუნების შესახებ. აფხაზეთსაც ისე აღწერს როგორც საქართველოს სხვა ნაწილებს.

უფრო გვიან მაჰაჯირობის შემდეგ დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი მოუწოდებდა ქართველებს აფხაზეთის თა-ვისუფალ მიწებზე, რადგან იგი ქართული მიწა იყო.

ლექსში „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“ გალაქტიონი მიმარ-თავს აფხაზეთს: „მომაგებე მშობლიურო მიწა“.

აფხაზმა სეპარატისტმა ზ.აჩბამ (ოჩამჩირელმა ანჩბეიამ), რომელმაც დაწერა– „აფხაზეთი ეს რუსეთია“, კარგად იცის, რომ აფხაზეთი რუსეთი არ არის, მაგრამ ამის დაწერა მას დასჭირდა იმისათვის, რომ მოფერებოდა რუსეთს. აჩბა აფხაზეთში საცხოვ-რებლად ეპატიჟება ყველას რუსეთის მცხოვრებთ ვლადივას-ტოკიდან თუ სახალინიდან: მობრძანდით ჩვენთან, სახლები აიშ-ენეთ ზღვისპირას, გვეყოფა აფხაზეთის მიწაო. აჩბა ეპატიჟება ყველას გარდა ქართველებისა. მხოლოდ მასპინძელს არ ეპა-ტიჟებიან საკუთარ სახლში.

აფხაზთა ლიდერი ნესტონ ლაკობა თავის დროზე აფრთხილ-ებდა აფხაზებს: ჭკვიანად იყავით, თორემ დედამიწაზე ისეთი ლა-მაზი კუთხე გიჭირავთ, ისეთი მიწა გაქვთ, რომ მას დაკარგავთო. სწორედ რომ მიწის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგანან ამჟამად აფხაზები.

დადგება დრო და აფხაზ სეპარატისტებს მოეთხოვებათ პასუხი ქართველთა გენოციდისათვის.

არავინ არ ეუბნება აფხაზს: ნუ იცხოვრებ აფხაზეთის მიწ-აზეო, ოღონდ სხვას, პირველ რიგში ქართველს, ამ მიწის ნამდ-ვილ მფლობელს, ნუ შეუშლის ხელს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიხვდნენ სეპარატისტები, რომ ამჟამად აფხაზები, აფ-ხაზეთის მოსახლეობის არა თუ 17 პროცენტს შეადგენენ, როგო-

რც ეს იყო ამ ათიოდე წლის წინად, არამედ 11—12 პროცენტს და მთლიანად აფხაზეთის მიწას მათ არავინ არ მისცემს, ხოლო მათი მოწოდებანი: „ჩვენს მიწას ვიცავთო"—სიცრუეა. ქართული მიწის დაცვა აფხაზ სეპარატისტებს არ ევალება. ისინი მიწას კი არ იცავენ, თავიანთი ბატონობა უნდათ გაახანგრძლივონ.

თუ კეთილი, მეგობრული ურთიერთობა იქნება, აფხაზეთის მიწა ყველას ეყოფა, განურჩევლად ეროვნებისა, ყველას ვინც მის მკვიდრად ითვლებოდა აფხაზეთის კონფლიქტამდე.

## მხოლოდ სიცრუე და სიყალბე

თურქული წარმოშობის აფხაზ ოზგანს, აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის დროს, მოსკოვში რუსებს შორის გასავრცელებლად ჩაუტანია აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლის ლაკობას— აფხაზ სეპარატისტ—ისტორიკოსის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი ოთხგვერდიანი აფხაზეთის ისტორიული მიმოხილვა. ერთი ცალი მიუღია ჩემს მეგობარს ქართველს და თბილისში ჩამომიტანა. აფხაზეთის ოთხგვერდიან ისტორიაში იმდენი სიცრუე და სიყალბეა, რომ შეუძლებელია მისი აუღელვებლად წაკითხვა. ვეცდებით პასუხი გავცეთ აფხაზეთის ოთხგვერდიან ისტორიაში დასმულ საკითხებს.

ავტორი წერს: აფხაზები ერთ—ერთი უძველესი ძირითადი ეთნოსია კავკასიისა. აფხაზების შესახებ უცხოელ ავტორთა პირველი ცნობა ა.წ. პირველ და მეორე საუკუნეებს ეკუთვნის. ამიერკავკასიაში არის აფხაზებზე უფრო ძველი ხალხი, ენა, კულტურა და ტრადიციები ახლოსაა კავკასიელ მონათესავე ხალხთან, ამ საკითხზე ჩვენი პასუხი ასეთია: აფხაზური ენა XVII საუკუნემდე არ არსებობდა. ნ.მარის, პ.ინგოროყვას, ს.ყაუხჩიშვილის და სხვათა მიერ დასაბუთებულია, რომ აფხაზები ქართველ ტომ მესხ-

ებიდან (მოსხებიდან) წარმოიშვა. აკად.ნ.მარი: აფხაზი, „აბასხი, იგივე მასხი ანუ მესხია“. „იბერები და აბაზები ერთი ტომისანი არიან“,–წერს იოანე ცეცე– XIIს . ბიზანტიელი ფილოსოფოსი და კომენტატორი.

„აფხაზეთი ქვეყანაა გურჯებად წოდებული ქრისტიანი ხალხით დასახლებული“,–აღნიშნავდა იკუთი ალ–ჰამაკი– XIIIს არაბი ავტორი.

მათი სალაპარაკო ენა მეგრული იყო. ასე გაგრძელდა XVII საუკუნემდე. მე–17 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილმა აფსუებმა მეგრულად მოლაპარაკე აფხაზებს თავს მოახვიეს ჩრდილოეთ კავკასიური აბაზინური ენა, რომელსაც ამჟამად აფხაზურ ენას უწოდებენ. ასე რომ, აფხაზები სხვის–აბაზინურ ენაზე ლაპარაკობენ. კულტურა და ტრადიციები აფხაზებს ქართული აქვთ, მე–17 საუკუნიდან– ნაწილობრივ ჩრდილო კავკასიური, მხოლოდ მას შემდეგ რაც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოვიდნენ აფსუებად წოდებული აბაზინები, ყაბარდოელები, ადიღეველები და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელები. ისე რომ, აფხაზებს მეტი კავშირი ჰქონდათ ქართველებთან, ვინემ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთან; ცნობილია რომ, 1621 წლამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გვხვდება ადიღეურ–აბაზინურ, ჩერქეზულ, ყაბარდოული და აფსუური წარმოშობის არც ერთი გვარი. მანამდე ყველა გვარი აფხაზეთის მოსახლეობისა არის მხოლოდ ქართული– ძირითადად მეგრული (იხ. ბიჭვინთის საეკლესიო საბუთები, დავთრები, სულთა მატიანეები).

ავტორი წერს: „მე–8 – მე–10 საუკუნეებში არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფო–აფხაზთა სამეფო“. არასოდეს არ არსებობდა დამოუკიდებელი აფხაზთა სახელმწიფო. როგორც აკად. მ.ლორთქიფანიძე წერს, – ენით, პოლიტიკით, კულტურით, ტრადიციებით აფხაზთა სამეფო ქართული სახელმწიფო იყო. არავითარი ნამესტნიკი მეფეს არ ჰყავდა. აფხაზთა მეფეები ყველა ქართველი იყო. „აფხაზთა მეფეები ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის ნაშიერნი არიან“,–წერს ვარდან ვარდაპეტი– XIII ს. სომეხი მემატიანე. მეფე ბაგრატ მესამის დედა გურანდუხტი

ეროვნებით აფხაზი კი არ იყო, ქართველი მეფის თეოდოსის და იყო.

ის, რომ გაერთიანებული საქართველოს (XI-XIII სს.) მეფის ტიტული იწყებოდა „აფხაზთა მეფით", გამოწვეული იყო არა აფხაზთა პირველობით, არამედ ალფავიტში „ა" ასოს პირველობით. აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი რომ იყო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იქ არძინბები და შამბები იჯდნენ. ქუთაისი ქართული სახელმწიფოს „აფხაზთა სამეფოს" დედაქალაქი იყო და არა აფხაზთა. აფხაზი სეპარატისტები ქუთაისის მიდამოებში, იმერეთში ეძებენ აფხაზურ ტოპონიმებს, მაგრამ რაც არ არის, რას იპოვიან.

„მე–13–მე–15 საუკუნეებში აფხაზეთი იყო გენუელთა პოლიტიკურ–ეკონომიკური გავლენის სფეროში". უნდა მოვახსენოთ ს.ლაკობას, რომ გენუელები აფხაზეთში ისე მრავალრიცხოვანნი არ იყვნენ, რომ მათ პოლიტიკურ–ეკონომიკური გავლენა მოეხდინათ აფხაზეთზე: ისინი მხოლოდ თავიანთ სავაჭრო ფაქტორიებით იყვნენ დაინტერესებულნი.

ნუთუ არ შერცხვა ამ სტრიქონების ავტორს, როცა წერდა: „აფხაზეთის სამთავრო შევიდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში 1810 წლის თებერვალში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული", რომ მან რუსების ხელში თითქოს არ დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა, რომ „1810 წლიდან 1864 წლამდე აფხაზეთის სამთავრომ შეინარჩუნა „ავტონომიური მმართველობა" რუსეთის შემადგენლობაში", რომ „აფხაზეთის სამთავროს ერთ–ერთი განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობდა იმაში, რომ მან საქართველოსაგან განსხვავებით, არ დაკარგა რუსეთთან შეერთებით თავისი სახელმწიფოებრიობა". საინტერესოა ვის ატყუებს ამ „ნაშრომის" ავტორი? 1810 წლიდან აფხაზეთში ყველაფერი კეთდებოდა სანკტ–პეტერბურგის და უფრო მეტად ამიერკავკასიაში იმპერიის სამხედრო მოხელეების განკარგულებით. შეიძლება ასეთი ტყუილი დაიწეროს: „რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ აფხაზეთი შევიდა კავკასიის მთიელთა კავშირში, რომ 1918 წლის 11 მაისს გამო-

ცხადდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკა („მთიელთა რესპუბლიკა") და მის შემადგენლობაში შევიდა დაღესტანი, ჩეჩნეთ—ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი , ყარაჩაი, ბალყარეთი, აფხაზეთი, ადიღეი". ჩრდილოეთ კავკასიის „მთიელთა რესპუბლიკაში" ყოფნა, ეს მხოლოდ ბასარიას და აშხაცავას ტიპის აფხაზ სეპარატისტთა ოცნება იყო და არა სინამდვილე. ასევე ტყუილია ავტორის განცხადება, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თითქოს აფხაზეთი შევიდა „მთიელთა რუსპუბლიკის" შემადგენლობაში. გადაათვალიერეთ იმ დროის პრესა, აფხაზეთის ხალხი რა აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ნუთუ არ ახსოვს ამ სტატიის ავტორს აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის, აფხაზის, ვარლამ შერვაშიძის ოფიციალური განცხადება, რომ „აფხაზეთი არის საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული".

სიმართლესთან ახლო მდგომი ადამიანი დაწერს ასეთ სტრიქონებს? „1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზი ხალხი განთავისუფლდა საქართველოს რესპუბლიკის ჩარევისაგან, რეპრესიებისაგან". რატომ დაავიწყდა ამ სტრიქონების ავტორს, რომ 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთი დაიპყრო რუსეთის იმპერიის ჯარმა, რომელსაც წითელ არმიას უწოდებდნენ რუსი კომუნისტები.

აფხაზმა ისტორიკოსმა რომ კარგად იცოდეს 1921—30 წლების აფხაზეთის ისტორია, არ დაწერდა, რომ 1925 წელს აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფო იყოო. აფხაზეთი არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ერთი რუსი ისტორიკოსი წერს: ქართველებმა აფხაზეთს წაართვეს 2500 წლის სახელმწიფოებრიობაო (იხ. აფხაზეთის თეთრი წიგნი რუსულ ენაზე). აი, სანამდის მიდიან ცრუ ისტორიკოსები.

საიდან მოიტანა ავტორმა, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელი ნესტორ ლაკობა მოწამლეს თბილისში. ამ ფაქტს დასაბუთება უნდა; ან ლაკობას სიკვდილის შემდეგ რანაირად დადგა აფხაზი ხალხისათვის ყველაზე ტრაგიკული პერიოდი? მახსოვს, 1936 წელს ლაკობას სიკვდილთან დაკავშირებულ მიტინგზე სიტყვით

გამოსული აფხაზი პედაგოგის მარკოზ კალანდიას სიტყვები: „ლაკობას გარდაცვალებით აფხაზეთი განთავისუფლდა დიქტატორისაგან“. კალანდიამ ლაკობას გვარსაც კი ცუდი ახსნა მისცა. მიუღებელია ბრალდება 1937 წელს აფხაზური ინტელექტუალური ელიტის განადგურების შესახებ. ეს საბჭოთა კავშირში საყოველთაო მოვლენა იყო და აფხაზებზე უფრო მეტად ქართველებს შეეხო. აქ ქართველები არაფერ შუაშია. ავტორი წერს, რომ გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა აფხაზების გაქართველებაო, რაც არასწორია. ავტორი ვერ შესძლებს თუნდაც ერთი ფაქტის მოყვანას.

არც ისაა სწორი თითქოს სკოლებში აფხაზური ენის სწავლება შეიცვალა ქართულით. ის ფაქტი, რომ აფხაზური დამწერლობა რუსულიდან გადაყვანილ იქნა ქართულ გრაფიკულ საფუძველზე, სწორი იყო. ქართულსა და აფხაზურს აქვს საერთო ასოები: თ,ქ,ღ,ყ,წ,ჭ,ჯ, რაც რუსულში არ არის, რუსული ანბანი უცხოა აფხაზებისათვის.

ავტორის მტკიცებაზე, რომ აფხაზური ტოპონიმები შეიცვალა ქართულით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ქართულით შეიცვალა რუსული ტოპონიმები (მიხაილოვკა — შრომა, ანდრეევკა — ახალშენი, ანასტასიევკა — განახლება, პილენკოვო — განთიადი და სხვა). არც ერთი აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდება არ შეცვლილა ქართულით, მოხდა ერთი გაუგებრობა. გაგრის რაიონში სოფლის აფხაზური სახელწოდება მიქელრიფი შეიცვალა ქართული—სალხინოთი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ისევ აღსდგა მიქელრიფში. აფხაზი სეპარატისტები რატომ არაფერს ამბობენ, რომ ქართული ტოპონიმები შეიცვალა აფხაზურით: სუბეიში—აჩიგვარათი, თილითი — აბაჟვით, წყურგილი—აძიუბჟათი, ქიაჩი—ახუწათი და ა.შ. ავტორი წერს, რომ 1937—53 წლებში აფხაზეთში გადმოასახლეს ათეულ— ათასობით ქართველი. საკავშირო მთავრობის განკარგულებით, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშა—ხელით უზრუნველყოფის მიზნით აფხაზეთში გადმოსახლებულ იქნა ათი ათასი და არა ათეული ათასობით ქართველი. რაკი მოსახლეო-

ბაზეა საუბარი, ისიც ვთქვათ, რომ უკანასკნელი მონაცემებით აფხაზეთში აფხაზთა რაოდენობა 93 ათასია. ეს არაა სწორი.

სოხუმში, გუდაუთში, ოჩამჩირეში, ტკვარჩელში მცხოვრებ აფხაზებს, ყველას აქვს სოფელი. მოსახლეობის აღწერისას ისინი აღრიცხვაზე აიყვანეს ქალაქშიც და სოფლადაც. ამიტომ ხელოვნურად გაიზარდა აფხაზთა რაოდენობა. ჩვენ მრავალჯერ ვყოფილვართ მოწმე, აფხაზები გზას რომ გადაკეტავდნენ და ქართველებს გზაზე არ უშვებდნენ, ეს „ჩვენი მიწაა" და ვისაც გვინდა იმას გავუშვებთო. აფხაზ—სეპარატისტებს უნდა მოვახსენოთ, რომ აფხაზეთის ტერიტორია ეს ქართული მიწაა დაწყებული ანტიკური პერიოდიდან, როდესაც აქ ცხოვრობდნენ კოლხური ტომები: კორაქსები, ჰენიოხები, სანიგები, მისიმიელები; აფხაზები ქართველი ტომი მოსხებიდან მომდინარეობენ. 1559 წლის შავი ზღვის პირეთის რუკაზე (დიეგო ომემი) აფხაზეთი მინგრელიას სახელწოდებითაა აღნიშნული. კელასურის ნავსადგურს პორტო მინგრელო ეწოდებოდა. XX საუკუნის დასასრულს აფხაზი სეპარატისტები აფხაზეთს „ჩვენს მიწას" უწოდებენ და სხვა. არა თუ მიწა, მიწის აფხაზური სახელწოდება „ადგილ"—იც ქართულია.

მაჰაჯირობის დროს თურქეთში გადასახლდა არა ასიათასი (ზოგიერთი ავტორის მიხედვით – 400 ათასი) აფხაზი, არამედ 21 ათასი. გ.ძიძარიას მიხედვით – 30 ათასი და არა აფხაზი მოსახლეობის ნახევარი, როგორც მიმოხილვის ავტორი წერს.

ავტორს არ მოსწონს, რომ მუჰაჯირობის შემდეგ თავისუფალ მიწებზე დასახლდნენ ქართველები (ძირითადად მეგრელები). იგი აკრიტიკებს ჩვენს სათაყვანებელ იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც 1877 წელს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში" დაბეჭდილ სტატიაში დაუწერია, რომ აფხაზეთის განთავისუფლებულ მიწებზე პირველ რიგში უნდა დავასახლოთ მეგრელებიო. გოგებაშვილი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ მეგრელები და აფხაზები უახლოესი მეზობლები იყვნენ და ბუნებაც თითქმის ერთნაირი ჰქონდათ.

ისევ ვიმეორებთ, როდის ჰქონდა აფხაზეთს სახელმწიფოებ-

რიობა, რომელიც 1989–90 წლებში ქართველებს გაუუქმებია.

ამ ოთხ გვერდზე თითქოს აფხაზეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვა გვაქვს, მაგრამ ავტორი არაფერს წერს აფხაზურ ენაზე, აფხაზურ გვარებზე. აღნიშნული გვაქვს, რომ აფხაზური ენა არ არსებობს, XVII საუკუნემდე აფხაზები ლაპარაკობდნენ მეგრულ ენაზე. თურქ მოგზაურს ევლია ჩელების (XVII ს) აღნიშნული აქვს, რომ მთავრების „შარვაშიძეების საოჯახო ენა მეგრული იყო. ერთმანეთსაც მეგრულად ელაპარაკებოდნენ". ამჟამად აფხაზურად წოდებული ენა აბაზინურია, აფხაზი–სეპარატისტები ცდილობენ დამალონ ეს ფაქტი.

ასევე არ არსებობს აფხაზური გვარი. თანამედროვე აფხაზთა 80 პროცენტს მეგრულ–ქართული გვარი აქვს. ამჟამად მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ბა–ზე (არშბა, თარბა და სხვა) დამთავრებული გვარები ქართულია (მეგრულია). აფხაზთა გვარების ნაწილი ლაზურია, თურქულია, ერთეულები – სხვადასხვა ეროვნებისაა (რუსი, სპარსული, ზანგიც კი). ცალკე უნდა აღინიშნოს ჩრდილოეთ კავკასიური წარმოშობის აფსუები (სმირ, დბარ, ამპარ და სხვა). ცხადია მათი გვარებიც არ არის აფხაზური. აფხაზური გვარი არ არსებობს. ენა არა, გვარი არა, მიწა არა, ტრადიციები არა, – მკითხველმა განსაჯოს ვინ არიან აფხაზებად წოდებული აფსუები. არსებობს თუ არა ეროვნება – აფხაზი? აფხაზი სხვის ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა ეროვნებათა ნარევი ხალხია. აფხაზეთი –ეს რუსეთია–წერს აფხაზი სეპარატისტი ზურაბ აჩბა და ეპატიჟება რუსებს, მობრძანდით ზღვის პირას მიწას გამოგიყოფთ, დასახლდითო. რუსებიც ყოველმხრივ ხელს უწყობენ აფხაზეთს საქართველოსგან ჩამოშორებაში. ს.ჩერვონაიასთან საუბარში იური ვორონოვი ამბობდა: „აფხაზეთის გამოყვანა საქართველოდან –აი, ჩემი მეცნიერული კრედო... მთავარია აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოსგან და რუსეთთან შეერთება".

## ჟამი მეგობრობისა და ჟამი მტრობისა

აფხაზები (და არა აფსუები) ანტიკურ ხანაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ბინადარი ქართველი ტომიდან—მოსხებიდან წარმოიშვნენ. თავიდანვე ქართველები იყვნენ და ქართულ—მეგრულ ენებზე მეტყველებდნენ.

გარეშე მტერთან ომის დროს აფხაზები მუდამ ქართველებთან იყვნენ. ისინი შუა საუკუნეებში საქართველოს ლაშქრის მემარჯვენე ფლანგს შეადგენდნენ. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ბასიანის ომის დროს „დააწყვეს რაზმი... ერთ კერძ აფხაზნი და იმერნი, ერთ კერძ ამერნი და ჰერ—კახნი". გიორგი ლაშას მიერ განჯის აღების დროს „ერთ კერძ მხარგრძელი დგეს და ერთ კერძ ჰერ—კახნი და სომხითარნი, ქართველნი (ე.ი. ქართლელნი ვ.ზ.) და თორელნი, ერთ კერძ აფხაზნი, დადიან—ბედიანნი ლიხთ იქითნი". 1228 წელს ჯალალ—ედინთან საომრად რუსუდან მეფემ მოუწოდა „ყოველთა სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა... დადიანსა ცოტნეს... აფხაზთა... და ყოველთა იმერსა სამეფოსა". „ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნულია თათრებთან ბრძოლაში თუ რა გმირობა გამოიჩინა სახელოვანმა „შარვაშიძე დარდინ აფხაზ მხედართმთავარმა, ხოლო უფრო გვიან – მე—18 საუკუნეში სამურზაყანოს მფლობელმა ხუტუნია შარვაშიძემ (მეგრელმა და არა აფსუამ) სოლომონ პირველთან ერთად თურქების წინააღმდეგ ხრესილთან ომში საკუთარი ხმლით განგმირა 16 თურქი და თვითონაც შეეწირა სამშობლოს.

აფხაზები მონაწილეობდნენ კოხტასთავის ანტიმონღოლურ შეთქმულებაში. „დაამტკიცეს ომი და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა და განიყარნეს: უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი... და რაჭის ერისთავი—ესენი ყოველნი წავიდნენ კაზმვად".

1330 წელს, მეფე გიორგი ბრწყინვალეს დასავლეთ საქართველოს მთავრებმა, მათ შორის აფხაზეთის მთავარმა შარვაშიძემ „დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა. მეფე

შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი... და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს“.

ფარსადან გორიჯანიძე მოგვითხრობს, რომ 1555 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად „ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს: სამცხე და ქართლი და კახეთი—ყაენსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი და გურია და ლაზის ქვეყანა ხონთქარსა“. მე—16 საუკუნის მეორე ნახევრამდე, მე—17 საუკუნემდე ქართველები და აფხაზები ქვეყნის ჭირსა თუ ლხინში ერთად იყვნენ. ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილმა ადიღეური მოდგმის აფსუებმა თავიანთ ენაზე მოაქციეს ქართულ—მეგრულ ენებზე მოლაპარაკე აფხაზები, ისინი აფსუებად აქციეს. ამიტომ მე—16 საუკუნის მეორე ნახევრიდან „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული აფხაზები—აფსუებია.

მე—16 საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართველები და ქართველი აფხაზები ძმურ—მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ. ამ დროიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან აფსუების შემოჭრა, მათ მიერ ადგილობრივ აფხაზთა აფსუებად მოქცევის შემდეგ, როდესაც სალაპარაკო ენად აფხაზურად წოდებული აბაზინური ენა გახდა, იწყება წინააღმდეგობანი ქართველებსა და აფსუებს შორის, ისევ აფხაზად წოდებულ აფსუათა და ქართველთა შორის. ქვემოთ მოცემულია ამ ბრძოლების ფაქტები; ისევ ვიმეორებთ, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული აფხაზების ნაცვლად არაქართველი აფსუები და გააფსუებულნი (აფსუებად ქცეული) ქართველები უნდა ვიგულისხმოთ.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1591 წელს, „შემდგომად მიუხდნენ აფხაზნი გურიას ნავებითა, ამათ ეკუთა გურიელის—ძე მამია, სძლო და მოსწყვიტნა სრულიად“. მე—17 საუკუნის 60—იანი წლები: „გიორგი გურიელი იყო კაცი მხნე, შემმართებული, მშვილდოსანი, მოასპარეზე, რჩეული... ამან მოსრნა მეკობრედ მოსულნი აფხაზნი მრავალგზის“. აფხაზნი ზოგჯერ იმერეთსაც გადაწვდებოდნენ: „აფხაზთა აილაფეს ბარგი იმერთა“,—გადმოგვცემს ვახუშტი.

აფსუები განსაკუთრებით ემტერებოდნენ სამეგრელოს. ვახუშტის ცნობით, XVII საუკუნის მეორე ნახევარში „ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან"; XVII საუკუნის 80—იანი წლებში, – აგრძელებს იგი, –: „გარნა იყო ჭირნი ოდიშს... უმეტეს აფხაზთაგან, რამე თუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყვევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქვს ეპისკოპოსნი". მე—17 საუკუნის 80—იანი წლების ბოლოს „გარნა იყო ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარტიანისაგან კვლითა და ყიდვითა ტყვისათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამე თუ მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანასა ავაზაკობით და ცხადად" (ვახუშტი ბაგრატიონი).

აფხაზთა შემოტევებმა აიძულა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი (XVII ს) აფხაზებისაგან თავდასაცავად აღემართა კელასურის კედელი (ამ დროს მე—17 ს. 30—იან წლებში აფხაზეთის აღმოსავლეთი საზღვარი იყო მდინარე კელასური). კელასურის კედლის ნაშთებმა დღემდე მოაღწია. ცნობილი ფაქტი, მაგრამ ჩვენ გვინდა ისევ გავიმეოროთ: ლამბერტის ცნობით, ლევან დადიანმა რომ დაამარცხა აფხაზები, ხარკი დაადო, მაგრამ რადგან მათ არავითარი შესაძლებლობანი არ ჰქონდათ, ფული არ იცოდნენ, ამიტომ დადიანი იძულებული შეიქნა აფხაზეთის მთავრისათვის ხარკად დაედვა მწევარ—მეძებართა და ქორ—მიმინოთა გამოზრდა.

XVII საუკუნის 60—იანი წლებიდან აფსუები ძლიერდებიან. საშინელი ანარქიის გამო სამეგრელო ვერ უწევს აფხაზეთს წინააღმდეგობას. ასე, რომ, აფსუები თანდათანობით გადმოვიდნენ ჯერ კელასურს, შემდეგ კოდორს და სულ ოციოდე წლის განმავლობაში მიაღწიეს ჯერ მდინარე ღალიძგას, შემდეგ ენგურს. ამ დროს ქართული მოსახლეობისაგან დაცარიელდა მდინარე კოდორსა და ღალიძგას შორის მდებარე მხარე. განთავისუფლებულ მიწაზე აფსუები დასახლდნენ. სამეგრელოს ჩრდილო—დასავლეთი ნაწილი—თანამედროვე ოჩამჩირისა და გალის რაიონები აფხაზეთის ნაწილად იქცა. ღალიძგასა და ენგუ-

რს შორის გამოიყო სამფლობელო სამურზაყანო.

აფხაზთაგან აწიოკებული სამეგრელო დახმარებისათვის ხშირად მიმართავდა იმერეთს. ვახუშტის ცნობით მე–18 საუკუნის დასაწყისში იმერეთის განმგებელმა აბაშიძემ „შემოიკრიბა სპანი იმერთა, წავიდა და შთავიდა აფხაზეთს, ვერ წინაღუდგა შარვაშიძე, მოსტყუეენეს აფხაზები“.

„ქართლის ცხოვრებაში“ არსად არ არის აღნიშნული, რომ მე–16 საუკუნიდან ქართველები აფხაზებთან ერთად იბრძოდნენ გარეშე მტრის წინააღმდეგ. პირიქით, ოსმალებმა მიიმხრეს აფხაზები და მათ გეგუთში მოჰკლეს სამეგრელოს მთავარი ბეჟან დადიანი.

შეიძლება ვინმე შეგვედავოს 1757 წელს ხრესილის ომში აფხაზები ოსმალების წინააღმდეგ ხომ ეხმარებოდნენო იმერეთის მეფე სოლომონ პირველს. არა, აქ აფხაზები კი არ იყვნენ, არამედ სამურზაყანოელი ქართველები. მე–18 საუკუნეში აფსუები თავს ესხმოდნენ სამეგრელოს და დიდ ზიანს აყენებდნენ ცალკეულ სოფლებს. ე.თაყაიშვილს (იხ.ძველი საქართველო“, ტ. III, 1913–1914 წწ.) აღნიშნული აქვს, რომ მე–18 საუკუნეში აფსუებს გაუძარცვიათ და აუოხრებიათ ცაიშისა და წალენჯიხის ტაძრები.

1779 წელს აფხაზეთის მთავარი ოსმალებთან და ჩრდილოეთ კავკასიელებთან („ჯიქნი და ალანნი“) ერთად 11 ათასიანი ჯარით მიადგა მდინარე ენგურს. სამეგრელოს მთავარმა კაცია დადიანმა შეკრიბა ჯარი და დახმარება სთხოვა სოლომონ მეფეს. მეფე დაეხმარა იმერთა ჯარით და ომი მოხდა სოფელ რუხთან. ომი დასრულდა აფხაზთა სრული დამარცხებით.

მე–19 საკუნეში რუსეთის მმართველობის ქვეშ მყოფი აფხაზები ვერ ბედავდნენ ქართველების წინააღმდეგ გალაშქრებას, მაგრამ რევოლუციის შემდეგ, 1918–21 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, აფხაზები ჯერ თეთრი (ნ.დენიკინი), შემდეგ წითელი რუსეთის წაქეზებით აუმხედრნენ ქართველებს. იყო ბრძოლები, თავდასხმები, შეტაკებანი, მაგრამ დამარცხდნენ. ამიტომაა, რომ აფხაზი ისტორიკოსები თავიანთ შრ-

ომებში შეურაცხყოფენ ქართველ მხედართმთავრებს—გ.მაზნიაშვილსა და ვ.ჯუღელს, რომლებმაც ჩაშალეს აფხაზთა სეპარატისტული ზრახვანი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აფხაზთა მხრივ იყო ცდები საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა, მაგრამ დამარცხდნენ; 1942 წელს, როდესაც გერმანელები სოხუმს ბომბავდნენ, დაიკავეს მაღალმთიანი სოფელი ფსხუ და საქართველო დადგა საშიშროების წინაშე, აფხაზმა სეპარატისტებმა თავი გამოყვეს, მოინდომეს საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილება, მაგრამ მათი განზრახვანი გამომჟღავნდა; ხელმძღვანელები ს.ბასარია, მ.პატე—იფა რეპრესირებულნი იქნენ და შეთქმულება ჩაიშალა.

და აი, ახლა ჩვენს პირობებში, როგორც კი მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა, აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველ ხალხს თავს მოახვიეს ომი. თუ როგორ დამთავრდა ეს ომი საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იგი საბოლოოდ აფხაზ სეპარატისთა დამარცხებით დამთავრდება. არც აფხაზი მუშაა და არც გლეხი სეპარატისტი. სეპარატისტები ინტელიგენტები და მოინტელიგენტო აფხაზებია, ისინი ნამდვილად დაკარგავენ აფხაზეთს.

გურიის წინააღმდეგ აფხაზების გალაშქრება დათარიღებულია 1591 წლით. მას შემდეგ 400 წელია გასული. როგორც კი მომენტს გამოძებნიდნენ, აფსუა სეპარატისტები ყოველთვის ებრძოდნენ ქართველებს: მკვიდრ ქართველებს შემოსულებად (ისიც მხოლოდ მე—19—20 საუკუნეებში) თვლიდნენ და ოკუპანტებს უწოდებდნენ.

როგორც კი დამთავრდება მიმდინარე კონფლიქტი, პირველი ამოცანა იქნება მომავლისათვის აღიკვეთოს აფხაზ—სეპარატისტთა ანტიქართული მოქმედება.

სეპარატისტები აფხაზთა უმცირესობას შეადგენენ. მართალია სეპარატისტთა უმრავლესობა ინტელიგენტებია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზური ინტელიგენციის მაღალი ფენა ქართველებისადმი კეთილად იყო განწყობილი. ყველას ვერ და-

ვასახელებთ, მაგრამ ავღნიშნავთ შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებს: ანდრია ჭოჭუას, არქიპო ლაბახუას, გიორგი ძიძარიას, ხუხუტი ბღაჟბას, მიხეილ დელბას, სოკრატ არშბას.

აფხაზ—ქართველთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ერთ მაგალითს მოვიტანთ. აკადემიკოს ნიკო კეცხოველს თავის ერთ—ერთ წიგნში ასეთი მაგალითი აქვს მოყვანილი: მე—19 საუკუნის მეორე ნახევარში მუჰაჯირობის დროს ცხუმ—აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრესთან მივიდა ერთი აფხაზი და განუცხადა: ჩვენი ახლობლები ყველანი წავიდნენ, მე და ჩემი მეუღლეც უნდა წავიდეთ თურქეთში, შვილები დაგვეხოცა, დაგვრჩა მხოლოდ ერთი ვაჟი; არ გვინდა, რომ ის წავიყვანოთ უცხო ქვეყანაში, გადავწყვიტეთ დაგიტოვოთ თქვენ. ბავშვი ეპისკოპოსმა გაზარდა. აი, როგორი ნდობა, როგორი სიყვარული ჰქონდათ ჭეშმარიტ ადამიანებს. ახლა კი აფხაზი ბოევიკები ქართველთა სიკვდილზე, ძარცვაზე, სახლების ცეცხლწაკიდებაზე, ყოველგვარ ბოროტებაზე ფიქრობენ და ოცნებობენ.

ნესტორ ლაკობა წერდა: „საკითხის დასმა, რომ აფხაზეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი და უნდა გამოეყოს საქართველოს, მიგვიყვანდა იქამდე, რომ აფხაზეთი დაიშლებოდა, როგორც ცელქი ბავშვის ხელით აგებული ქაღალდის ხუხულა“.

## არსებობდა თუ არა აფხაზთა სახელმწიფო

აფხაზი სეპარატისტები ნამეტანი დაბოხებული ხმით აცხადებენ, რომ ქართველებმა მათ თორმეტსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა წაართვეს. ხელზე დაიხვიეს რა VIII-X საუკუნეებში აფხაზეთის სამეფოს არსებობა. როგორც მთელი იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, ასევე აფხაზეთის მეფეებსაც ეროვნებით აფსუებად მიიჩნევენ. ამტკიცებენ, რომ დასავლეთ საქართველოში დღემდე შემორჩენილია ბევრი აფხა-

ზური, ანუ აფსუური ტოპონიმი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში, ენგურის აღმოსავლეთით ამგვარი რამ არსად არ გვხვდება. რაკიღა VIII საუკუნის 80—90—იანი წლებიდან X საუკუნის 80—იან წლებამდე მართლაც არსებობდა ქართველ აფხაზთა და არა აფსუათა სამეფო, ჭეშმარიტ ისტორიასთან მწყრალად მყოფი აფსუა ისტორიკოსები სიჯიუტით გვიმტკიცებენ საქართველოს ჩრდილო—დასავლეთით, შავ ზღვისპირეთში აფსუათა თორმეტ საუკუნოვან სახელმწიფოს არსებობას, რომელსაც თურმე, აგერ აქამდე, მოუღწევია, მაგრამ ქართველებს წაურთმევიათ. უფრო შორს წავიდნენ აფსუა ისტორიკოსთა დამქაშები. 1993 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში, რომლის ავტორები არიან ი.ვორონოვი, პ.ფლორენსკი და ტ.შაუტოვა, ერთი—ერთი ქვეთავის სათაურია: „აფხაზეთი – 2500 წლის სახელმწიფოებრიობის ქვეყანა". 1200—ს არ დასჯერდნენ და 2500 წლამდე აიყვანეს „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა". ასე სძლია სიძულვილმა მეცნიერულ სინდისს.

ავტორთა უტიფარ უმეცრებას რა ვუყოთ, თორემ აფხაზთა სამეფო რომ ქართული სახელმწიფო იყო, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, რაც ი.ჯავახიშვილის, ს.ჯანაშიას, ნ.ბერძენიშვილის, გ.მელიქიშვილის, მ.ლორთქიფანიძის, ზ.ანჩაბაძის, შ.ბადრიძის და სხვათა შრომებით არის დადასტურებული. ცნობილი ფაქტია, რომ VIII საუკუნეში შექმნილ დასავლეთ საქართველოს სამეფოს, აფხაზთა ერისთავის გამეფების გამო, „აფხაზთა სამეფო" ეწოდება, ხოლო XV საუკუნიდან ამავე დასავლეთ საქართველოს კათალიკოს—პატრიარქს აფხაზეთის კათალიკოს პატრიარქი. ყოველივე ამით ისარგებლეს პრიმიტივმა აფსუა—ისტორიკოს—სეპარატისტებმა და სამეფოსთან ერთად საკათალიკოსოც მხოლოდ აფხაზურად ჩათვალეს.

არც მე—8 საუკუნეში, არც შემდგომ, აფხაზეთს არ ჰქონია სახელმწიფო თავისი აუცილებელი ატრიბუტებით, ნიშნებით თუ ჰეროლდიკით. არ ჰქონია სახელმწიფო აპარატი, არმია, ფული,

სახელმწიფო ენა, გერბი და სხვა. არ ჰქონია საკუთარი აფხაზური სამართლის კანონები, დამოუკიდებელი ტერიტორია. ამ ხნის მანძილზე აფხაზეთი ეგრისის სამთავროს, დასავლეთ საქართველოს სამეფოს, გაერთიანებული საქართველოს სამეფოს, იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო...

აი, რას ვკითხულობთ „აფხაზთა სამეფოზე" ქართულ ენციკლოპედიაში (ტ.II, 1977) – ავტორი პროფ. ზ.ანჩაბაძე: „აფხაზთა სამეფო—ერთიანი ადრინდელი ფეოდალური ქართული სახელმწიფო, რომელსაც აგრეთვე ეწოდება ეგრის—აფხაზეთის სამეფო, (VIII ს. 80—90—იანი—X ს. 80—იანი წ.წ.). წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად. დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში აფხაზმა ფეოდალებმა მთავარ ლეონ II—ის მეთაურობით, როგორც ჩანს ისარგებლეს ეგრისის მმართველი წრეების პროგრესული ნაწილის მხარდაჭერით. VIII ს. ბოლოს ლეონ II განთავისუფლდა ბიზანტიის დამოკიდებულებისაგან და მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. ამ აქტში მას დაეხმარა მისი ახლო ნათესავი ხაზართა ხაკანი (ლეონის დედა ხაზართა მეფის ასული იყო). სამეფოს ეწოდა „აფხაზთა სამეფო". აფხაზთა სამთავროს წამყვანი როლის გამო, ზოგ წყაროში აფხაზეთის მეფეები ეგრისის მეფეებად იწოდებოდნენ. მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დაახლოებით ჭოროხამდე, აღმოსავლეთით კი ლიხის (სურამის) ქედამდე. აფხაზეთის სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები (ქართები, მეგრელები და სვანები) იყვნენ. მნიშვნელოვან წილს შეადგენდნენ აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები და ტომები. სახელმწიფო და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სალაპარაკო ენა ქართული იყო. სამეფოს დედაქალაქი გახდა ქუთაისი – დასავლეთი საქართველოს ცენტრი... თავის დროისათვის მაღალ დონეს მიაღწია ფეოდალურმა კულტურამ, რასაც მოწმობენ ქართული ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვანი ძეგლები წარმოქმნისთანავე აფხაზეთის სამეფო აქტიურად მონა-

წილეობდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში... ჯერ კიდევ IX საუკუნეში გაანთავისუფლეს თავისი ეკლესია კონსტანტინეპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან და დაუქვემდებარეს მცხეთის კათალიკოსს... აფხაზეთის სამეფოს პერიოდში ფართოვდება ტერმინების „აფხაზეთის“ და „აფხაზების“ მნიშვნელობა (როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში). ამ ტერმინების ქვეშ იგულისხმება მთელი დასავლეთ საქართველო და მისი მოსახლეობა... აფხაზეთის სამეფომ დიდი როლი ითამაშა ქართული ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბების დამთავრების პროცესში. მის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ქართების, მეგრელებისა და სვანების კონსოლიდაცია“. ანალოგიურადაა გაშუქებული ეს საკითხი „საქართველოს ისტორიის ქრონიკებშიც (ტ. II).

საშუალო სკოლის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (1985) აღნიშნულია, რომ „VIII საუკუნის დასასრულს შეიქმნა მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი დიდი ქართული სახელმწიფო—აფხაზეთის სამეფო“.

აფხაზეთის ისტორიის (1986წ.) ავტორებს ზ.ანჩაბაძეს, გ.ძიძარიას, ა.კუპრავას აღნიშნული აქვთ, რომ „აფხაზეთის სამეფოში“ ქართული ელემენტი შეადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას, მათ ამ სახელმწიფოში ჰქონდათ მნიშვნელოვანი და წამყვანი როლი... ქართულმა ენამ მიიღო საყოველთაო გავრცელება მთელს სახელმწიფოში, როგორც დამწერლობისა და კულტურის ენამ“. (გვ.46). ამგვარად „აფხაზეთის ისტორიის“ ავტორებიც იმასვე წერენ, რაც ქართულ წყაროებშია მოცემული, მაგრამ აფსუებს, ეს ხელს არ აძლევთ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ერისთავი ლეონი ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებოდა მეფე არჩილთან: „მან მისცა ლეონს ძმისწული თავისი გურანდუხტი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ.I 1955წ. გვ. 248). ჯუანშერის მატიანიდან ცნობილია, რომ ქართლის მეფის არჩილის საბრძანებელში შედიოდა ეგრისი, ხოლო აფხაზეთის ერისთავი ლეონ I მისი ყმადნაფიცი იყო. „შემდგომად ამისა, რაჟამს აღეს-

რულა წმინდა მოწმე არჩილი, დაშთენ შვილნი მისნი იოვანე და ჯუანშერი". („ქართლის ცხოვრება", ტ.I, გვ.249). ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ძმისწულმან ლეონ აფხაზთა ერისთავისაგან მეორემან ლეონ... იწოდა მეფედ აფხაზთა, ვინაიდან მოკვდა იოვანე და ჯუანშერიცა დაბერებული იყო და მოკვდა ისიც" („ქართლის ცხოვრება", ტ.I 1973, გვ.127). აქ გარკვევით სწერია, რატომ შეძლო აფხაზთა ერისთავმა მეფის ტიტულის მიღება, რომ მან მემკვიდრეობით მიიღო ეს ტიტული.

რა ეროვნების იყვნენ აფხაზთა მეფეები? გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფხაზთა მეფეები ბერძნები იყვნენ. დ.ბაქრაძის, პ.უვაროვას, ს.ლატიშევისა და პ.ინგოროყვას მიხედვით, აფხაზთა მეფეები ქართველები იყვნენ. ამ მოსაზრებას ასაბუთებს თ.მიბჩუანიც ზ.ანჩაბაძის აზრით კი ისინი აფხაზები იყვნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. მ.ლორთქიფანიძე წერს: „არც ერთი მოსაზრება სათანადოდ დასაბუთებული არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, მათ ეთნიკურ კუთვნილებას არც აქვს მნიშვნელობა. განურჩევლად მათი წარმოშობისა, აფხაზთა მეფეები თავისი საქმიანობით ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ" (საქართველოს ისტორია ტ.II, გვ.420). ერთი რამ ცხადია, რა ეროვნებისაც არ უნდა ყოფილიყო აფხაზეთის მეფე ლეონ მეორე, მისი მემკვიდრეები ქართველები იყვნენ, საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდნენ.

ე.თაყაიშვილის, ი.ჯავახიშვილის, პ.ინგოროყვას და სხვათა მონაცემებით, აფხაზ მეფეთა ქრონოლოგია დაახლოებით ასეთია: ლეონ II (755–798), თეოდოსი II (798–825), დემეტრე II (835–861), გიორგი I (861–868), იოანე და ადარნასე I (868–881), ბაგრატ I (881–893), კონსტანტინე III (893–922), გიორგი II (922–957), ლეონ III (957–967), დემეტრე III (967–975), თეოდოს III (975–978), ხოლო 978 წლიდან დასავლეთ საქართველოში გამეფდა თეოდოს III–ის დის გურანდუხტის შვილი, საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ III. არავისთვის არაა საეჭვო, რომ ეს მეფეები ქართველები იყვნენ

და არა აფსუები. აფხაზ—სეპარატისტებს ლეონ მეორე აფხაზად მიაჩნიათ და მის სახელზე ჯილდოც კი დააწესეს.

ცნობილი ფაქტია: აფხაზთა სამეფომ იარსება გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III დრომდე, ხოლო საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორია შევიდა ერთიანი საქართველოს სამეფოში— აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოების სახით, რომლებიც თამარ მეფის დროს გაერთიანდნენ და ცხუმის საერისთავო ეწოდათ.

მონღოლების შემოსევის შემდეგ, XIII საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველო ორ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ საქართველო და დასავლეთ საქართველო. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთი. XIV საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ოდიშის მთავარმა დადიანმა დაიკავა ცხუმის საერისთავო.

XV-XVI საუკუნეებში, XVII საუკუნის დასაწყისამდე, აფხაზეთი ოდიშის მთავარზე იყო დამოკიდებული, შემდეგ დამოუკიდებელ სამთავროდ გაფორმდა, თუმცა იმერეთის სამეფოს ვასლად რჩებოდა... აფხაზეთის სამხრეთ—აღმოსავლეთის საზღვარი ამ დროისათვის მდინარე კოდორი იყო, საზღვარი მე—17 საუკუნის 80—იან წლებში აფხაზეთის მთავრებმა შარვაშიძეებმა ჯერ მდინარე ღალიძგამდე, მერე კი მდინარე ენგურამდე გადასწიეს.

XVI საუკუნეში აფხაზეთი ოსმალეთის გავლენა—ბატონობის ქვეშ მოექცა. აფხაზეთის სამთავროს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან შესაძლებელი გახდა 1810 წელს, რუსეთთან „შეერთების“ შედეგად. 1864 წლის ივნისში ოფიციალურად გამოცხადდა აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, მთავარი გადააყენეს და აფხაზეთში შემოღებულ იქნა რუსული მმართველობა. აფხაზეთს ეწოდა „სოხუმის სამხედრო განყოფილება“, 1883 წლიდან „სოხუმის ოკრუგი“. მე—19 საუკუნეშიც რუსული მმართველობის წლებში, აფხაზ ხალხს აფხაზეთი საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა. ერთ მაგალითს მოვიყვანთ: 1870 წლის 23 მარტს აფხაზეთისა და სამურზაყანოელი თავად—აზნაურ-

ობის დეპუტაციას გ.ემუხვარის, გ.მარშანიას, თ. მარღანიას, კ.ინალ—იფას ხელმოწერით თბილისის საადგილმამულო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარისადმი მიცემულ განცხადებაში აღნიშნული აქვს, რომ „ძველთაგან აფხაზეთი წარმოადგენდა ნაწილს ყოფილი საქართველოს სამეფოსი. აფხაზ და სამურზაყანოელ ხალხს თითქმის უკანასკნელ დრომდე ჰქონდათ საქართველოსთან, სამეგრელოსთან და იმერეთთან ერთი სარწმუნოება, ერთიანი წეს—ჩვეულებანი, ერთიანი კანონები. (ა.მენთეშაშვილი, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის ურთიერთობის ისტორიიდან, 1990. გვ.19).

საინტერესოა ერთი ფაქტიც: 1918 წლის 28 ივლისს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე (ოქმი №60) კონსტანტინეპოლის საერთაშორისო კონფერენციაზე წარმომადგენლის გაგზავნის საკითხის განხილვისას, სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ, ეროვნებით აფხაზმა ვ.შარვაშიძემ განაცხადა: „აფხაზეთი სახელმწიფო არ არის, იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ნაწილია, ამიტომ არ შეიძლება გვეყოლოს დამოუკიდებელი დიპლომატიური მისია“.

როგორც ცნობილია, 1918 წელს ქართველი ხალხის ინიციატივით სოხუმის ოლქს ეწოდა აფხაზეთი, ხოლო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური ერთეული, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახით საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც არსებობდა.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ აფხაზთა დამოუკიდებელი სახელმწიფო არასოდეს არ არსებობდა და სრულიად უსაფუძვლოა აფხაზი სეპარატისტების და მათი დამქაშების დაჟინებული „მტკიცება“. აფხაზეთი 1200 წლის განმავლობაში სახელმწიფო იყო და აფხაზებს სახელმწიფოებრიობა ქართველებმა წაართვესო.

აფხაზეთი ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

## აფხაზები და აფსუები „ქართლის ცხოვრებაში“

„ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროს წარმოადგენს, უძველესი დროიდან აფხაზებზე ისეა საუბარი, როგორც სხვა ქართველ ტომებზე: კახელებზე, ქართლელებზე, იმერლებზე, მეგრელებზე.

ამჟამად, დადგენილია (ნ.მარი, პ.ინგოროყვა), რომ აფხაზები ანტიკურ ხანაში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომისაგან—მოსხებიდან მომდინარეობენ: მოსხი, ბასხი, აბასხი, აბაზგი, აფხაზი. აკად.თ.გამყრელიძეს აღნიშნული აქვს, რომ სახელწოდება აფხაზი პირველად დასავლეთ ქართულ ტომს ნიშნავდა, შემდეგ კი იგი გახდა არაქართველი ხალხის სახელწოდება, რომელიც თავისთავს აფსუას უწოდებს. შუა საუკუნეებში აფხაზი ისეთივე ქართველი იყო როგორც კახელი, ქართლელი, იმერელი, მეგრელი. XVII საუკუნის 40—იან წლებში თურქი მოგზაური ევლია ჩელები წერდა: „ქრისტიანი აფხაზები ქართველებია, წარმართი აფხაზები—ჩრდილოეთ კავკასიელები“.

ისტორიულად ქართველი აფხაზები ქრისტიანი, მიწათმოქმედი, მშენებელი ხალხი იყო. მათი აგებულია ცხუმი, დრანდა, ანაკოფია, ლიხნი, ბიჭვინთა, გაგრა. მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოხვეწილ აფსუებს აფხაზეთში უბრალო მეჩეთიც კი არ აუშენებიათ. ქალაქ სოხუმში ერთი შენობაც არ არის აფსუების მიერ აგებული.

აფსუა—სეპარატისტებს ხელზე აქვთ დახვეული, რომ VIII-X საუკუნეებში არსებობდა „აფხაზთა სამეფო“. ცნობილი ფაქტია, რომ VIII საუკუნის 80—90—იანი წლებიდან X საუკუნის 80—იან წლებამდე დასავლეთ საქართველოში არსებობდა ერთიანი ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფო „აფხაზთა სამეფო“. ეს იყო ქართველ აფხაზთა და არა აფსუათა სახელმწიფო. „აფხაზთა სახელმწიფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი

მეფეები ამავე ნიშნებით ქართველები იყვნენ“ (პროფ. მ.ლორთ-ქიფანიძე, თ.მიბჩუანი).

მე—16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე—17 საუკუნეში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის შემცირების გამო, ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოიჭრნენ ადიღეური წარმოშობის ტომები. ისინი ჩრდილოეთ—კავკასიურ აბაზინურ—ყაბარდოულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ეს ენა თავს მოახვიეს მეგრულ ენაზე მოლაპარაკე აფხაზებს და იგი ამჟამად აფხაზური ენის სახელწოდებით არის ცნობილი. შუა საუკუნეებში აფხაზური ენა არ არსებობდა, აფხაზები ქართულ (მეგრულ) ენაზე მეტყველებდნენ.

პროფ. ა.ონიანი წერს: „თანამედროვე აფხაზების აფხაზური სახელწოდება... არის აფსუა და არა აფხაზი. ამ ორი სახელწოდების (აფსუა, აფხაზი) წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირება ლინგვისტური თვალსაზრისით სრულიად შეუძლებელია და მაშინ ბუნებრივია (დაისვას) კითხვა: რატომ არ უწოდებენ თანამედროვე აფხაზები თავიანთ ენაზე თავის თავს აფხაზებს, თუ კი ისინი მართლა ისტორიულად ცნობილი აფხაზების შთამომავლები არიან? ისტორიული აფხაზი და თანამედროვე აფსუა ორი სხვადასხვა ხალხის, ორი სხვადასხვა სახელწოდებაა... მხოლოდ ასეთი გაგების შემთხვევაში შეიძლება აიხსნას ისტორიული და თანამედროვე აფხაზების სრულიად სხვადასხვაგვარი (ერთმანეთის საწინააღმდეგო) დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველებისადმი“.

ისტორიულად აფხაზები ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს ორგანული ნაწილი, ქართული კულტურულ—პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე, საქართველოსთვის თავდადებული და დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება—გაერთიანების მოთავენი იყვნენ. თანამედროვე აფხაზები (აფსუები) კი ქართველ ხალხს მტრად მოეკიდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულმა აფსუებმა გარესამყაროსათვის მიიღეს აბორიგენი აფხაზების სახელწოდება. რა ურთიერთობა არსებობდა ადრე აფსუებსა და ქართველებს შორის და

როგორ შეიცვალა იგი მე—16, მე—17 საუკუნეებიდან? მხოლოდ ფაქტები: პირველ რიგში, საინტერესოა საქართველოს მეფეთა დამოკიდებულება აფხაზეთისა და აფხაზებისადმი.

აფხაზნი უცხო ტომის ხალხნი რომ ყოფილიყვნენ, როგორც აფხაზი სეპარატისტები ფიქრობენ, მაშინ მეფე ვახტანგ გორგასალი სამ წელიწადს იბრძოლებდა ბიზანტიელების წინააღმდეგ, რათა ბერძენთათვის ჩამოერთმია „ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე—გოჯამდე?“ (ჯუანშერი).

ლეონტი მროველმა შესანიშნავად იცის აფხაზეთისა და აფხაზების არსებობა, მაგრამ მისთვის აფხაზეთი— ეგრისია. XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელი წერს—სიმონ კანანელი „ქვეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს“. ჩვენი ქვეყანა—აფხაზეთია.

ცნობილია, რომ ქართველი მეფეები საქმეებზე, დასასვენებლად, სანადიროდ, აფხაზეთს ჩადიოდნენ:

ბაგრატ მეოთხე: „რამეთუ მოწევნულიცა იყო ჟამი ზამთრისაი და ჩვეულებრივ თვისისა წარვიდა აფხაზეთად, რათა მუნდაიზამთროს და განისუენოს და ვითარმედ არს ქვეყანა ბარი და ტფილი“.

დავით აღმაშენებელი: „და მასვე ზამთარს ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინთამდე და განგნა საქმენი მანდაურნი, ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრო და წურთნა!“

თამარ მეფე: „ჟამ გადავიდიან აფხაზეთს და განაგნიან საქმენი მანდაურნი“.

გიორგი ლაშა: „ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი“.

დავით რუსუდანის—ძის გამეფება: „ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანთა, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთ—იმერთა, შემოკრიბეს სიხარულითა დიდითა და მეფე ყვეს დავით რუსუდანის—ძე აფხაზთა, ვიდრე ლიხამდე“.

1330 წელი, მეფე გიორგი ბრწყინვალე: „მოადგა ქუთაისს... ამის მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სუანთ ერისთავი და აფხაზეთისა შარვაშიძე მოენთნენ ნიჭითა (ე.ი. ძღვენითა

ვ.ზ.) დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლის გიორგიისა. მერე შთავიდა ოდიშს, მუნიდან აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი".

გარეშე მტერთან ომებში აფხაზები მუდამ ქართველთა ლაშქარში არიან: თამარ მეფის ლაშქარში მუდამ ერთმანეთის გვერდით იდგნენ კახნი, ქართლელნი, იმერნი, მეგრელნი, აფხაზნი, გურულნი, სვანნი.

ბასიანის ომის დროს იდგნენ „ერთ კერძ აფხაზნი და იმერნი; ერთ კერძ ამერნი ჰერ—კახნი".

აფხაზები მონაწილეობდნენ XIII საუკუნის ათიან წლებში გიორგი ლაშას ლაშქრობაში. განძის აღების დროს: ერთ კერძ მხარგრძელნი დგეს და ერთ—კერძ ჰერ—კახნი და სომხითარნი, ქართლელნი და თორელნი, ერთ კერძ აფხაზნი, დადიან—ბედიანნი და ლიხთ—იქითნი.

1228 წელს ჯალალ—ედინთან საბრძოლველად რუსუდან მეფემ მოუწოდა: „ყოველთა სპათა თვისთა იმერთა და ამერთა... აფხაზთა, და... ყოველსა იმერსა სამეფოსა!"

აფხაზები მონაწილეობდნენ კოხტასთავის ანტიმონღოლურ შეთქმულებაში: „დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა, და განიყარნეს უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი... და რაჭის ერისთავი—ესენი ყოველნი წავიდნენ კაზმვად".

1451 წელს ვახუშტის ცნობით, როდესაც ოსმალნი „გადმოვიდნენ ორმოცდაათი კატარღანი სავსენი სპითა სულტან მურადისა, მაჰმადის ძისა და აღაოხრნეს და ამოსწყვიდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღვის პირნი. უკუნ იქცნენ და წარვიდნენ. ამის მცნობელი მეფე გიორგი (საქართველოს მეფე გიორგი VIII, 1446—1466 ვ.ზ.) წარვიდა მოსწრაფედ. არამედ ვერა რა ისღა ეწია. გარნა მკვიდრნივე დახსნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მივიდა გეგუთს".

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს მეფეთა ტიტულატურა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის დროს და უფრო გვიანაც, XV საუკუნის დასასრულს (1488 წელი), კონსტანტინე

II-ის მეფობის დროს იწყებოდა აფხაზთა მეფით: „მეფე აფხაზთა და ა.შ. რატომ დაიწყებოდა ქართული ტიტულატურა აფხაზებით, ის რომ უცხო ტომი ყოფილიყო...

მაგრამ მე—16 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე—17 საუკუნიდან აფხაზეთში სურათი მკვეთრად იცვლება: აბორიგენ ქართველ აფხაზებზე ბატონდებიან ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილი აფსუები.

უკვე აღარაა აფსუებს, რომელნიც ისევ აფხაზებად იწოდებიან, და ქართველებს შორის ის ძმური დამოკიდებულება, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა. იწყება წინააღმდეგობანი, ურთიერთშეტაკებანი, ომები აფხაზებისა მეზობელ ქართველ ტომებს შორის.

ქვემოთ მოცემულია ქართლის ცხოვრების მიხედვით ამ ბრძოლების მაგალითები. მხოლოდ აფხაზებში აფსუები უნდა ვიგულისხმოთ:

ვახუშტი ბაგრატიონის თანახმად: 1591 წელს „შემდგომად მიუხდნენ აფხაზნი გურიას ნავებითა. ამათ ეკუეთა გურიელისძე მამია, სძლო და მოსწყვიდა სრულიად“.

მე—17 საუკუნის 60—ნი წლები: „გიორგი გურიელი იყო კაცი მხნე, შემმართებელი, მშვილდოსან—მოასპარეზე, რჩეული... ამან მოსრნა მეკობრედ მოსულნი აფხაზნი გურიას მრავალგზის“. აფსუა მტაცებლები ზოგჯერ იმერეთსაც გადაწვდებოდნენ: „აფხაზთა აილაფეს ბარგი იმერთა“—გადმოგვცემს ვახუშტი.

მე—17 საუკუნეში: „ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“ (ვახუშტი).

აფხაზთა შემოტევებმა აიძულა ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (XVII ს) აფხაზებისაგან თავდასაცავად აღემართა კელასურის კედელი, რომლის ნაშთებმაც ჩვენს დრომდე მოაღწია. ლევან დადიანმა აფხაზეთის მთავრები რომ დაამარცხა, ხარკი დაადო, მაგრამ როგორც არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რადგან აფსუებს მოქალაქეობა არ ჰქონდათ, ფული არ იცოდნენ, შესაძლებლობანი არა ჰქონდათ, ამიტომ დადიანი იძულებული შეიქმნა აფხაზეთის მთავრისათვის ხარკად დაედვა მწევარ—მეძ-

ებართა და ქორ—მიმინოთა გამოზრდა. XVII საუკუნის 80—იანი წლები: „გარნა იყო ჭირი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნაეებითა და ხმელითა დასტყვევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდნენ თვით. აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქვს ეპისკოპოსნი“ (ვახუშტი).

XVII საუკუნის 80—იანი წლების დასასრული: „გარნა იყო ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარტიანისაგან კლვითა და ყიდვითა ტყვისაგან და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანას ავაზაკობით და ცხადად“ (ვახუშტი).

აფხაზთაგან აწიოკებული სამეგრელო ხშირად დახმარებისთვის მიმართავდა იმერეთს. ვახუშტის ცნობით, მე—18 საუკუნის დასაწყისში „მთავრობდა აბაშიძე და განეგებოდა მის მიერ ყოველივე იმერეთი. ზამთარსა ამას ეევედრა ლიპარტიანი აბაშიძეს რათა შეეწიოს აფხაზთა ზედა, რამეთუ მიეღოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოხრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყვეობითა. უსმინა აბაშიძემ, შემოიკრიბა სპანი იმერთა, წარვიდა და შთავიდა აფხაზეთს. ვერ წინ აღუდგა შარვაშიძე, მოსტყუევნეს აფხაზეთი“.

მე—16 საუკუნის დასასრულს აფსუები ძლიერდებიან, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი აფხაზეთის სამთავრო. მე—17 საუკუნის 60—იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ოდიშში არევ—დარევის, ანარქიის ხანაში აფხაზები იწყებენ შეტევას, მათ გადმოლახეს მდინარე კოდორი და სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მიაღწიეს ჯერ მდინარე ღალიძგას, შემდეგ კი ენგურს. ამ დროს დაცარიელდა კოდორსა და ღალიძგას შორის მხარე, სადაც დამკვიდრნენ აფხაზები. ქართველები, ვინც მახვილს, შიმშილს, ავადმყოფობას გადაურჩა, ტყვედ იქნა წაყვანილი და თურქებზე გაყიდულნი. ნაწილი კი გააფხაზდა (მაგალითად, ქართული გვარები: ლასურია, კუწნია, ჯინჯოლია, კოღონია, მახარია, ხვარცკია და სხვა). ამგვარად, სამეგრელოს ჩრდილო—დასავლეთი ნაწილი, თანამედროვე ოჩამჩირისა და გალის რაიონები, აფხაზეთის ნაწილად გადაიქცა.

არაერთი შემთხვევა გვაქვს, აფხაზნი ოსმალებს რომ ეხმარებოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. სეხნია ჩხეიძის ცნობით, „1727 წელს ისაყ ფაშიშვილი უსუფ–ბეგ გარდავიდა იმერეთს, შემოირიგა აფხაზი და მივიდა გეგეთს... უღალატა დადიანს ბეუანს და მოკლა“.

და ბოლოს, 1779 წელს აფხაზეთის მთავარი ზურაბ შარვაშიძე ოსმალებთან და ჩრდილოეთ კავკასიელებთან ერთად 11 ათასი კაცით მოადგა მდინარე ენგურს. სამეგრელოს მთავარმა კაცია დადიანმა შეკრიბა ჯარი და დახმარება სთხოვა სოლომონ მეფეს. მეფე დაეხმარა. ბრძოლა მოხდა სოფელ რუხთან და შარვაშიძეების სრული დამარცხებით დამთავრდა. რუხის ბრძოლამ საბოლოოდ შეაჩერა აფხაზთა წინსვლა აღმოსავლეთისაკენ; ომი მხოლოდ ჩვენს დღეებში გაბედეს. აფხაზები სიმკაცრით განირჩევიანო,–წერდა 300 წლის წინათ იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, მაგრამ აფხაზებს არასოდეს არ გამოუჩენიათ ისეთი სისასტიკე, როგორც აფხაზ–ქართველთა კონფლიქტის დროს (მკვლელობა, ძარცვა, მტაცებლობა, ქურდობა).

ამგვარად, XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულმა აფსუებმა ქართველ აფხაზებს შეუცვალეს ენა, სარწმუნოება, მოაქციეს აფსუებად. დაიწყეს ომები გურიის, სამეგრელოს, იმერეთის წინააღმდეგ. სწორედ მათმა შთამომავლებმა შექმნეს პირობები აფხაზეთში სეპარატიზმის აღორძინებისათვის.

შეუძლებელია არ მოვიტანოთ ვახუშტის მიერ აფხაზთა დახასიათება: აფხაზნი „კაცნი მპარავნი, ავაზაკნი, ზღუათა შინა მრავალნი ოლეჭკანდარებით (ოლეჭკანდარი არის მომცრო კატარღა), რომელთა შინა შთასხდებიან...დაუხვდებიან ოსმალთა ნავითა და ლაზ–ჭანთა და უფროსად ოდიშ–გურიასა. არამედ, არიან ბრძოლასა შინა მდედრნი, მალ–მიმდრეკნი“. კასტელი: აფხაზები „ყაჩაღობენ, ხალხს იტაცებენ და თურქებზე ჰყიდიან და ასეთი სისხლიანი ტყავით იმოსებიან“. ანალოგიურ ცნობას გვაძლევს ლამბერტიც.

„ქართლის ცხოერებაში“ საუცხოოდაა ნაჩვენები, თუ ვინ იყვნენ ნამდვილი აფხაზები და აფხაზებად წოდებული აფსუები. აფხაზი ძმა და მეგობარი იყო ქართველისა, აფხაზად წოდებული აფსუა—კი მტერი.

## ქართული კულტურის ძეგლები აფხაზეთში

აფხაზეთი მდიდარია შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ეს ძეგლები მეტწილად ტაძრები და ეკლესიებია. ნანგრევების სახით შემორჩენილია საერო ნაგებობანი—სასახლეები (ლიხნი, თხინა, ბედია, დალის ხეობა).

აფხაზეთში დღემდე მოღწეული არქიტექტურული ნაგებობანი ბედია, ილორი, მოქვი, დრანდა, ლიხნი და სხვა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია. ამაზე მიგვითითებს თითოეული ძეგლის არქიტექტურული თვალსაზრისით შესწავლა და ბევრ მათგანზე დღემდე მოღწეული სამშენებლო და სხვა ხასიათის წარწერები ქართულ ენაზე. ისინი არქიტექტურულად ისეთივეა, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული შუა საუკუნეების ძეგლები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ძეგლს ეტყობა ბიზანტიური არქიტექტურის გავლენა.

ამ ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია ბედიის მონასტერი—ქართული ხუროთმოძღვრების ერთ—ერთი საუკეთესო ნიმუში. სამონასტრო კომპლექსის ცენტრშია ტაძარი, რომელიც აგებულია X-XI სს მიჯნაზე. ახლანდელი ნაგებობა მიეკუთვნება XIII-XIV საუკუნეებს. კედლებზე შემორჩენილია XI-XIV საუკუნეების მოხატულობის ფრაგმენტები. გამოსახულია ქტიტორი—გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ მესამე ეკლესიის მოდელით ხელში და ოდიშის მთავრების დადიანების წარმომადგენლები. ბედიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე არის ქართული წარწერა, რომელშიაც მოხსენიებულია დე-

დოფალი მარიხი და მისი შვილი მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი. ეს წარწერა XVI საუკუნისაა.

ბედიის ტაძრის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში (ტ.I, 1955, გვ.181) აღნიშნულია, რომ ბაგრატ მესამემ „დიდმა მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ. შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ხევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა და მისგან გულის ხმა ჰყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქვეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა". როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე წერს, „ასეთი ხოტბა არცერთ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს არ ღირსებია, გელათის გარდა".

ვახუშტი ბაგრატიონი: „ბედიას აღაშენა მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ შუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად დასუა ეპისკოპოსი ოდიშისა და აწცა ზის და მწყემსი არს დადისწყლისა (დღევანდელი მდინარე ერისწყალი—ვ.ზ.) და მოქვისა წყლის შუათისა". ბედიის ტაძარში მოღვაწეობდნენ ანტონ ჟვანიძე (XVI ს), გერმანე ჩხეტიძე (XVII ს). ბედიაში მიტროპოლიტ გერმანე ჩხეტიძის ინიციატივით გადაწერილი იყო გულანი შავშეთიდან ჩამოყვანილი კალიგრაფის გაბრიელ ლომსაძის მიერ.

ბედიის ტაძარში დაკრძალული ბაგრატ მესამის საფლავი ამჟამად დაკარგულია. დღემდე არ აღმოჩნდა მზრუნველი საფლავის მოძებნისათვის.

ტაძართან ერთად შემორჩენილია სასახლის ნანგრევები და XIV საუკუნის სამრეკლო. ტაძარი, სასახლე, სამრეკლო მოპირკეთებულია ადგილობრივი ქვიშაქვით (შემორჩენილია წარწერა კალატოზთუხუცესი სიმონი).

ამ ტაძრიდან შემორჩენილია ბედიის ჭედური თასი —ქართული ოქრომჭედლობის ძეგლი—ბაჯაღლო ოქროს ბარძიმი (სიმ-

აღლე 12,5 სმ, დიამეტრი 14 სმ). ოქროს თასზე არის 993 წლის ასომთავრული წარწერა: მეფე ბაგრატი და დედამისი გურანდუხტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერ აგებულ ბედიის ტაძარს. 1997 წელს ბედიის ოქროს ბარძიმი წარდგენილი იყო ბიზანტიისადმი მიძღვნილ მსოფლიო გამოფენაზე ნიუ—იორკში.

ბედია სამეგრელოში მდებარეობდა. მე—18 საუკუნის დასაწყისიდან სამურზაყანოს ცენტრი იყო 1840 წლამდე. საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც ბედია გალის რაიონს ეკუთვნოდა. 30—იანი წლების ბოლოს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ნ.ლაკობას ინიციატივით ბედია და კიდევ რამოდენიმე სოფელი ჩამოაშორეს გალის რაიონს და მიაკუთვნეს ოჩამჩირის რაიონს.

მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი—ილორის ეკლესია—ერთნავიანი ნაგებობაა, მოპირკეთებულია ქვიშაქვის კვადრებით. ილორი მთელი დასავლეთ საქართველოს ერთ—ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „არს ილორს ეკლესია წმინდა გიორგისა... არს ეკლესია უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანობის გამო, რათა არ შეირყეს ეკლესია მოუღიათ ქვა, დიდი ფრიადი ფიქალი და მის ზედა შენი არს სრულიად ეკლესია“ („ქართლის ცხოვრება“, ტ.IV. 1973 გვ. 779). აქ გათხრილ საძირკვლის ძირში მართლაც აღმოჩნდა ქვათა წყობა. კედელზე და ხატზე არის ქართული წარწერები.

მე—17 საუკუნეში ილორის ეკლესია შეამკო ლევან მეორე დადიანმა. 1736 წელს დაწვეს თურქებმა, აღადგინეს სამეგრელოს მთავრებმა. ილორი დღემდე მოქმედი ეკლესიაა.

მოქვის საკათედრო ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, გუმბათიანი ეკლესიაა. გუმბათის ყელი თორმეტწახნაგოვანია. მეფე ლეონ მესამემ (957—967) „აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ. აკურთხა და განასრულა ყოველთა განგებითა“ („ქართლის ცხოვრება“ ტ.I, 1955 გვ.271). ვახუშტი ბაგრატიონი: „ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე... ამ მდინარესა ზედა მთაში, არს მოქვის ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი

კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა“.

ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი ვ.ბერიძე მოქვის ტაძარს უფრო მონუმენტურად მიიჩნევს, ვინემ ანაკოფიასა და ლიხნეს:

ჩვენს დრომდე მოღწეულია 1300 წელს მოქვის ეკლესიაში გადაწერილი, მდიდრულად დასურათებული მოქვის ოთხთავი, გადაწერილი ძველი ქართული ნუსხა—ხუცურით. როგორც ხელოვნებათმცოდნე დოქტორი ელენე მაჭავარიანი წერს: „მოქვის ოთხთავში 152 მინიატურაა. იგი თავისი მრავალფეროვანი ორნამენტაციით, სამინიატურო ხელოვნებით ეროვნული საგანძურის ერთ—ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია“. XV საუკუნეში მოქვის ტაძარში მღვდელმთავრის ექვთიმე საყვარელიძის ბრძანებით ნეკტარიოზ ცინცაძის მიერ გადაწერილი იყო მეტაფრასი.

ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ჯგერდეს ჩრდილოეთით, ახუწაში დღემდე შემორჩენილია კირქვის ტუფით (ტრავერტინით) მოპირკეთებული ქიაჩის ეკლესია. ნახევარი საუკუნის წინათ ეკლესიის მარტო კედლები იყო დარჩენილი, უსახურავოდ. ის ერთ დროს მთელს დასავლეთ საქართველოში ცნობილი სალოცავი ყოფილა. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დიმიტრი თუმანიშვილი წერს: „ქიაჩის ეკლესია მოგვაგონებს წმ.გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების მიერ აშენებულ ნეძვის მონასტრის ტაძარს ახლანდელი ბორჯომის მახლობლად“. ეს კი აუცილებლად საგულისხმო და მრავლისმთქმელია. ქიაჩის ხატზე არის ლევან დადიანის (1640 წელი) წარწერა: „მოვაჭედვინეთ და შევამკეთ თვალითა და მარგალიტითა ხატი ესე მთავარანგელოზისა და დავასუენეთ ქიაჩს“. ქიაჩის ხატი აფხაზების შემოსევის შემდეგ გადატანილ იქნა სოფელ ობუჯში (წალენჯიხის რაიონი). ეკლესიას ეწოდა ხატის სახელი—ქიაჩი.

სოფელი ჭალა მოხსენებულია აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში და სხვა დოკუმენტებში. იგი ეკუთვნოდა თავად ჯაიანებს. აფხაზებმა სოფელს სახელი გამოუცვალეს და ჭლოუ უწოდეს. 1955 წელს, აქ ტაძრის ნანგრევებთან იპოვეს

ქვა ქართული წარწერით (XII-XIII სს), სადაც დადიანია მოხსენებული.

დრანდაში შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი—აგურითა და რიყის ქვით ნაშენი გუმბათოვანი ეკელსია. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „არს ეკლესია დრანდას, გუმბათიანი შვენიერი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიას შორისისა ადგილთა, არამედ აწ აფხაზთაგან აღარა არიან ამათ შინა ეპისკოპოზნი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV 1973, გვ.781). ვახუშტის დროისათვის უკვე მოუსწრიათ აფხაზებს დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოების გაუქმება.

1938 წელს წებელდის ეკლესიის ნანგრევებში აღმოაჩინეს წარწერებიანი ქვა. სოფელ პოლტავსკოედან ცნობილია ხატზე ქართული წარწერა, სადაც მოხსენიებულია ერისთავი და სახლთუხუცესი აბოლასანი.

სოხუმის მახლობლად, მდ.ბესლეთზე X-XI საუკუნის ერთმალიანი თაღოვანი ხიდი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. თ.ბარნაველმა ხიდზე წარწერის ტექსტი ასე წაიკითხა (ასომთავრული): „ქრისტეო, მეუფეო ყოველთა ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატ“. აფხაზებმა წარწერები მოსპეს.

ანაკოფია (დღევანდელი ახალი ათონი), „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“—ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზეა. VII-VIII საუკუნეებში იყო აბაზგთა საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი. VIII საუკუნის დასასრულიდან ცენტრის ქუთაისში გადატანამდე, ანაკოფია აფხაზთა სამეფოს ცენტრი იყო. ქრ.კასტელის ცნობით, XVII საუკუნეში ანაკოფიის ციხე—სიმაგრეთა და ნავსადგურის მფლობელი იყო დავით ჩიჯავაძე—ქართველი.

ანაკოფიის ისტორიული ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ სიმონ კანანელის გუმბათიანი ეკლესია, ციტადელი ივერიის მთაზე, გამაგრებათა მთელი სისტემა.

ანაკოფიაზე ვახუშტი წერს: „ზღვის კიდეზე არს ქალაქი—ან-

აკოფია. იყო ქალაქი კეთილ, შუენიერი ზღვასა ზედან წაშენებული და შემდგომად ბაგრატიონთაგან განდიდებული". („ქართლის ცხოვრება", ტ.IV, 1973, გვ.781).

ახალ ათონში ივერიის მთაზე, 1957 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს, ნაპოვნი იყო საქართველოს მეფის გიორგი მეორის (XI ს) მონეტა ქართული წარწერით: „ქრისტე! განადიდე აფხაზთა და ქართველთა მეფე და კესაროსი გიორგი". ლიხნი (ლიხნე)–X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი–ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი–ჯვარ–გუმბათოვანი ნაგებობაა. ფასადები მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო ფერის კირქვის კვადრებით. ტაძრისა და ეკვდერების კედლები მთლიანად ყოფილა მოხატული. შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა, ქართველოლოგმა მარი ბროსემ 1848 წელს აღწერა ლიხნის ტაძრის სიძველენი და კედლებიდან გადმოიწერა ძველი ქართული წარწერები. ამ წარწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ასომთავრულით შესრულებული წარწერა 1066 წელს კომეტის გამოჩენის შესახებ (იხ.თავი ქართული წარწერები). 1066 წელს ბზობიდან აღმდგომამდე, 9 აპრილიდან 16 აპრილამდე, საქართველოში კომეტა შეუნიშნავთ. ამ წელს ჰალეის კომეტის გამოჩენის შესახებ ცნობები დაცული ყოფილა კიევის სამთავროს მატიანეში, ერთ–ერთ ჩინურ ქრონიკაში და სხვა.

ლიხნის ტაძარში არის ქართული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია წმ.ბასილი და წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი. ბროსეს მიერ ტექსტის ამოკითხვის შემდეგ, ტაძრის კედლები კირით რამდენჯერმე შეათეთრეს და წარწერები გაუჩინარდა. 1985 წელს, რესტავრაციის დროს კვლავ გამოჩნდა დაზიანებული სახით ძველი ქართული წარწერები, მათ შორის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ. მაგრამ ეს წარწერა ამჟამად არ არსებობს, აფხაზებმა მოსპეს; მოსპეს ლიხნის სასაფლაოზე შარვაშიძეთა საფლავის ქვების ქართული წარწერები.

ტაძრის მახლობლად მდებარეობს აფხაზეთის მთავართა ნასახლარი—ორსართულიანი ქვიშაქვისაგან ნაგებობა. გვიანი შუა საუკუნეების საერო ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ნიმუში. სოფლის განაპირას დარჩენილია ციხე—სიმაგრის კომპლექსი აბა—ანთა (VII-VIII საუკუნეებისა), სამეკლესიანი ბაზილიკის ნაშთით.

1957 წელს სოფელ აკაფაში (სოხუმის რაიონი) აღმოაჩინეს დარბაზული ტიპის მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევი. კედელზე შემორჩენილი ქართული ასომთავრული წარწერით. ძეგლი მე—14 საუკუნის შუაწლებითაა დათარიღებული. არქიტექტურას ახლოპარალელი აქვს XII-XIV საუკუნის ქართულ ძეგლებთან (ჭულე—მესხეთი, სადგერი—ბორჯომის ხეობა).

გალის რაიონის X საუკუნის წკელი კარის („წყევლის კარის") დარბაზული ტიპის ეკლესიის კედლებზე არის ასომთავრული (XI ს) და მხედრული (XVII ს) სამი წარწერა. ეკლესია ამჟამად დანგრეულია. მოპირკეთება—ადგილობრივ მოპოვებული კირქვის კვადრებით.

ბზიფის ციხე—სიმაგრესთან დღემდე მოღწეულია ბზიფის ტაძრის ნანგრევები. ტაძარი კირქვით ყოფილა მოპირკეთებული. ვარაუდობენ, რომ იგი IX საუკუნის მეორე ნახევრისაა.

ძველი გაგრის ეკლესია VI საუკუნეში არის აგებული. მოპირკეთებულია ნაცრისფერი, უხეშად დამუშავებული კირქვით. ტაძრის ხუროთმოძღვრება უახლოეს პარალელებს პოულობს ამავე დროის საქართველოს სხვა რეგიონების (კახეთის, ქართლის) არქიტექტურაში. გარეგნულად ეკლესია ბაზილიკას ჰგავს.

„გაგრის ეკლესიის ხუროთმოძღვრების მჭიდრო კავშირი საქართველოს სხვა რეგიონების ხელოვნებასთან კიდევ ერთი დასტურია ჩვენი ქვეყნის სულიერ—კულტურული მთლიანობისა მისი ისტორიის ამ უძველეს ეტაპზეც კი" (ჟურნალი „ჯვარი ვაზისა" საქართველოს საპატრიარქო. 1995, გვ.71).

ბიჭვინთის ანსამბლი სხვადასხვა დროის ნაგებობათა კომპ-

ლექსს წარმოადგენს. ბიჭვინთის კონცხზე კოლხური დასახლება არსებობდა ძვ.წელთაღრიცხვის II ათასწლეულის II ნახევარში და I ათასწლეულის I საუკუნეებში. ბიჭვინთა პირველად მოხსენებული აქვს გეოგრაფიაში სტრაბონს (ძვ.წელთაღრიცხვით I საუკუნის II ნახევარი). ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის I ნახევარში იწოდებოდა „დიდ პიტიუნტად". ამ დროს აქ უკვე ქალაქი არსებობდა. II-III სს—ში ბიჭვინთის ციხეში იდგა რომაელების გარნიზონი. IV ს. I მეოთხედში (325წ.) უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. ეპისკოპოსი მონაწილეობდა ნიკეის I მსოფლიო კრებაში. IV საუკუნის ბაზილიკის ნანგრევებზე აგებული იყო V საუკუნის დიდი სამნავიანი ბაზილიკა. ბიჭვინთის ცენტრში, ნაქალაქარიდან 300 მეტრზე დგას X—ს—ში ან XI ს—ის დასაწყისში აგებული საეპისკოპოსო ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი. გუმბათიანი ეკლესია აგებულია ქვითა და აგურით. ტაძარი ქართული ზღვისპირეთის ყველაზე უფრო მონუმენტური საეკლესიო ნაგებობაა. აფხაზთა სამეფოს შექმნის დროიდან, ბიჭვინთა აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია იყო და პატრიარქის იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა, სანამ XVII საუკუნეში თურქების და უფრო მეტად აფსუების საშიშროებით ბიჭვინთის კათალიკოსის რეზიდენცია გადატანილ იქნა გელათში. XIX საუკუნეში ტაძარი შეაკეთეს, დაამახინჯეს, მაგრამ ძეგლი დღესაც იპყრობს მნახველთა ყურადღებას.

არ მიგვაჩია სწორად აფხაზეთის ისტორიის (1986 წლის გამოცემა) ავტორთა მოსაზრება, თითქოს აფხაზეთის შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლების ნაწილს (მაგალითად ლიხნის ტაძარი) ჰქონდეს თავისებური იერი, დაკავშირებული ბიზანტიურთან, რომ არსებობდა არქიტექტურული „აფხაზური სკოლა". აფხაზეთის თავდაცვითი ნაგებობანი (ციხესიმაგრეები: წარჩე, ანაკოფია, ბზიფი, გაგრა და სხვა). ასევე კოშკებიც ისეა აგებული, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, საშენად გამოყენებულია რიყის ქვა, ქვიშაქვა, ფიქალი.

ამგვარად, შუა საუკუნეებში აფხაზეთში სალაპარაკო ენა მეგრული — ქართული იყო, დამწერლობის ენა — ქართული, ხუროთმოძღვრული ნაგებობანი — ქართული, ტაძრებსა და ეკლესიებში მღვდელთმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა და ამ ნაგებობებზე ჩვენამდე მოღწეული ლაპიდარული წარწერებიც ქართულია.

მაგრამ ასე გაგრძელდა XVII საუკუნემდე. XVII საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილმა ადიღეურ—ჩერქეზული მოდგმის აფსუებმა ადგილობრივი ქართველი აფხაზებიც აფსუებად მოაქციეს. ამიტომ, XVII-XVIII საუკუნეებში არ შექმნილა არც ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც თავისი მხატვრული მნიშვნელობით გაუტოლდებოდა შუასაუკუნეების ძეგლებს. რა ხუროთმოძღვრული ძეგლების აგება შეეძლო აფსუებს, რომელნიც როგორც არქანჯელო ლამბერტი წერს: „ქალაქებსა და ციხეებში როდი ცხოვრობდა“, არამედ ისლით დახურულ ფაცხებში, თანაც მთებში. აფსუები XVII-XVIII საუკუნეებში მშენებლობის ნაცვლად ძარცვავდნენ ეკლესია—მონასტრებს. არაერთხელ გაუძარცვავთ ილორის ეკლესია, მოქვის ტაძარი, ბედიის მონასტერი, დრანდის, ლიხნის, ბიჭვინთის ტაძრები. აფსუათა ბრბოები შეიჭრებოდნენ სამეგრელოში და ძარცვავდნენ ეკლესიებს; ჩვენ მხოლოდ ორ მაგალითს მოვიტანთ. ექვთიმე თაყაიშვილს სტატიაში „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“ („ძველი საქართველო“, ტომი III, 1913—1914 წ.წ. გვ. 188 და 222) აღნიშნული აქვს, რომ XVII საუკუნეში ცაიშის ტაძარი „აფხაზმან გატეხა და ააოხრა“, ამავე საუკუნეში „წალენჯიხის ეკლესია გაუოხრებიათ აფხაზებს“.

ამჟამად აფხაზმა სეპარატისტებმა ქალაქ სოხუმში აღმართეს ისლით დახურული ფაცხები — არქიტექტურული „აფხაზური სკოლის“ ნიმუშები. თუ როგორ „დაამშვენებს“ ევროპულ ქალაქ სოხუმს წკნელის ფაცხები, ამის გარჩევა მკითხველისათვის მიგვინდია.

# ქართული წარწერები

## 1. გალის რაიონი

აფხაზეთში ტაძრებისა და ეკლესიების კედლებზე, ხატებზე, ქვის სვეტებზე, ქვის ფილებზე, მღვიმის კედლებზე დღემდე შემორჩენილია შუა საუკუნეების ქართული წარწერები. ზოგიერთი წარწერა (ლიხნის ტაძარი, ბესლეთის ხიდი და სხვა) აფხაზმა სეპარატისტებმა მოსპეს.

გალის რაიონიდან შემორჩენილია რამოდენიმე წარწერა.

წკელი კარი—X საუკუნის ეკლესიაა სოფელ რეჩხში, სათანჯოს მთის ჩრდილო—დასავლეთით. ეკლესია მოპირკეთებული ყოფილა იქვე მოპოვებული კირქვით. შემორჩენილია ნანგრევები ქართული წარწერებით. მოხსენებულია თავადი ფაღავა. ქვის ერთ—ერთ ლოდზე შემორჩენილია ქართული წარწერა: „ეკლესია წყევლის კარისაო". ხალხი ამჟამად ეკლესიას წკელი კარს (წკნელის კარს) უწოდებს. აფხაზ ენათმეცნიერს კ.შაკრილს ტოპონიმი აფხაზურად მიაჩნია და მას აცკარს უწოდებს. ეკლესიის ნანგრევებთან ქვებზე დაცულია ქართული წარწრები: ასომთავრული წარწერა მიეკუთვნება XI საუკუნეს, ხოლო მხედრული წარაწერა – XVII საუკუნეს.

სოფელ დიხაზურგაში წმ.ბარბალეს ეკლესიის ნანგრევებთან ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში, ნაპოვნია ქვის ფილა ქართული წარწერით (XI ს): „კალატოზთუხუცესს გრიგოლს შეუნდოს ღმერთმან".

სოფელ ღუმურიშის ეკლესიის ნანგრევთან ნაპოვნია ქვის ფილა ქართული წარწერით (გაშიფრა თ.ბარნაველმა), სადაც ეკლესიის მშენებელი დედოფალთ—დედოფალი საგდუხტია მოხსენებული:

„სა... რ მშენებელი
ე(დ)ოფალთ დე(დ)ოფალი
საგდუხტ ნიანის
ასული ამინ".

სოფელ წარჩეში, სადაც შუა საუკუნეების ნაგებობათა ნაშთებია ჩვენს დრომდე მოღწეული, ნაპოვნია ქვის ფილაზე ქართული წარწერა: „ეს წმინდა მთა ეკუთვნის პაშაძეს“ (გაშიფრა თ.ხაჟომიამ). პაშაძე უცნობია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

## 2. ოჩამჩირის რაიონი

სოფელი ილორი და ბედია სამურზაყანოს ეკუთვნის ისტორიულად, მაგრამ ამჟამად აფხაზეთის ხელისუფალთა ნებასურვილით ოჩამჩირის რაიონში შედიან. XI–ის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში შემორჩენილია ქართული წარწერები: „წმინდაო გიორგი შეიწყალე გიორგი ქოჩოლვაჲ (მღვდელი), წმინდაო გიორგი მფარ(ვე)ლ მექმენ დიდსა მას დღესა“ (XI–ს).

ილორის ხატზე ასომთავრული წარწერა (XIII ს):

„წ–ო გ–ი ილორისთავო: ადიდენ და ასუფევენ: ორთავე შ–ნა სუფევათა ძლიერი და უძლეველი ღვთ გვირგვინოსანი: მეფეთა მეფე: დ–თ ძე როსოდანისა რომლისა ბ(რძანე) ბითა მოიჭედა ხატი ესე ილორ(ი) სა მთავარ მოწამისა“.

ბედიის ტაძრიდან ცნობილია წმ.გიორგის დასაკეც ხატზე ქართული წარწერა (1532–1572 წ.წ.) და ტაძრის დასავლეთ კედელზე წარწერები (1572–1582 წ.წ.), სადაც ნახსენებია მშენებელი, ქვის მთლელთა წინამძღოლი სიმონი, დედოფალი მარიამი და მისი შვილი ერისთავთ–ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი გიორგი (მარიხი). ბედიის ჭედური თასი, ქართული ოქრომჭედლობის ძეგლი, 1997 წელს გატანილ იქნა ნიუიორკის ბიზანტიისადმი მიძღვნილი მსოფლიო გამოფენაზე. ოქროს ბარძიმი, ბაჯაღლო ოქროს თასი, სიმაღლე 12,5 სმ, დიამეტრი 14 სმ. ფეხი არ შემორჩა, შესრულებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე. ბარძიმის ზედა ნაწილზე ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: მეფე ბაგრატი და დედამისი გურანდუხტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერ ახლად აშენებულ ბედიის ეკ-

ლესიას. ძეგლი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ბედიის ოქროს თასზე წარწერაა: „წმიდაო ღმრთის მშობელო, მეოხ ეყავი წინაშე ძისა შენისა ბაგრატ მეფესა და დედას მათსა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმის შემწირველთა, ამის საკურთხევლის შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდარის ამშენებელთა ამინ“.

1955 წელს სოფელ ჭლოუში ნაპოვნია ქვის ფილაზე ქართული წარწერა:

ერისთავთ ერისთავი
მანდატურთუხუცესი დნობს (ალბათ, დადიანი. ვ.ზ.)
შეუნდვეს ღმერთმან.

მე—17 საუკუნის დასასრულამდე სოფელ ჭლოუს ქართულად ჭალა ეწოდებოდა და დადიანის სამფლობელოში შედიოდა.

## 3. სოხუმის რაიონი

ბესლეთის ხიდი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. ერთმალიანი თაღოვანი ხიდი მდინარე ბესლეთზე, სოხუმის მახლობლად. ყოველ საპირე ქვაზე ამოკვეთილი იყო ქართული ასომთავრული ასოები, სადაც მეფე ბაგრატ III იყო მოხსენებული. წარწერები აფხაზებმა მოსპეს. „ქრისტეო, მეუფეო ყოველთა, ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატი“.

## 4. გუდაუთის რაიონი

სოფელი ანუხვა ათონის დასავლეთით. სოფელ ანუხვაში პროფ. ლ.მარუაშვილის მიხედვით, ყველაზე დიდი მღვიმე „შემკულია პალეოლითური, ანტიკური და შუასაუკუნეთა კედლის მხატვრობითა და ძველი (VI-VIII სს) ქართული ასომთავრული წარწერით“. როგორც ჩანს, ანუხვის მღვიმე ადრე საცხოვრისის, ხოლო შუა საუკუნეში სამლოცველოს დანიშნულებას ასრულებდა. მღვიმის ეს წარწერა საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ადრეული შუასაუკუნეებიდან აქ ქართველები ცხოვრობდნენ.

ანუხვაში ნაპოვნი ქვის სვეტზე ქართული წარწერა შეიძლება დათარიღდეს X საუკუნით (ამოიკითხა ლ.შერვაშიძემ).

„სახელითა ღმრთისათა
ავაშენე ჯუარი ესე სახელსა
ზედა ღმრთისა მამისა ძისა სოფლისა წმიდისასა
მე გიორგი ბასილის ძემან
აწ ვინცა ეევედრებოდეთ ჩვენ სამივე
ძმანი ლოცვა –
სა მოგვიხსენე –
ნით ამინ იყავნ.

ანუხვაში ნაპოვნია ქვაზე სხვა ქართული წარწერა:

„წმინდა მთავარანგელოზები მიქელ და გაბრიელი".

ლიხნის ტაძარზე არის მე–10 საუკუნის ქართული წარწერა. ეს წარწერა ასე იკითხება:

„ქ.კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ეს იქმნა დასაბამითგან წელთა ხქით, ქორონიკონსა სპვ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა ლეი, აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა რომელ მისსა წიაღსა აღმოვლიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი მოკიდებით მასვე ეს იქმნა ბზობისაგან აღვსებამდე".

აფხაზმა სეპარატისტებმა ლიხნის ტაძრის კედელზე არსებული ქართული წარწერები მოსპეს. მოსპეს აგრეთვე ლიხნის სასაფლაოზე შერვაშიძეთა საფლავის ქვების ქართული წარწერები.

ლიხნის ტაძრის ფრესკაზე არის ქართული წარწერა, რომელშიც მოიხსენიება წმ.ბასილი და წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი.

სოფელ ხოფში ეკლესიის ნანგრევებთან ნაპოვნია ქვის ფილა შუა საუკუნის ქართული წარწერით.

ამ ფაქტების–წარწერების შემდეგ აფხაზ ისტორიკოსებს ჰყოფნის სინდისი დასწერონ, რომ ქართველები პირველად აფხაზეთში მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ. ვის ეკუთვნის ქართული წარწერები, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ აფსუებს? რასაკვირველია არა, ისინი ხომ აფხაზეთში XVII სა-

უკუნიდან არიან.

საუკუნეთა მანძილზე ქართული წარწერები ქართველი ხალხის შემოქმედებაა. იმ დროინდელი ქართველები ხომ არ ფიქრობდნენ, რომ ამ წარწერების დატოვებით საუკუნეებს გადასძახებდა მათი სახელი და ეს წარწერები იქნებოდა უტყუარი საბუთი შუა საუკუნეებში აფხაზეთში ქართველების არსებობისა.

## გვარები აფხაზეთში

*„ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც, არ იქნეს ამოწურული მთელი სიგრძე—სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ესა თუ ის მხარეა ასახული“*

*აკადემიკოსი აკაკი შანიძე*

გვარის ქვეშ ნათესავთა ჯგუფი იგულისხმება, რომლის წევრებსაც ჩვეულებრივ მამის ან დედის მხრიდან საერთო წინაპარი ჰყავდათ; იგი დაბადებით ან ქორწინებითაა მიღებული. გვარობითი სახელწოდება ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს.

საუბარი გვექნება არა აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა (რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები და სხვა) გვარებზე, არამედ აბორიგენი მოსახლეობის ქართულ გვარებზე. არიან თუ არა აფხაზები აბორიგენები, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი .

გვარი ადამიანის პირვანდელ ეროვნებაზე მიუთითებს, მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, ადამიანი თავის წინაპრებთან ერთად როგორ გარემოცვაში გაიზარდა, რომელი ენა მიაჩნია მშობლიურად, შესაბამისად, როგორია მისი თვითშეგნება. მინახავს რუსი სიხარულიძე და ქართველი პიტალსკი, ამჟამად აფხაზეთიდან ლტოლვილი თბილისში. 1993 წელს გალში, როგორც ქართველი, აფხაზმა ბოევიკებმა მოჰკლეს ირაკლი თორ-

ნიკეს—ძე შაფანსკი.

ამჟამად აფხაზთა 80 პროცენტს ქართული გვარი აქვს, თუ ამას მივუმატებთ ბა—სუფიქსიან მეგრულ გვარებს (არშბა, ქეცბა, თარბა და სხვა), მაშინ ქართული წარმოშობის გვარების რაოდენობა კიდევ უფრო გადიდდება. ქართული გვარი ისეთივე ძველი წარმოშობისაა, როგორც საკუთრივ ქართველური ტომები და ენები.

გააფხაზებული ქართული გვარები ორად იყოფა: აფხაზების მიერ შეცვლილი გვარები და გვარშეუცვლელად გააფხაზებულნი. პირველს მიეკუთვნება გვარები: კალანდაძე—კასლანძია, სურგულაძე—შურდულავა, ჯინჯოლია—აჯინჯალი, ქირია—კრია, ქორიძე—ქვარანძია, გოლაძე—გოლანძია, ჩალაძე—ჩალანძია, საღარაძე—საღარია, კამლაძე—კამლია, გერაძე—გერია, ოსიძე—ოსია, მარხულია—მარუხბა, ნოზაძე—ნაზაძე, ფაჩულია—ფაჩალია, კუპრავა—კუბრავა, შედანია—შადანია, გაბუნია—გაბნია, სონგულია—სანგულია, ჯგერენაია—ჯერგენია, ლატარია—ლადარია, ზარანდია—ზარდანია, გადელია—გადლია, კიკალია—კაკალია, ბედია—ბადია, მელია—მალია, ღვინჯილია—ღვინჯია და სხვა.

გვარშეუცვლელად გააფხაზებულნი: აბაშიძე, ახვლედიანი, ლაღიძე, გოგუა, კვარაცხელია, პაპასკირი, წერეთელი და სხვა.

ქვემოთ მოცემულია 1993 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემული „აფხაზეთის თეთრი წიგნის" მიხედვით ქართულ—აფხაზურ კონფლიქტში ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ გააფხაზებულთა სია: აბაშიძე, არჯენია, ასლანძია, ახვლედიანი. აბაკელია, ბარათელია, ბასარია, ბებია, ბერძენია, ბერულავა, ბჟანია, ბიგვავა, გოჩავა, გაგუა, გაგულია, გამგია, გადელია, გაბისონია, გარცკია (ღარწკია), გვარამია, გვინჯია (ღვინჯია), გერგაია, გერგია, გულარია, გერზმავა, გერხელია, გინდია, გოგია, გოგოხია, გოგუა, გრიგოლია, გუნია, გურგულია, დაგარგულია, დარსალია, დაუთია, დუმავა, დგებია (დგებუაძე), დოჩია, ელერჯია, ზანთარია. ზარანდია, კაკალია, კაკუბავა, კარხადავა, კვარაცხელია, კვეკვესკირი, კვირაია, კვიცინია, კოღონია, კოკო-

სკერია, კონჯარია, კობეშავიძე, კორტავა, კუპრავა, მატუა, მიქაია, ლაგვილავა, ლადარია, ლასურია, ლაზარია, მალანია, მანია, მარღანია, ნაყოფია, ნარსია, ნაჭყებია, პაპასკირი, ფაჩულია, ფირცხელავა, ფილია, რეკვავა, საბეკია, საღარია, სიჭინავა, ტანია, ტაბაღუა, ტუსკია, ტურავა, უბილავა, უჩაძე, ქურდაძე, ქაჯაია, ქარჩავა, ქვაჩახია, ქუთელია, ყოლბაია; ხალვაში, ხონელია, საჯაია, სამსონია, სამუშია, ხარჩილავა, მხეიძე (ხეცია), ცეცხლაძე, წულუკია, წურწუმია, შამუგია, ჭანტურია, ჩაჩიბაია, ჩაჩხალია, ჩერქეზია, ჩქოტუა, ჩხაპელია, ძაძამია, ძიძარია, ჭყონია, შედანია, შაკაია, შანავა, შენგელია, შურდულავა, ჯალაღონია, ჯინჯია და სხვა.

მიღებულია, მკვდარზე კარგი უნდა თქვა ან არაფერი, მაგრამ ესენი ქართველი ხალხის მოღალატეებია.

1990 წელს ოჩამჩირის რაიონში მცხოვრებმა დაახლოებით 350 გვარის წარმომადგენელმა (მეტწილად გააფხაზებულმა ქართველებმა) განცხადებით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რათა მეცნიერებს გაერკვიათ მათი გვარების ისტორია, წარმომავლობა, ისტორიულ წარსულში მათი ეროვნული კუთვნილება. ამ განცხადებებს პასუხი გასცა ისტორიის ინსტიტუტმა. თითოეულ გვარზე ოჩამჩირის რაიაღმასკომის სახელზე გამოგზავნილ პასუხებს ხელს აწერდნენ: ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, სწავლული მდივანი თ.თოდრია, უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი ს.ბახია და ენათმეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ—თანამშრომელი, აფხაზური ენის სპეციალისტი თ.გვანცელაძე. პასუხებს ცალკე წიგნი სჭირდება, ამიტომ პირველ რიგში მოკლედ შევჩერდებით აფხაზურ თავადურ გვარებზე. შარვაშიძე, ანჩაბაძე, ინალიშვილი, მარშანია, ემხვარი, ჩქოტუა, ძიაფშ—იფა—ზეფიშვილი, ჩაბალურხვა—სოტიშვილი. ყველანი ქართული წარმოშობისაა. შარვაშიძეს (მეგრულად შარაშია) აფხაზურად ჩაჩბას უწოდებენ, მაგრამ ჩვენის აზრით, ჩაჩბა ყველა შარვაშიძე როდია, მხოლოდ მთავრების შთამომავლები. ჩაჩბა არც ერთ ის-

ტორიულ წყაროში არ არის მოხსენიებული. მხოლოდ გამოთქმულია მოსაზრება (აკად. ნ.ბერძენიშვილი), რომ აფხაზეთის ამბებთან მოხსენებული ოთაღო ჭაჭას—ძე შესაძლებელია ჩაჩბა ყოფილიყო. თურქი მოგზაური ევლია ჩელები (1641) წერს: „მთავარი ტომი აფხაზეთში არის ჩაჩ, რომელიც ლაპარაკობს მეგრულ ენაზე“. ამასთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვა აღნიშნავს: „ეს ძირითადი მხარე აფხაზეთის სამთავროსი — ჩაჩის თემი არის საშერვაშიძეო, თანამედროვე გუდაუთის რაიონი, რომლის ცენტრი იყო სოფელი ლიხნი“.

ანჩაბაძე მეგრულად ანჩბეიაა. რაც შეეხება აჩბას, იგი არც ერთ ისტორიულ წყაროში არ არის მოხსენებული, ხელოვნურადაა შექმნილი. ასევეა ინალიფა—იგი ინალიშვილია. შუა საუკუნეებში მდ.ბზიფის ნაპირას არსებობდა სათავადო საინალიშვილო. 1808 წელს აფხაზეთის მთავარმა ქელეშ—ბეიმ რუსეთის იმპერატორისათვის გასაგზავნ წერილში, რომელიც ქართულ ენაზე იყო შედგენილი, ხელი მოაწერინა აფხაზეთის გავლენიან თავადებს. მათ შორის იყო ნარჩოუ ინალიშვილი. ვფიქრობ, რომ ბზიფელმა თავადმა უკეთ იცოდა თავისი გვარი, ვინემ თანამედროვე სეპარატისტ ისტორიკოსებმა; ძიაფშ—იფა—ზეფიშვილია, ჩაბალურხვა—სოტიშვილი, მარშანიები—სვანი მარეშიანებია, ემუხვარი—ქართველი ამილახვარი, ჩქოტუები—ჩხეტიძეებიდანაა.

აზნაურები: მარღანია (არის მარღანაშვილი, მარღანიძე) ქართული წარმოშობისაა, შესაძლებელია სვანი მარღიანებიდან მომდინარეობენ; ლაკირბაიები, გავრცელებულია გადმოცემა, რომ ჯვაროსნობის დროს აქ დარჩენილი ფრანგი ლაკრუას შთამომავლობაა. ამჟამადაც არის საფრანგეთში გვარი ლაკრუა (ცნობილი მეცნიერ—გეოლოგი); ზვანბაიას—ჟვანიას უკავშირებენ; აქირთავა თავად მიუთითებს მის ქართველობაზე.

„აფხაზურ—მეგრული კამათი მიმდინარეობს ისეთი გვარების წარმომავალობაზე, როგორიცაა ზუხბაია, ქეცბაია, ლაკირბაია და ა.შ. თითქოს ეს გვარები იყოს „მეგრელიზებული“ აფხაზური გვარები. სინამდვილეში კი, „ზანურიდან ზოგად ქართულისაკენ

მიმავალი გზაა“ (გ.ერაძე „აფხაზი და საქართველო“ 1993 გვ.16).

აფხაზეთში გავრცელებული გვარების უმრავლესობა მეგრულ—ქართულია. მათ ჩამოთვლას სქელტანიანი წიგნი სჭირდება, ამიტომ ჩვენ მათ ვერ ვასახელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს გვარები ძირითადად სამეგრელოშია გავრცელებული, აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებში.

თურქული წარმოშობის აფხაზური გვარებია: არნაუტ, ოზგან, ფეიზბა, (ფეიზ—ოღლი), თარკილ, იაზიჩბა, დადალ—ოღლი, აბას—ოღლი, ყარალ—ოღლი, კურ—ოღლი, ქემალ—ოღლი; აჭარელ აფხაზებს შორის თურქული წარმოშობის გვარებია: ასლან—ზადე, (ხიბა), ემინ—ზადე, მოლ—ოღლი, კუსტ—ოღლი, სემიჯ—ოღლი, ზექირ—ოღლი, კაზან—ოღლი და სხვა.

ლაზური წარმოშობის აფხაზური გვარებია: ხალვაში, ხვატიში, ცარგუში, ბაბადიში, ფაზილიში, ხაზირიში. რუსული წარმოშობის აფხაზური გვარებია: ივანოვი, ერმოლოვი, თუმანოვი. უკრაინულია—ბარჩან, გერმანული—შლატერი. ზანგებიდან მომდინარე აფხაზური გვარია — აბაშ, სპარსულია—ისკანდერი. კი მაგრამ, სად არის ნამდვილი აფხაზური გვარები. აფხაზურ გვარი არ არსებობს, აფხაზი — ერი არ არის, მას არა აქვს საკუთარი ენა და საკუთარი გვარი. აფხაზი არის სხვის (აბაზინურ) ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ეროვნების ნარევი ხალხი.

ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ აფსუათა გვარებია: სმირ, დბარ, ამპარ, ენიკ, კიუტ, ებუნოუ, ტამბია, ანუა, ჩუაზ, ჩალმაზ, თხაიწუკ, ხაშიგ, ცკუა, პაპცვა, აპაპათ, აუახად, უანაჩა, ინაფხა, პკინ, შარმათ, ტაპანცი, ბარას, შუგენ, გუარმაგაა, ასმეიხუა, აწისხუა, აბგაჯ, აბრას, კაიტან, სიმსიმ, ჩკოკ, თაკურიკაცვა, კემაჭიფაცვა, ხალბად, ხაკუშაა, ჭოლუყვა, მანტოი, ჰაყეიფაცვა, აშხარა, აშხაცაა, მაჟარა. არასწორია ბა—სუფიქსიან გვარებს ჩრდილოეთ კავკასიურად რომ თვლიან. არის ფშ—ზე დამთავრებული გვარები: ბაგაფშ, გრიკვაფშ, ტრაფშ, კაფშ და სხვა. მათ აფხაზურ გვარებად მიიჩნევენ, მაგრამ არის მოსაზრება მათი ქართული (ლაზური) წარმოშობის შესახებ. უფრო სწორია მათი ჩრდილოეთ კავკასიური წარმოშობა. ამ გვარებში არ გვხვდება

ხმოვანი „ო“ და თანხმოვანი „ვ“.

დავასახელებთ ქართულ გვარებს აფხაზეთში საკმაოდ შეცვლილთ: ალფაიძე—ალფენიძე, ნიჟარაძე—ინჯორანძე, თიკანაძე—თაკალანძე, ახალაძე—ახვლანძე, აბესაძე – აბსანძე, ხუროძე—ხურუნძე და სხვა.

დავასახელებთ ქართულ (მეგრულ) გვარებს, რომელნიც მხოლოდ აფხაზეთში გეხვდება: აბაშია, აბლოთია, არდაშელია, ასვანუა, ბებუა, ბასარია. ბეკვერია, ბენდელავა, ბენია, ბერძენია, ბობუა, ბულისკირია, გამახარია, გამისონია, გარმელია, გვაგვალია, გინდია, გოჩავა, გურგულია, ვაზგანავა, ეთერია, ელერჯია, ვარდანია, ვარდაია, ზანთარაია, კენჯია, კვარჭაია, კიკორია, კვეკვესკირი, კილანავა, კორსანტია, კოტუა, კარხალავა, ლაბაშია, მახარია, მერჭულე, უგვარო, როსტობაია, ხოჭავა, რიგვავა, ქორთუა, ფენდერავა, ჯიტავა, ძანძავა, ძაძუა, ქუჩუბერია, ციცარია, ჭოლარია ქვაჩახია, ქვარანძია, სარუა, ჯეჯეია, სექანია, შარია და სხვა.

ამგვარად, აფხაზეთში აბორიგენები არიან მხოლოდ ქართველები, რადგან XVII საუკუნემდე აფხაზები ქართველები იყვნენ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუები არ შეიძლება ჩაითვალოს აბორიგენებად.

საჭიროდ მიგვაჩნია აფხაზეთში გავრცელებული ქართული გვარების ღრმა, მეცნიერული შესწავლა. ამით ბევრი რამ გაირკვევა აფხაზ—ქართველთა ურთიერთობიდან.

## გამქრალი გვარები

აფხაზეთში ბევრი ქართული გვარი გამქრალია, გადაშენებულია და ამჟამად არ გვხვდება, ან შეცვლილია. მაგალითად, სოფელ ნაჟანეულის გვარებს შორის მოხსენებულია ჯგვიბირია, კოდია, ესენი თანამედროვე ჯგუბურია და კოდუაა. სუბეიშიდან—

ქორჩოლუა—აბაშაში მცხოვრები ქორჩილავაა, ესებია—ესებუაა და ა.შ.

გამქრალი გვარების შესახებ ცნობები გვაქვს სოფლების მიხედვით. ს.კაკაბაძის მიერ გამოცემული „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარის" მიხედვით, სოფელ ნაჟანეულიდან (მე—17 საუკუნე, დღევანდელი ოტობაია—გალის რაიონი) გამქრალი გვარებია: ღრუბელაია, კონდარია, ციცორია, უჩაია, მესტუმრია, ჯვიტიშია, რუსაყია, მარცვალია, მატოფია, სამელია, ხისტარია, ჯგვიბირია, კოდია, ხუხუშია, მგიშია, გურუა, ცისტარია, ჯიმია, დავითია.

სუბეიში (დღევანდელი აჩიგვარა), XVII ს. – გამქრალი გვარებია: ძღირუა, ქორჩოლუა, ღვაჯაგია, გიმნოთირია, მახუტია, არტონია, მიქელია, ჯიმია, გუგურია.

სოფელი ხოირი (ამჟამად ოხურეი): ჩაგუა, მიხილია, მეზურგანია, წებელარია, დამაკოჩია, ამბალია, კაკუა, ქურია, ხირგუა, გამკერვალია. სოფ.კეიტოული—1834—35 წლები: კორტაძე, ჭელია, ყარტაშია, ჩიკორია, თუთაშხია, აფია, კვარტავა, ჟანგურია, კვინია, ფინფია, შხანუფია, წუნარია, კვაკვავა, ოშიშხია, ჟონგუა, ტოჩია, წუდია, ჯღაბელია, ღანღიძე, ბახვალია, კაცინაძე, სიქილანძია, ჭანბაია, კვარჭალია, კონტონბაია, აგრიბაია, გიცბაია (სცსსა, ფ.488, საქმე 3741.

ტამიში: ფინფია, მითრია, სალმაქია, პიჟნორია, მეშელია, აცანია, ბათაკილა, კუხაია, მამაშელია, არლანია, ბაცანია, გვადანაძე, კრიაშვილი.

კინდღი: ნანია, ღუნჯია

აფიცხვა (ამჟამად უცნობია): ცისბაია, გუბელია, კვაჟი, ბაგშლია, კიკია, ბიშინბაია, კაბუნია, კირიბზია, ლაკვა, ცირკუჩი, გუნბაია, სულანძია, საგულია, საკონია.

მოქვი: ფოჩქერია

თხინა: სალახია, შხანუფია, ჭანუნბაია

სოფელი ლეხინო (ამჟამად უცნობია): შალაგუა, გიცრია, სვანიშია.

ათარა: თუთაშხია, გიდლია, ჭანუნბაია, აშიბაია.

შქაწყარი (ამჟამად აძიუბჟა): ახუბაია, აგრიბაია, აცანაია.

ზაგანი: ზუბილავა.

მარმარი—კარი: დასტურია, ჩხენგერია, ეგვიპტია.

ჭლოუ (ჭალა): გოგილდაია, მიხილია, ქუაქუალაია, ჩაგლია, ბანტია, კვარია, ესებია, ჯანტია.

ტყაურუ: შამბია, შამიგია, ჭუჭურია, დათია.

ხაუჟელი (მდებარეობდა თილითსა და ღალიძგას შორის), გამქრალი გვარებია: ვართანგია, გინძია, ფარსმანია, ჩოქუა, წებელარია, გირდია, სალათია, თოსქუამია, დუშია, მისერია.

ილორი: ქოჩოლვა (XI ს), წაწალუა (მე—17 ს). სოფელი ღალიძგა, მოხსენებულია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში (ს.კაკაბაძე, 1921 წ.), აღნიშნულია ლამბერტის რუკაზე – 1628 წელი. ბიჭვინთის ტაძრისადმი შეწირულია ამ სოფლიდან მიღუნ ზუბილავა და გამიძულა წაწალუა.

თილითი (ამჟამად აბააჟვ, თხინა): თოფშხუა, ცქურია, მიხილით, შუნია, სეფანასკირი, თასია, ჩერჩია, ჟვანესკირია, გოგირდია, მანტია, ტოროჯია, შარინავა, მალურავა, თოსქუამია, ჩხირუა.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს (წერილები საქართველოზე XVIIს.) მოხსენებული აქვს ამჟამად გამქრალი გვარები: მიქეია, დაგურია.

1640 წლის დოკუმენტში, კვიტოულში მოხსენებულია დავითია, ჩხანგელია; ამავე სოფელში 1834—35 წლებში არსებობს გვარი ძიღია.

თხინაში—სალახია, ჭანუნბაია, ტვიშბაია.

ეშქიდი (ალბათ ეშქეთი)– ქარსაბაია.

ლეონ დადიანმა ჩყიგ—ს ნოემბრის კ—ს შესწირა ეკლესიას აფხაზეთიდან მოყვანილი ყმა ჯოღორია დადივაძე ცოლშვილით. წყაროებში ხშირადაა მოხსენებული ლაფაძე. ამჟამად ეს გვარი არ არის, ჭიათურის რაიონში ცხოვრობენ ლაბაძეები. მოხსენებულია მხედართმთავარი ბისკაია. ამჟამად ასეთი გვარი არ არის.

დადიანმა შესწირა ბიჭვინთის მონასტერს დასტურაია, ხაზავა, მერკვირია.

სოფელ ლიხნში, მე—19 საუკუნის 30—იანი წლებში. ჩვენთვის ცნობილ გვარებთან ერთად მოხსენებულია ამჟამად გამქრალი გვარები: თორნავა, ქველია, ჭანუნბაია, რეშია, მალუხია, ჭატარია, ჯოღორია, ჩხუნგურია, ეიბაია, გუგულავა, ხურხუნძია, უკულია, გოგალია, ლაკუშია, ღვარძიკია, ხუნძია, ხუმატაშვილი, შეყრილავა, ხანძია, გიცაბაია, კოხონჯია, მარგალია, კუკუსკერია, ღურწიკია, გოჯუა, გერგვალია, სამბა, გოჩია, ხონია, მუკბაია, ბაჟინავა, ჯონრია, ლაჟიბაია, ჰასანია, ტვანბაია, ჯანთუა, ჯამლაია, ლაკიბაია, ბინძაბაია, აჰბაია, არგუნია, არაცულია, ლაჭიბაია, ფარცხალია, გელაჯავა, ჩიჩიბაია, არძიბაია, ხილანძია, უგულაია, ტელანბაია, ბიშინბაია, ყაბუხია, კირიბზია, მაშელია, ცირკუტია, სულანძია.

ამ დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველო—იმერეთის სინოდის წევრი, ცაგერის მიძინების მონასტრის არქიმანდრიტი ანტონი, იღუმენი დავითი, დეკანოზი სიმეონი, მღვდელმონაზონი თეოფანე (სცსსარქივი, ფ.488, საქმე 3741).

ბაია—ბოლო კიდურიანი მეგრული გვარები, ამჟამად გამქრალი, გვხვდებოდა მე—19 საუკუნის 30—იან წლებში. აი, ეს გვარებიც: ჭანუნბაია, ბინძაბაია, ეიბაია, აჰბაია, ლაჭიბაია, ტელანბაია, შანბაია, კონტონბაია, ჯივისბაია, ბაზირბაია, დარგიბაია, ცისბაია, ბიშინბაია, ავშიბაია, კივშიბაია, ტუიბაია, ამიბაია, ელშიბაია, წისბაია, ბიშანიბაია, გუნუმბაია, კარსაბაია, აშიბაია, ტვიშბაია, ეშთიბაია, ღულეშბაია, ქარსაბაია, აშირბაია, ბინძაბაია, ლაკვაბაია. გვხვდებოდა გვარები, საიდანაც ბოლოსართი „ია“—ს მოცილებით მივიღებთ აფხაზურ გვარებს. გიცბაია—გიცბა, ტვანბაია. ტვანბა, ჯიკირბაია—ჯიკირბა, მუკბაია—მუკბა, გუნბაია—გუნბა, აგრიბაია—აგრბა, ჭანბაია—ჭანბა, წუშბაია—წუშბა. ეს მეგრული გვარები მე—19 საუკუნის პირველ ნახევარში გააფხაზებულან. ეს გვარები ქრისტიანები იყვნენ. დოკუმენტს ხელს აწერენ არქიმანდრიტი ანტონი და სხვა. ამ სიაში არ არის ჩრდილოეთ კავკასიური გვარები.

ამგვარად, გამქრალი გვარების მეტი ნაწილი მეგრულია, არის ქართული გვარებიც. ჩვენს მიერ გადათვალიერებულ სიებში

ძალიან ცოტაა აფხაზურად მიჩნეული ბა—სუფიქსიანი გვარები (გუნბა, აგრბა, კარბა და სხვა. მაგრამ ბა სუფიქსიანი გვარებიც ქართულია).

## გაგრის ძველი სახელწოდებანი

საქართველოში სხვა ქალაქი არ არის და მსოფლიოშიც იშვიათია ქალაქი, რომელიც წარსულში იმდენი სახელწოდებით იყოს მოხსენიებული, როგორც გაგრა.

ერთ—ერთი უძველესი ცნობა გაგრის შესახებ ბერძენ მეცნიერს და მოგზაურს ფლავიუს არიანეს (ახ.წ. II ს) ეკუთვნის. ფლავიუს არიანე გაგრას კაკრს უწოდებს. ძნელია იმის თქმა, გაგრა ქალაქი იყო თუ არა იმ დროს, მაგრამ მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი რომ ყოფილა, ეს ცხადია.

ბერძნულ წყაროებში ბიჭვინთის (პიცუნდის) ჩრდილოეთით, შავი ზღვის პირას მოხსენიებულია პუნქტი ნიტიკე. ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს, რომ ნიტიკეში გაგრა ვიგულისხმოთ; მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ნიტიკე მდინარე კინჩულის ნაპირზე მდებარეობდა. კინჩული ჩვენ მდინარე ჟოეკვარად მიგვაჩნია, გაგრა კი ჟოეკვარას ნაპირზეა.

ცნობილი ფაქტია, რომ მეექვსე საუკუნეში აფხაზეთში, ტრაქეაში მოხდა აბაზგთა აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ. ბევრი მკვლევარი ტრაქეად ანაკოფიას (დღევანდელი ახალი ათონი) მიიჩნევს. მკვლევართა ნაწილი კი ტრაქეად გაგრას თვლის. მაშასადამე, არსებობს მოსაზრება, რომ ტრაქეა იგივე ძველი გაგრაა. ტრაქეა ისტორიულ ციხე—სიმაგრედ პირველად იხსენიება VI საუკუნეში (პრ.კესარიელი).

1509 წელს გაგრას ხოკარი ეწოდებოდა. XVII საუკუნეში თურქი მოგზაური ევლია ჩელები გაგრას კოკურს უწოდებს; შარდენი (XVII ს) – ბალა დაღს (თურქულად მაღალი მთა). კლაპ-

როტი (1814 წ.) გაგრას დერბენტს უწოდებს (თურქულად დერ-ბენტი—ჭიშკარი, ხეობა). გაგრა საქართველოს ჭიშკარი იყო.

პროფ. თ.მიბჩუანის განმარტებით, ტოპონიმი გაგრა სვანურია. სვანურად გაგრა—გაკრა ნიგვზნარს ნიშნავს. ისტორიიდან ცნობილია ბიჭვინთა—გაგრის მიდამოებში სვანების ბინადრობა ამ პერიოდისათვის. (VII ს).

პაელე ინგოროყვას მიხედვით, ქართული წყაროებიდან („ქართლის ცხოვრების მატიანე"—გვ.72, XIV საუკუნეში გაგრას—გაგარი ეწოდებოდა.

პ.ინგოროყვა წერს: „სახელწოდება გაგარი თავისი გრამატიკული წარმოშობის მიხედვით ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჯგუფს ეკუთვნის". ბოლოსართი „არი" ჩვეულებრივი დაბოლოებაა ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებაში. გაგარის ფუძეა სიტყვა გაგი, გაგი კი ქართული სახელწოდებაა (გაგი ძველი ქალაქი იყო ქვემო ქართლში). პ.ინგოროყვას მიხედვით გაგი გაშენებული იყო მდინარის ნაპირზე, რომელსაც ამჟამად გაგრიფში ეწოდება.

ძველ ქართულ წყაროებში (თ.ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II გვ.199) მოხსენიებულია „სიმაგრენი გაგარი და უღაღნი". პ.ინგოროყვას მიხედვით უღაღნი ქართული სახელწოდებაა. ს.ს.ორბელიანის მიხედვით უღაღი არის ძნელ სავალი, დ.ჩუბინაშვილის მიხედვიდ, უღაღი ძნელ სავალი მთაა. უღალი გაგრის დასავლეთი გაგრძელება იყო ზღვის პირას, მთის ძირში. იგი კეტავდა გაგრის ვიწრო ყელს მთასა და ზღვას შორის.

დიუბუა დე მონპერე (XIX საუკუნის 30—იანი წლები) გაგრაში აღნიშნავს მდინარე კინჩულს. როგორც აღვნიშნეთ, უფრო ადრე II საუკუნეში ამ სახელწოდების მდინარე აღნიშნული აქვს არიანეს. ძველ გაგრაში მეტი მდინარე არ არის, ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია კინჩული დღევანდელი ჟოეკვარა იყოს. ჟოეკვარა ხომ აფხაზური ახალი ტოპონიმია. მარტო გაგრა კი არაა ქართული ტოპონიმი. შუა საუკუნეებში გაგრის ირგვლივ იყო ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი: დასავლეთით ცანთა, აფხაზების მიერ ცანდრიაფშად შეცვლილი, პ.ინგოროყვას მიხე-

დვით ქართულია. აქ დღემდე შემორჩენილია ქართული არქიტ-ექტურის ძეგლი—ტაძარი. გაგრის სამხრეთ—აღმოსავლეთით ბი-ჭვინთაა, აღმოსავლეთით – ბზიფი. ფშია, ჩრდილო—აღმოსავლ-ეთით.

სობღისია. გაგრის ზონაში აფხაზური ტოპონიმები ცოტაა. 1970 წელს, როდესაც ვაგროვებდი აფხაზეთის ტოპონიმებს, გაგრასაც ვესტუმრე. მივმართე გაგრის ქალაქკომს, მაგრამ ყვ-ელამ განაცხადა, რომ გაგრაში აფხაზები თითქმის არ ცხოვრო-ბენ. ბოლოს ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ მისმა მე-ზობელმა ქართველმა ლოლუას ქალმა კარგად იცის აფხაზური ენა. მან ჩამაწერინა საინტერესო მასალა.

საინტერესო ქალაქია გაგრა: ბუნების სილამაზით, ისტორიით და ქალაქის სახელწოდებათა ცვლილებებითაც. ქართველმა ის-ტორიკოსებმა სპეციალურად უნდა შეისწავლონ გაგრის ისტ-ორია.

## გალი

გალის, როგორც დასახლებული პუნქტის, შესახებ არავითარი ცნობები არ არის დაცული „ქართლის ცხოვრებაში". არც ვახუშ-ტი ბაგრატიონს აქვს იგი მოხსენებული. თ.ჟორდანიას „ქრონ-იკებშიც" არაფერია ნათქვამი გალის შესახებ.

მიუხედავად ამისა, გალი უძველესი დასახლებული პუნქტია საქართველოში. 1934 წელს გალში არქეოლოგმა ს.ნ.ზამიატნ-ინმა იპოვა ქვედა პალეოლითური კაჟის იარაღები (ხელცული, წვეტნები, სახოკები). ნაპოვნია გვიანი პალეოლითური ხანის ქვის ნაწარმი, აგრეთვე ნეოლითური კაჟის იარაღები, ხოლო სპილენძის ზოდების პოვნა განვითარებულ ენეოლითზე მიგვით-ითებს. გალის ტერიტორიაზე ნაპოვნია ძველი მეტალურგიული სახელოსნოს ნაშთები (სადაც შემდეგ აღმოაჩინეს ბრინჯაოს

ზოდები და ბრინჯაოსაგან დამზადებული საგნები). შუა საუკუნეებში აქ დასახლებული პუნქტის არსებობაზე ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ნაპოვნი წყალსადენის კერამიკული მილები და კოშკის ნანგრევები მიუთითებს.

არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (1654 წ.) გალი გოგიელის სახელწოდებითაა აღნიშნული. გოგიელი ამ დროს სამეგრელოს სამთავროში შედიოდა. ტოპონიმ გალის წარმოშობა მეცნიერულად ახსნილი არ არის. ქალაქის დასავლეთით არის სოფელი პირველი გალი. გალის ჩრლდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით არის ცხირო—გალი (ამჟამად მზიური), სოფელ ხუმუშკურის ცენტრს კი—პატარა (ჭიჭე) გალი ეწოდება. სანამ გალი სამურზაყანოს ცენტრი გახდებოდა, იგი მეორე გალის სახელწოდებით იყო ცნობილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გალი ისეთივე წარმოშობისაა როგორც აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილის ქართული ტოპონიმები: ჯალი, ფალი, დალი, ფსკალი, და სხვა. აფხაზებმა დადგენილებაც კი მიიღეს გალისათვის ეწოდებიათ ალეკუმჰარა. ლეკუმხარა უბანია კოხორაში.

სამფლობელოს ჩამოყალიბებისთანავე სამურზაყანოს ცენტრი იყო ბედია. 1840 წლიდან სამურზაყანოს ცენტრი გახდა სოფელი ოქუმი. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან სამურზაყანოს მოწინავე საზოგადოებრიობამ დასვა საკითხი სამურზაყანოს ცენტრის, მხარის განაპირა ნაწილიდან გეოგრაფიულ ცენტრში გადმოტანის შესახებ. ამ საკითხს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის „ივერია“. 1902 წელს (№68, 29 მარტი). „ივერია“ მოუწოდებს მთავრობასა და საზროგადოებრიობას ცენტრის ოქუმიდან გალში გადმოტანის შესახებ. მართლაც, 1906 წლიდან სამურზაყა

ნოს უბნის (შემდეგ მაზრის) ცენტრი გახდა გალი. კ.მაჭავარიანი, რომელიც წარმოშობით ოქუმიდან იყო, გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ცენტრი სოფელ ოქუმიდან გადატანილ იქნა „ჭაობიან ადგილას, სახელდობრ სოფელ გალში“.

ორსართულიანი ქვის ორი შენობა (სკოლა და სასამართლო), მთავარი გზატკეცილის გასწვრივ ჩამწკრივებული ხის დუქნები —ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნებისა, აი, რა იყო გალის

ცენტრალური ნაწილი 1921 წლისათვის. გალში სკოლა არ იყო. 1888 წელს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღძრეს საკითხი სოფელ მეორე გალში დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ. „ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერებმა, სოფელ გალის მცხოვრებლებმა განვიხილეთ სოხუმის ეპისკოპოსის უგანათლებულესი გენადის განცხადება ჩვენს სოფელში საეკლესიო—სამრეველო სკოლის გახსნის შესახებ. ჩვენ თანახმა ვართ სასკოლო მოწყობილობათა და ჩვენი ბავშვების მასწავლებლების ხელფასისათვის წლიურად გადავიხადოთ სამასი მანეთი“ (აფხაზეთის არქივი, ფ.1 საქმე 328, ფურცელი 2). მაგრამ ეს თხოვნა უპასუხოდ დარჩა. 1896 წელს სამურზაყანოს მოსახლეობის საერთო კრებაზე (ესწრებოდა ქუთაისის გუბერნატორი) მოსახლეობის დაჟინებული თხოვნით გადაწყდა სკოლის გახსნა სამურზაყანოს ცენტრალურ ადგილას, სოფელ მეორე გალში. გალის ორკლასიანი სამასწავლებლო სკოლის შენობის (ამჟამად პირველი საშუალო სკოლა) აგება დამთავრდა 1899 წელს.

1917 წლამდე გალს ერთი ექიმი და ორი ფერშალი ემსახურებოდა. ექიმი იყო იოსებ შავგულიძე, ცნობილი ქართველი ფეხბურთელის შოთა შავგულიძის მამა. 10 ადგილიანი საავადმყოფო კერძო სახლში იყო მოთავსებული. 1931 წელს გალი რკინიგზით შეუერთდა თბილისს. 1932 წლიდან გალი ქალაქია. მოსახლეობა 1926 წელს შეადგენდა 1431 სულს (კაცს), 1982 წელს– 16.062 კაცს.

უკანასკნელ ათეულ წლებში გალში აგებულ იქნა კულტურის სახლი. რაიონული საავადმყოფო , საშუალო სკოლის ორი შენობა, ფოსტა—ტელეგრაფის შენობა, ადმინისტრაციული სახლი, კომუნალური სახლები. გალის ცენტრში აგებულმა ოთხ და ხუთსართულიანმა სახლებმა კიდევ უფრო დაამშვენა ქალაქი. გალი სამრეწველო ქალაქიცაა, არის ქარხნები და ფაბრიკები. ქალაქში არის ოთხი საშუალო სკოლა, ორი მუსიკალური სკოლა, სპორტსკოლა, საბავშვო სამხატვრო სკოლა, ისტორიულ—ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც დაანგრიეს აფხაზმა ბოევიკებმა, არსებობდა სახალხო თეატრი. გალის რაიონმა მრავალი

სასახელო შვილი აღუზარდა სამშობლოს—საქართველოს. ჩვენ მხოლოდ ორს დავასახელებთ: ილია ვეკუა—აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ზურაბ სოტკილავა—მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, მსოფლიოში ცნობილი მომღერალი.

ქალაქ გალის შესახებ შეიძლება ბევრი დაიწეროს, მაგრამ ახლა მხოლოდ ორ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე ვისაუბრებთ. ესაა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და 1918 წლის 26 მაისი—საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე.

მოხდა თებერვლის რევოლუცია. აი, როგორ აქვს აღწერილი რევოლუციის პირველი დღეები სამურზაყანოში გაზეთ „ერთობას" (1917 წლის 12 აპრილი, №21). სტატიის სათაურია: „საერთო აღფრთოვანებამ სამურზაყანოშიც ჰპოვა გამოძახილი". „26 მარტი სამურზაყანოელთათვის ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს მოწვეულ იქნა ხალხი, რომ ფიცი მიეღო ახალი მთავრობისადმი ერთგულებაზედ, ჯერ გადახდილ იქნა პანაშვიდი თავისუფლებისათვის დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. სიტყვით მიმართა ხალხს მღვდელმა ს.სვანიძემ. ილაპარაკეს კომიტეტის წევრებმა ბატონებმა გეგიამ, შარიამ, გულუამ და სხვა. შემდეგ ხალხმა მიიღო ფიცი".

აი, ამ დღეს მოხდა ის, რისი წარმოდგენაც ძნელი იყო ყველასათვის. ამ ზღვა ხალხთან თავისი ნებით გამოცხადნენ ის ძველი ყაჩაღები, რომლებიც მთელ სამურზაყანოს და სამეგრელოს შიშის ზარს სცემდნენ... მშვენიერი სანახავი იყო ეს ლომი ბიჭები (18 კაცი) შუა მოედანზე გამოსულნი და მორცხვად თავდახრილნი. მათ განაცხადეს: ძველ მთავრობას თავს შევაკლავდით და არ დავნებდებოდით, თქვენ კი სიამოვნებით გნებდებით და ყოველივე გადაწყვეტილებას, თუ გინდ თავის მოკვეთას, სიხარულით ვეგებებითო. ხალხმა მიიღო რა მათი ვაჟკაცურად მოქცევა მხედველობაში, აპატიეს ყველაფერი და მიიღეს საზოგადოების პატიოსან წევრებად".

1918 წლის 28 მაისს გალში, მთავარი გზატკეცილის ახლოს,

მდინარე ქვიშონას ნაპირზე შედგა სამურზაყანოელთა კრება, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისადმი. გალს არ ახსოვს ამდენი ხალხის შეკრება, მიტინგის დამსწრენი ერთმანეთს ულოცავდნენ, კოცნიდნენ. მიტინგის მონაწილეებს საქართველოს დამოუკიდებლობა მიულოცეს: ივანე გეგიამ, ესტატე გულუამ, ვასო კავუარაძემ, ავქსენტი ზუხბაიამ, გრიგოლ მიქავამ. არჩეულ იქნა სამურზაყანოს ერობის გამგეობა. გამგეობის წევრებად აირჩიეს ივლიანე ჯანჯღავა (თავმჯდომარე), აკაკი ფიჩხაია (თავმჯდომარის მოადგილე), ავქსენტი ზუხბაია (მიწათმოქმედების განყოფილების გამგე), გრიგოლ მიქავა, ოთხივე—სოციალ—დემოკრატი და ერთი—ივანე გეგია— ფედერალისტი. ეს იყო ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები. ეს უბედნიერესი დღე მე, ოთხი წლის ბავშვს, ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. ჩემი ნათესავის, გვარდიელი დიმიტრი ბულისკირიას—გალში ყველაზე მაღალი ადამიანის—კისერზე ვიჯექი და საკუთარი თვალით ვიხილე ყოველივე ზემოთ ნათქვამი.

გალი—ეს პატარა და კოხტა ქალაქი, აფხაზმა ბოევიკებმა ნანგრევებად აქციეს. ამ ბარბაროსებმა მრავალი მისი შვილი წამებით მოკლეს, ათასობით სახლი დაწვეს. ტყვია და ცეცხლი ბატონობს წლების მანძილზე ამ პატარა ლამაზ ქალაქში.

გვჯერა, რომ აფსუა სეპარატისტები მალე წავლენ ისტორიის არენიდან და კვლავ აღსდგება ჩვენი ქალაქი.

## მოგონების ერთი ფურცელი

1928 წელია. გალში ხმა გავრცელდა დღეს გალში ჩამოდიან და გალელებთან აქვთ შეხვედრა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გიორგი სტურუას და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნესტორ ლაკობას (აფხაზების საქმის გამო). შეხვედრა დანიშნული იყო კლუბში. ჩვენ, მეშვიდე კლასის სამმა მოსწავლემ, გადავწყვიტეთ დავსწრებოდით შეხვედრას და გვენახა

ნესტორ ლაკობა, რომელიც იმ დროისათვის პოპულარული იყო და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. დარბაზში შესვლა არ გაგვჭირვებია, კარებში არავინ იდგა. უკანა რიგში მოვთავსდით. ჩვენი შესვლიდან 15 წუთში დარბაზი გაივსო ხალხით. სცენაზე გაიხსნა ფარდა, პრეზიდიუმში სტურუასა და ლაკობასთან ერთად ისხდნენ მაზრის ხელმძღვანელები: იასონ ხაბურზანია, ტარას ლაგვილავა, თბილისიდან მოწვეული სტუდენტები: ავქსენტი მარხულია, ნიკოლოზ სოფია, შალვა ხუბუტია. გამოირკვა, რომ ჩვენი რაიონიდან წასულ, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ავქსენტი მარხულიას, შალვა ხუბუტიას, ნიკოლოზ სოფიას, კონსტანტინე დემანიას, გიორგი ზუხბაიას, გერონტი კაკუბავას, თეოფანე და ვანო შარიებს დაუწერიათ განცხადება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მიხა კახიანის სახელზე, რომ გალის მაზრა (სამურზაყანო) ქართულია, აქ აფხაზი მოსახლეობა არ არის, ამიტომ გალი ჩამოაშორონ აფხაზეთს და შეუერთონ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც, მაგალითად, ზუგდიდისა და სენაკის მაზრები. ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს მიხა კახიანს მიუცია დავალება გიორგი სტურუასა და ნესტორ ლაკობასათვის შეხვედროდნენ და მოლაპარაკებოდნენ გალელებს, ღრმად შეესწავლათ საკითხი. გ.სტურუამ გააცნო შეკრებილთ საქმის შინაარსი და დაამთავრა სიტყვებით: ჩვენ გვინდა გალელები და აფხაზები ერთად იყონო.

ნესტორ ლაკობამ კი თავისი სიტყვა იმის მტკიცებით დაიწყო, რომ სამურზაყანოელები და აფხაზები ერთი ხალხია—ორივე აფხაზია და ერთად უნდა იყვნენო. გალის მაზრაში ბევრია აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებანი, ბევრი აფხაზი ცხოვრობს, ტრადიციები აფხაზური აქვთ და ნორმალურია სამურზაყანო აფხაზეთის ფარგლებში შედიოდესო.

მაგრამ სტუდენტებმა ავქსენტი მარხულიამ და შალვა ხუბუტიამ სამურზაყანოს ისტორიის, ეთნოგრაფიის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნეს, რომ ლაკობა გააჩუმეს, ხალხის აღტაცება და ტა-

ში გამოიწვიეს. კლუბის დარბაზი სავსე იყო ხალხით. ეზოდან ისმოდა: არ გვინდა აფხაზები, ჩვენ თბილისი გვინდა. კამათში გამოსულებმა კონკრეტული მაგალითები მოიტანეს, რომ ჩაგვრას და დამცირებას განიცდიდნენ აფხაზებისაგან, რომ სამურზაყანო – საქართველოა. აქ ქართველები ცხოვრობენ და აფხაზთა რამდენიმე ოჯახია სოფელ ჩხორთოლში, ათიოდე ტოპონიმი თუ იქნება სამურზაყანოში აფხაზური; ხოლო გვარები (ემუხვარი, ჩქოტუა, ინალიშვილი, ლაკირბაია, აქირთავა და სხვა ყველა ქართულია). საღამოვდებოდა, კამათი მაინც არ წყდებოდა, საქმე ურთიერთ გალანძღვა—შეურაცყოფამდე მივიდა. საბოლოოდ სიტყვა აიღო ნესტორ ლაკობამ და განაცხადა შემდეგი: ჩვენ გვინდოდა ამ საკითხზე თქვენი—სამურზაყანოელთა აზრი გაგვეგო, თორემ საკითხი გადაწყვეტილია: კახიანმა მდგომარეობის შესახებ დარეკა მოსკოვში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და პასუხი მიიღო: ქართველები და აფხაზები ერთად იქნებიან, მათი დაცილება შეუძლებელიაო. ამის გაგონებაზე ერთი ამოიგმინა ხალხმა და უსიტყვოდ დატოვა დარბაზი. ეზოში კი ისმოდა სიტყვები: ყველაფერი ვერაგულად, ხალხის საწინააღმდეგოდ უნდა გააკეთონო. მას შემდეგ 70 წელი გავიდა, მაგრამ ეს ამბავი დღესაც მახსოვს, ესაა პრობლემა, რომელიც ამჟამადაც არ არის გადაწყვეტილი და ჩვენ ხელისუფლების პირობებში არ ვიცით თუ როგორ გადაწყდება.

# III. აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის

## გაგრა

ასეული წლების მანძილზე გაგრამ მრავალჯერ შეიცვალა სახელწოდება. პავლე ინგოროყვა წერს: (იხ. „გიორგი მერჩულე"), რომ მე—14 საუკუნის ქართული ხელნაწერიდან („ქართლის ცხოვრების მატიანე") ჩანს, რომ გაგრას „გაგარი" ეწოდებოდა. სახელწოდება გაგარი თავისი გრამატიკული ფორმის მიხედვით ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჯგუფს ეკუთვნის. ბოლო კიდური არი ჩვეულებრივი დაბოლოებაა ქართული გეოგრაფიული სახელებისა. გაგარი სიტყვის ფუძეა გაგი. გაგი კი ქართული სახელწოდებაა (გაგი ძველი ქართული ქალაქი იყო ქვემო ქართლში). პ.ინგოროყვას მიხედვით გაგი გაშენებული იყო მდინარესთან, რომელსაც ამჟამად ეწოდება გაგრიფში.

თემურ მიბჩუანის მიხედვით გაგრა სვანური ტოპონიმია და ნიგვზიანს ნიშნავს.

ხშირად ამბობდნენ—გაგრა ერთი ქუჩა და ორი ქალაქიაო, მაგისტრალური ქუჩის გამო. ეს ერთი ქუჩა მაღლობების ძირში ჟოეკვარასთან იწყებოდა და ახალ გაგრასთან რკინიგზის სადგურამდე გრძელდებოდა. ქუჩა რუსთაველის სახელს ატარებდა. აფხაზმა სეპარატისტებმა ქუჩას სახელი შეუცვალეს და კომკავშირელი მუშაკის ვინმე დემირჯ—იფას სახელი უწოდეს.

ბიჭვინთა უძველესი ქართული ტოპონიმია. ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში (325 წელი) ბიჭვინთაში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა... შუა საუკუნეებში ბიჭვინთა იყო დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ცენტრი. ქართულ წყაროებში ბიჭვინთა ბევრჯერ არის მოხსენებული. ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს ბიჭვინთას: „არს ბიჭვინთის ეკლესია დიდი, დიდშენი,

კეთილი ფრიად, გუმბათიანი, ზღვის კიდესა ზედა, ყამს აფხაზთა მეფეთა იქმნა საკათალიკოსოდ, არამედ აწ ხუცის ამარად, ვინაითდგან აფხაზნი არღარა მონებენ სჯულსა და სარწმუნოებასა". საკათალიკოსო ტაძარი აფხაზებს ხუცის ან მღვდლის ამარად უქცევიათ.

ბიჭვინთა—ქართული გეოგრაფიული სახელწოდებაა (ს.ყაუჩიხშვილი, პ.ინგოროყვა). იგი დაკავშირებულია რელიქტურ ფიჭვთან, რომელმაც დღემდე მოაღწია ბიჭვინთის მიდამოებში. პ.ინგოროყვას მიხედვით, რელიქტური ფიჭვი საღვთო ტყედ ითვლებოდა. ქართული სახელწოდებაა ბიჭვინთა და ბერძნული სახელწოდება—პიცუნდა. უცხოელი მეცნიერი რეინეგსი წერს ბიჭვინთას და არა პიცუნდას.

აფხაზი ენათმეცნიერები ცდილობენ ბიჭვინთას მისცენ არა ქართული, არამედ ბერძნული განმარტება: „ბიჭვინთა რომ ქართული ტოპონიმი იყოს, – წერს აფხაზი ენათმეცნიერი კ.არისთაა,—გვექნებოდა ფიჭვიანი ან ფიჭვისი". მან არ იცის, რომ არსებობს ნთა ბოლოკიდურიანი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი: ჭვინთა, დუნთა, ლაგვანთა, გურიანთა და ა.შ. „ანტიკური დროის ტოპონიმები ბიჭვინთა, დიოსკურია აფხაზურმა ენამ არ მიიღო, — წერს არისთაა,—რადგან მანამდე აქ არსებობდა აფხაზური ტოპონიმები".

ეს არ არის სწორი, რადგან იმ დროს, როდესაც ამ დასახლებულ პუნქტებს ბიჭვინთა და დიოსკურია ეწოდათ, აფხაზები აქ არ ცხოვრობდნენ; არც აფხაზური ენა და არც აფხაზური ტოპონიმები არ არსებობდა.

**უღაღი—უღაღნი** — შუა საუკუნეების ციხე—სიმაგრე გაგრის დასავლეთით. ძველ ქართულ დოკუმენტებში (იხ.თ.ჟორდანია, „ქრონიკები") მოხსენებულია სიმაგრენი „გაგარი და უღაღნი". სახელწოდება უღაღი ქართულია: ს.ს.ორბელიანი—„უღაღი—ძნელად სავალი"; დ.ჩუბინიშვილი: „უღაღი—ძნელ სავალი მთა". უღაღი სწორედ ძნელსავალი გზა იყო მთასა და ზღვას შორის. იგი ჰკეტავდა გაგრის ვიწროებს.

**ბზიფი** — მდინარე, სოფელი. სახელწოდება ქართულია. იგი

დაკავშირებულია მცენარე ბზასთან. პ.ინგოროყვა წერს: დადგენილად ჩაითვლება, რომ სახელწოდება ბზიფი მდინარისა და სოფლისა ქართულია და მცენარე ბზასთან არის დაკავშირებული. ეს მცენარე ამჟამადაც ხარობს მდინარის სანაპიროებზე. მდინარე ბზიფს წარსულში აგრეთვე კაპოეტის წყალი ეწოდებოდა. ეს სახელწოდებაც ქართულია. კაპოეტი ეწოდებოდა გარეულ მონადირე ფრინველს და კალმახ—ორაგულის ჯიშის თევზს. დიუბუა დე მონპერე ბზიფს კოტოშს უწოდებს. ეს სახელწოდებაც შესაძლებელია ქართული კაპოეტიდან მომდინარეობდეს. ბზიფის ციხე—სიმაგრესაც კაპოეტის ციხე—სიმაგრეს უწოდებენ.

**ფშია** — მდინარე, ერთვის ზღვას ბზიფიდან 4 კმ დაშორებით. ფშია—ქართული სიტყვიდანაა და ნიშნავს—მდინარიდან გამომდინარე წყაროს. მდინარე კინჩული აღნიშნული აქვს გაგრაში დიუბუა დე მონპერეს. ამ სიტყვის ბოლოკიდური ული ქართულია, შესაძლებელია ეს მდინარე ჟოეკვარა იყოს.

**ცანთა** — შემდგომში სოფელი ცანდრიფში. პ.ინგოროყვას მიხედვით, ცანთა ქართული ტოპონიმია. აქ დაცულია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი—ადრეული შუასაუკუნეების ტაძარი.

**საინალიშვილო**—თავადების ინალიშვილების სამფლობელო მდ.ბზიფის მარჯვენა მხარეზე—ქართული ტოპონიმია.

ბზიფის ტაძარი—მდინარის მარჯვენა მხარეზე მდებარე, გუმბათიანია, ძლიერ დაზიანებული, ტაძარი IX საუკუნეს მიეკუთვნება. ტაძრის ქვაზე კვეთილობა ქართულია. საშენი მასალა — კირქვა.

**სობღისი** — (ჯუანშერის ქრონიკა, VIII საუკუნე). ბზიფის ხეობაში მოხსენებულია ციხე—სიმაგრე სობღისი, შემორჩენილია ნანგრევები, სობღისი ქართული ტოპონიმია.

აფხაზები ფსე—ბოლოკიდურიან ტოპონიმებს—ჟეოფსეს, ხაშუფსეს, ლაშიფსეს და ა.შ. აფხაზურად მიიჩნევენ, მაგრამ ფს ბოლოკიდურიანი ტოპონიმი აფხაზეთში არსებობდა მაშინაც, როდესაც თანამედროვე აფხაზური ენა არ იყო და აფხაზები მეგრულად ლაპარაკობდნენ. მაგალითად, ნიკოფსე—ადგილია, საი-

დანაც შუა საუკუნეებში იწყებოდა დასავლეთ საქართველოს საზღვრები. XI-XII საუკუნეებში ანაკოფია—ნიკოფსეს სახელწოდებით იყო ცნობილი. ფსესთან ახლოა მდინარის სახელწოდება ფსოუ.

ვფიქრობთ, რომ ფსუ — ბოლოკიდურიანი ტოპონიმი ქართულია.

შუა საუკუნეების გაგრის რაიონის ქართული ტოპონიმები უფლებას გვაძლევს დასკვნისათვის, რომ გაგრის რაიონი შუა საუკუნეებში ქართული მხარე იყო. არც ერთ ისტორიულ წყაროში არ არის მოხსენებული გაგრის რაიონში აფხაზური ტოპონიმები.

XVII საუკუნემდე აფხაზებს ენით, თუ საზოგადოებრივ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ნიშნებით არავინ ანსხვავებდა ქართველი ხალხისაგან. მაგრამ მე—17 საუკუნიდან სურათი მკვეთრად იცვლება. ჩრდილოეთ კავკასიიდან აფსუების შემოჭრის შემდეგ, როდესაც ისინი აფხაზებად იქცნენ ეს ახლად მოვლენილი აფხაზები, ქართველებად არ ითვლებიან. მათ აქვთ უკვე ამჟამად აფხაზურად წოდებული აბაზინური ენა.

აფხაზი ისტორიკოსები წერენ: ქართველები სომხებთან ერთად აფხაზეთში მე—19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენო. ეს რომ ასე არ იყო და რომ აქ უძველესი დროიდან ქართველები ცხოვრობდნენ, მტკიცდება ისტორიული წყაროებით, ისტორიული გეოგრაფიით, ქართული კულტურის ძეგლებით, ქართული წარწერებითაც.

ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსი ყველაფერს წერს, ოღონდ ქართველის წინააღმდეგ იყოს მიმართული. მხოლოდ ერთი მაგალითი: 1992 წელს სოხუმში რუსულ ენაზე დაიბეჭდა აფხაზ ისტორიკოსთა მიერ შედგენილი კრებული, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჩვენი საუკუნის 40—50—იან წლებში საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან აფხაზეთში გადმოსახლებული იყო 100 ათასზე მეტი ქართველი. სინამდვილეში კი 1939—1951 წლებში დასავლეთ საქართველოს მჭიდროდ დასახლებული რაიონებიდან საკავშირო მთავრობის დადგენილებით აფხაზეთის მე-

ურნეობის მუშა—ხელით უზრუნველყოფისთვის აფხაზეთში გადმოასახლეს 10 ათასი კაცი. აფხაზეთში რომ ჩამოასახლეს რუსები, ბერძნები, სომხები—ეს აფხაზ სეპარატისტებსა და მათ შორის ისტორიკოსებსაც კანონიერად მიაჩნიათ. როგორც ჩანს, უყვართ გაზვიადება, ციფრების გადიდება, არა მარტო დღევანდელობაზე, არამედ წარსულზედაც. მე—19 საუკუნეში მუჰაჯირობის დროს თურქეთში გადაასახლეს 21 ათასი აფხაზი. აფხაზმა ისტორიკოსებმა კი ეს რიცხვი 450 ათასამდე აიყვანეს.

შუა საუკუნეებში აფხაზეთში და, კერძოდ, გაგრაში, ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების სიმრავლე მიუთითებს აქ უძველესი დროიდან ქართველთა მოსახლეობაზე.

## გუდაუთის რაიონი

გუდაუთის რაიონის აფხაზური ტოპონიმები მე—17 საუკუნიდანაა. მანამდე ბზიფის მხარეში ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი იყო.

გუდაუთა—ქალაქი, რაიონული ცენტრი. სიტყვა გუდაუთა მიაჩნიათ აფხაზურ ტოპონიმად და უკავშირებენ თქმულებას აფხაზი ვაჟის გუდოუს და აფხაზი გოგონას უთას რომანტიკული თავგადასავლის შესახებ. სინამდვილეში ტოპონიმ გუდაუთას არაფერი საერთო არა აქვს ამ გადმოცემასთან. გუდაუთა ქართულ ისტორიულ წყაროშიც არ არის მოხსენებული, რადგან იგი მე—19 საუკუნეში დაარსდა. გუდაუთის პირველი მცხოვრებნი ქართველები, ვაჭარ—ხელოსანნი იყვნენ. მწერალი და პუბლიცისტი ვლადიმერ ალფენიძე წერს: „გუდაუთა ქართული სიტყვაა, შეადარეთ ქართველური ტოპონიმები გუდავა (სამურზაყანო), ისტორიული გუდაყვა, მდინარე გუდავა, ქართული გვარი გუდავა, ეთნოგრაფიული მხარე გუდამაყარი, კურორტი გუდაური და სხვა. ეს საერთოდ ქართული სიტყვაა. ფუძეა ქართული გუდავა“.

(„საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წ. №167).

**ანაკოფია**—ამჟამად ქალაქი ახალი ათონი. თავისი ბოლოკიდური ფორმანტით ია ანაკოფია ქართული ტოპონიმია (პ.ინგოროყვა). III საუკუნის ქართულ წყაროებში მოხსენებულია ანაკოფიის ციხე—სიმაგრე. X საუკუნის ბოლოს ანაკოფიას გადაარქვეს სახელი და ნიკოფსია უწოდეს. გიორგი მთაწმინდელი წერდა: „ნიკოფსია საქართველოშია და აქ განისვენებს სიმონ კანანელი“; ნ.დადიანი: „სიმონ კანანელი მიიცვალა მინგრელიასა შინა და დაფლეს ნიკოფსიას, სადა დღეს უწოდებენ ანაკოფიას, რომელი არს საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“. სიმონ კანანელი ახალი ათონის შუა საუკუნის ეკლესიაში განისვენებს.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია. იყო ქალაქი, კეთილი, შუენიერი, ზღვის ზედა წაშენებული და შემდგომ ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომელისა ზღუასა შინა სუეტანი ორმოცამდე დღესაცა ჩანან, არამედ აწ ოხერ არს“.

ვახუშტი ანაკოფიას მიიჩნევს ოდიშისა და აფხაზეთის შორის საზღვრად. იგი წერს: „ანაკოფიის დასავლით არს აფხაზეთი“.

ქრისტეფორე კასტელის ცნობით, XVII საუკუნეში ანაკოფიის ციხე—სიმაგრისა და ნავსადგურის მფლობელი იყო დავით ჩიჯავიძე, ე.ი. მე—17 საუკუნეში ანაკოფია ციხე—სიმაგრითა და ნავსადგურით ქართველ კაცს ეკუთვნოდა. აფხაზი სეპარატისტები კი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ქართველები აფხაზეთში მე—19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენო, მანამდე კი აქ აფხაზური მოსახლეობა იყოო.

**ანაკოფიის მდინარე**.(ვახუშტით)—ამჟამად მდინარე ფსირცხა.

**ივერიის მთა**—ყველაზე მაღალი მთაა ახალ ათონში, მწვერვალზე და ფერდობზე შუა საუკუნეების ციხე—სიმაგრეთა ნანგრევებით, მთის სიღრმეში კი ცნობილი ახალი ათონის მღვიმით. აფხაზ ისტორიკოსს ვ.ფაჩულიას არ მოეწონა ქართული ტოპონიმი ივერიის მთა და თავის წიგნში იგი შეცვალა აბსართა მთით.

**ლიხნი**—ამჟამად სოფელი. გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია. პ.ინგოროყვა წერს (იხ.გიორგი მერ-

ჩულე), რომ „ლიხნი თავისი გრამატიკული აღნაგობით (მრავლობითის აღმნიშვნელი ბოლოკიდური ფორმანტით) ქართულია, ქართულია თვით ფუძე ამ სახელწოდებისა ლიხი („ლიხი—ფრიად მაღალი შამბი"—ს.ს.ორბელიანი). დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე იგი ლიხინის სახელწოდებითაა აღნიშნული. ნ.დადიანი ლიხნს ლუხუნს უწოდებს. ა.ლეონიდი წერს, რომ ლიხნე ქართული სიტყვაა დ'ლხინიდან წარმოსდგებაო. ა.ლეონიდს აღნიშნული აქვს, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის მამამ სეფერ—ბეიმ ლიხნს უწოდა სოუკ—სუ (თურქული სახელწოდება), მანამდე მას ეწოდებოდა ლიხნი ქართული სიტყვა ლხინიდან. მეგრელები მას უწოდებდნენ ზუფუს.

ლიხნში შემორჩენილია აფხაზეთის მთავრების სასახლის ნანგრევები და ლიხნის ტაძარი, სადაც ამ უკანასკნელ დრომდე კედლებზე შემორჩენილი იყო ქართული წარწერები. აფხაზ ხელოვნებათმცოდნეს ლეონიდ შარვაშიძეს აღნიშნული აქვს, რომ გუმბათით ტაძარი განირჩევა მრავალი ტიპიური ქართული ტაძრისაგან, მაგრამ მაინც იგი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია.

ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა, ქართველოლოგმა მარი ბროსემ 1848 წელს აღწერა ლიხნის ღვთისმშობლის ტაძარი და მისი კედლებიდან გადმოიწერა ძველი ქართული წარწერები. ამ წარწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ასომთავრულით შესრულებული წარწერა 1066 წელს კომეტის გამოჩენის შესახებ. ქვემოთ მოცემულია წარწერის ტექსტი (XI საუკუნე): „ქ.კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოვლეთა წინა. ეს იქმნა დასაბამიდან წელთა სქით ქორონიკონსა სპვ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა, აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელმა წიაღსა აღმოავლიდის და წინა მისსა ვითარცა შარავანდი დიდი მოკიდებით მასვე. ეს იქმნა ბზობისაგან აღვსებამდე". როგორც კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ—თანამშრომელი ვალერი სილოგავა წერს, „1066 წელს ბზობიდან აღდგომამდე, 8 აპრილიდან 16 აპრილამდე, საქართველოში კომეტა შეუნიშნავთ. ამ წელს ჰალეის

კომეტის გამოჩენის შესახებ ცნობები დაცული ყოფილა კიევის სამთავროს მატიანეში, ერთ—ერთ ჩინურ ქრონიკაში. ბროსეს მიერ ტექსტის ამოკითხვის შემდეგ ტაძრის კედლები რამოდენიმეჯერ იქნა შეთეთრებული და წარწერები გაუჩინარდა.

1985 წელს რესტავრაციის დროს ლიხნის ტაძრის კედლებზე კვლავ გამოჩნდა, დაზიანებული სახით ძველი ქართული წარწერები, მათ შორის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ. ეს წარწერა ამჟამად არ არსებობს. იგი მოსპეს აფსუებმა. ტაძარში სხვა ქართული წარწერაც იყო, რომელშიც მოხსენებული იყო წმ.ბასილი და წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველი. მოსპეს აგრეთვე ლიხნის მთავრების სასაფლაოზე შარვაშიძეთა საფლავის ქვების ქართული წარწერები.

როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, ლიხნი ცნობილი იყო ზუფუ—ს სახელწოდებითაც. ზუფუ ეწოდებოდა მხარესაც (ცუდაუთის რაიონი) და მდინარესაც. მდინარე ზუფუ არის მდინარე თეთრწყალა—ხიფსთა. პ.ინგოროყვა ზუფუს ზუბს უკავშირებს: „ქალაქი ზუფუ აღაშენა ბაგრატ მესამემ 1012 წელს". „არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრ, სახლი და საყოფელი შარვაშიძეთა" (ვახუშტი).

**ანუხარეთი** — ა.ლეონიდის (XIX ს.) მიხედვით, ახალი ათონის დასავლეთით ქართულ სოფელს ანუხარეთი ეწოდებოდა. აფხაზებმა ანუხარეთი ანუხვად შეცვალეს. ამჟამად კი სოფელს ანხუას უწოდებენ. პროფ. ლ.მარუაშვილის მიხედვით, ანუხვაში ყველაზე დიდი მღვიმე „შემკულია პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეთა კედლის მხატვრობით და ძველი (V-VIII ს.ს.). ქართული ასომთავრული წარწერით. როგორც ჩანს ანუხვის მღვიმეს ადრე საცხოვრისის, ხოლო შუა საუკუნეებში სამლოცველოს დანიშნულება ჰქონია" (ლ.მარუაშვილი„მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები"). ამ სოფელში შუა საუკუნეების ქართული წარწერებიანი ქვის სვეტებია ნაპოვნი. ანუხვაში ნაპოვნი ქვის ერთ—ერთ სვეტზე ქართული წარწერა შეიძლება XI საუკუნით დათარიღდეს. ამოიკითხა მეცნიერმა ლეონიდ შარვაშიძემ):

სახელითა ღმრთისათა

ავაშენე ჯუარი ესე სახელსა
ზედა ღმრთისა მამისა ძისა სოფლისა წმინდისასა
მე გიორგი ბასილის—ძემან
ან ვინცა ევედრებოდეთ ჩვენ სამივე
ძმანი მოგუიხნე –
ნითა ამინ იყავნ.

**ბომბორი** — ზღვისპირა სოფელი. მოხსენებული აქვს დიუბუა დე მონპერეს. არქეოლოგმა ა.ლუკინმა სოფ.ბომბორში მდებარე ადგილ კისტრიკში აღმოაჩინა ნეოლითის არქეოლოგიური ძეგლები. ბომბორი ქართული ტოპონიმია. ორი ხმოვანი „ო“ არ შეიძლება იყოს აფხაზურ სახელწოდებაში.

**მუწის წყალი** — (მდინარე ვახუშტის მიხედვით), ამჟამად მდინარე მჭიშთა. ვფიქრობთ, რომ მდინარეს ეწოდებოდა არა მუწის წყალი, არამედ მიწის წყალი, რადგან მდინარე ვოკლუზის (დიდი ნაკადი) სახით გამოდის მიწის ქვეშეთიდან.

**მთავარანგელოზი** — ასე ეწოდება სოფელ დურიფშში ერთ—ერთ უბანს.

**ბზის ნავსადგური** — მუწის წყლის შესართავთან, აფხაზეთის მთავარი ნავსადგური, შარდენი მას კავო დე ბექსოს ანუ ბზის ნავსადგურს უწოდებს.

**ხოფი** — სოფელი. პ.ინგოროყვა წერს, რომ სახელწოდება ხოფი ჩვენ მრავალგზის გვხვდება საქართველოში. ასეთებია ხოფი (ხობი), ხოფა (ქსნის ხეობაში), ხოფსთა (სოფელი თიანეთში), თურქეთის მიერ წართმეულ ტერიტორიაზე არის ხოფი.

გუდაუთის რაიონის სოფ.ხოფში ეკლესიის ნანგრევებთან ნაპოვნია ქვის ფილა შუა საუკუნის ქართული წარწერით.

**აჭანდარა** — სოფელი. სახელწოდება სიტყვა ჭანდარიდან მომდინარეობს. იგი პ.ინგოროყვას მიხედვით უცხოა ჩრდილოეთ კავკასიისათვის. ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს ამ ნახევარი საუკუნის წინათ გამოფუტურებული ჭადრის ხე (ცხენოსანი კაცი რომ დაიმალებოდა), რომელიც სოფელ აჭანდარის ცენტრში იდგა.

**ნაფსაის ნავსადგური** — ნიკოფსიის —ანაკოფიის ნავსადგური.

**აღაცოს წყალი** — მდინარე. მოხსენებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს. მდინარე აღაცო აღნიშნულია დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე. მდინარეს ამჟამად ეწოდება ააფსთა.

**აღაცი** —სოფელი. ამჟამად — ააცი.

თ.მიბჩუანის მიხედვით გუდაუთის რაიონის სვანური ტოპონიმებია: **ᲘᲘუსერა** —სოფელი, ზღვისპირა კურორტი, სვანურად —თოვლიანი ადგილი;

**ᲑარᲘᲘᲨᲘ** — სოფელი. სვანურად ღვთაების სახელია.

**Ბაჩა** — სოფელი ოთხარის სოფსაბჭოში. ბაჩა სვანურად ქვას ჰქვია.

**ჩირხვა** — სოფელი ანუხვაში, ჩირხვა—სვანურად თეთრი ქვა, (ამ ადგილებში სულ თეთრი ქვებია).

**ᲑგᲣარდვანი** — სოფელი ჯირხვაში, სვანურად —შემოღობილი ადგილი.

## ქალაქი სოხუმი და სოხუმის რაიონი

**სოხუმს** ჯერ დიოსკურია ეწოდებოდა, შემდეგ სებასტოპოლი, მოგვიანებით—ცხუმი და ბოლოს სოხუმი.

**დიოსკურია** — ქალაქი, რომელიც თანამედროვე სოხუმის სანაპიროზე არსებობდა 2 ათასი წლის წინათ. აკადემიკოს ი.ორბელის აზრით, დიოსკურია აშკარად ბერძნული სიტყვაა. სახელწოდების საფუძველი არის სიტყვა „ტყუბი“. ჰ.ინგოროყვას სიტყვა დიოსკურია მიაჩნია ადგილობრივი სახელწოდების—ტყუბუნის (ტყუპების) თარგმნად. აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დიოსკურია კოლხურ—მეგრული წარმოშობისაა და ნიშნავს დედა—წყაროს. პროფ.თ.მიქელაძის მიხედვით, დიოსკურია არის არა ელინური ქალაქის ადგილობრივი სახელწოდება, რომელიც სოხუმის ყურესთან არსებობდა ბერძნული კოლონიის დაარსებამდე (ძვ.წ.I ს. მეორე ნახევრის და-

საწყისამდე). ბერძენთა იქ დამკვიდრების შემდეგ სახელწოდებამ მიიღო ბერძნული ფორმა დიოსკურია. ისტორიკოსი მერი ინაძე წერს: „სრულიად არ უარვყოფ სახელწოდება „დიოსკურიას“ ადგილობრივ წარმომავლობას და სხვა მკვლევარებთან ერთად შესაძლებლად მიგვაჩნია ბერძენ მოახალშენეთა მიერ რომელიღაც ადგილობრივი სახელწოდების თარგმნის გზით იყოს წარმოებული. ხოლო თვით დიოსკურია არის სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრებთათვის“ (ერთის აზრით ქალაქში თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ სამასი. ეს ხალხი თავს იყრის დიოსკურიაში მეტწილად მარილის გამო. იხ. სტრაბონი. „გეოგრაფია“, 1951, გვ. 172).

მოხსენებული აქვს დიოსკურია სკილაკ კარიანდელსაც.

ქალაქი დიოსკურია ჯერ კიდევ 2 ათასი წლის წინათ ზღვის ქვეშ მოექცა. ეს მტკიცდება ზღვისქვეშა არქეოლოგიური გამოკვლევებით, წყალქვეშ მოქცეულ ნაგებობათა ნაშთებით. დიოსკურიის ჩაძირვას წყალქვეშა მეწყერებით ხსნიან. ვფიქრობთ, რომ დიოსკურიის ჩაძირვა გამოწვეულია დედამიწის ქერქის ვერტიკალური მოძრაობით, ამ შემთხვევაში ქერქის დაწევით. სოხუმში ზღვაური ტერასების არსებობა სწორედ ქერქის ვერტიკალური მოძრაობის მაჩვენებელია, ამიტომ ქალაქის ჩაძირვა განაპირობა ხმელეთის დაღმავალმა მოძრაობამ.

**სებასტოპოლი** — ქართული სახელწოდება არ არის, ამიტომ მასზე არ შევჩერდებით.

**ცხუმი.** არის მოსაზრება, რომ ეს სახელწოდება მომდინარეობს სვანური სიტყვიდან და რცხილას ნიშნავს. არის სხვა მოსაზრებანიც ცხუმის წარმოშობის შესახებ (ზ. ჭუმბურიძე). მაგრამ ყველა ქართული ფუძიდან გამომდინარეა. „ქართლის ცხოვრებაში“ ცხუმი მოხსენებულია VIII საუკუნიდან: „ანდრია სიმონითურთ წავიდეს და მივიდეს ქვეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდების ცხუმი“.

მე—16 საუკუნიდან, როდესაც ქალაქი თურქებმა დაიპყრეს, სახელწოდება ცხუმი — სოხუმით შეიცვალა.

სოხუმი—აფხაზ ისტორიკოსებს თურქულ სიტყვად მიაჩნიათ:

—სუ—წყალი და ხუმ—ქვიშა. მაგრამ ეს ასე არ არის. აკად.სერგი ჯიქიას მიხედვით, რადგან თანხმოვანი „ც" თურქულში არ არის და თურქულ ენაში ორ თანხმოვანს შორის აუცილებლად ერთი ხმოვანი უნდა იყოს, ამიტომ ცხუმიდან მივიღეთ სუხუმი, შემდეგ სოხუმი. XIV საუკუნეში სებასტოპოლში (ცხუმში) მცხოვრებ გენეუელ ეპისკოპოსს ეპიტრო გერალდის 1330 წელს კენტერბერიის ეპისკოპოსისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული აქვს, რომ ცხუმი „ქვედა საქართველოშია". სახელწოდება სოხუმი ვახუშტი ბაგრატიონის დროს ცნობილი იყო, მაგრამ მეცნიერი ქალაქს ცხუმს უწოდებს და არა სოხუმს. ნავსადგური სოხუმი აღნიშნულია დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე.

აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმში შეცვალეს ქალაქის ქუჩების სახელწოდებანი. ზღვისპირა ულამაზეს ქუჩას —რუსთაველის პროსპექტი ეწოდება. გენიალური რუსთაველი შეცვალა ათიოდე აფხაზური ლექსის ავტორმა იუა კოღონიამ. მდინარე ბესლეთიდან მდინარე კელასურამდე მაგისტრალურ ქუჩას თბილისის გზატკეცილი ეწოდებოდა. აფხაზებმა ამ გზატკეცილს 1921 წელს აფხაზეთის რევკომის წევრის აქირთავას სახელი უწოდეს. სოხუმში უკვე არ არის ნ.ბარათაშვილის, ი.ჭავჭავაძის, ა.წერეთლის, ალ.ყაზბეგის, ი.გოგებაშვილის, ე.ნინოშვილის სახელობის ქუჩები. სამაგიეროდ არის აიდგილარას, ადიღეის, კონფედერანტთა და სხვა სახელწოდების ქუჩები.

ამ 10 თუ 15 წლის წინათ აფხაზეთს ეწვია მაჰაჯირთა შთამომავლების დელეგაცია. დელეგაციის წევრებს შორის იყო მდიდარი აფხაზი ბეიგუა (ქართველი ბიგვავას შთამომავალი), აი, მისი სახელი დაერქვა სოხუმის ერთ—ერთ ქუჩას.

**აყუ, აყვა**—აფხაზები სოხუმს აყუს, აყვას უწოდებენ, მაგრამ აღმოჩნდა რომ აყუ, აყვა ქართული ტოპონიმია. ტ.გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია, სოხუმის ციხეს ქართულად აყუ ჰქვიან". „სოლომონ პირველის მემატიანის ცნობით, ცხუმის ციხე და აყუ ერთი და იგივეა" (შ.ბურჯანაძე). მკვლევარი გ.ერაძე აყვას განმარტავს როგორც ქართულ ტოპონიმს.

აფხაზი ენათმეცნიერი გ.შაკირბაი წერს: „ქალაქის აფხაზური სახელწოდება აყუ, აყუა დაკავშირებულია კოლხეთის მეფე აკესთან, რომ მონეტაზე წარწერა—მეფის სახელი აკე წაკითხული უნდა იქნას აკუად და არა აკედ". ვფიქრობთ, რომ კოლხეთის მეფის სახელს აკეს არავითარი კავშირი არა აქვს სოხუმის ერთ—ერთ სახელწოდებასთან.—აყვა.

**ბესლეთი** — სოფელი, მდინარე. პ.ინგოროყვა ბასილთა ტომს უკავშირებს. პლინიუსის დროს მდინარე ბესლეთს ანთემის წყალი რქმევია. ანთემი მდინარის ნაპირზე მდებარე პუნქტი ყოფილა. ბესლეთი და ანთემი—ორივე ქართული სახელწოდებაა. ქართულში არის მსგავსი საგვარეულო სახელები: ბესელია, ბასილაია, ბასილია, ბასილაძე. ბესლეთი მოხსენებული აქვს ნ.დადიანს.

**ბესლეთის ხიდი**. მდინარე ბესლეთზე დღემდე შემორჩენილია XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი—ერთმალიანი თაღოვანი ქვის ხიდი. საერთო სიგრძე—35 მეტრი, მალის სიგრძე—13,3 მეტრი, სიმაღლე—8 მეტრი, სავალი ნაწილის სიგანე—4,7 მეტრი. თაღის საფასადო ყოველ ქვაზე ამოკვეთილი იყო ქართული ასომთავრული ასოები. ეს ასოები, ეს წარწერა ამჟამად ანტიქართულად განწყობილი სეპარატისტების მიერ განადგურებულია. ხიდზე ყოფილა ასეთი წარწერა: „ქრისტე მეუფეო ყოველმხრივ განადიდე ორივეს ცხოვრებაში..." წარწერის დასასრული წაშლილი იყო, წარწერა პალეოგრაფიულად მიეკუთვნება XI-XII საუკუნეებს. არის გადმოცემა, რომ წარწერაში ბაგრატ მესამე იყოო მოხსენიებული. ამ ხიდზე გადიოდა შუა საუკუნეებში გზა. მთების ძირით, სამეგრელოთი ქუთაისისკენ.

**აიკერა** — მოედანი ბესლეთის ძველ ხიდთან. ტოპონიმი ქართულია.

**ცხომი** — მდინარე, მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს. ვფიქრობთ, რომ მდინარე ცხომი ბესლეთია. ქალაქი ცხომი იმდროინდელი თავისი საზღვრებით ვერ აღწევდა კელასურამდე ან გუმისთამდე.

**ბაგრატის შთა**, ბაგრატის ციხესიმაგრე—სოხუმში ჩრდილო—

აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია ციხე—სიმაგრის ნანგრევები... მთასაც და ციხე—სიმაგრესაც სახელი ეწოდება მეფე ბაგრატ მესამის საპატივცემლოდ.

**პორტო მინგრელო** —ადგილი ზღვისპირას, მდინარე კელასურის შესართავთან მდინარის მარჯვენა მხარეზე. აღნიშნულია 1480, 1497 წლის იტალიურ და 1559 წლის პორტუგალიურ რუკებზე. ეს კიდევ ერთი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ იმ დროს სოხუმი სამეგრელო იყო.

**მინგრელია** — 1559 წელს პორტუგალიელი კარტოგრაფის დიეგო ომემის მიერ შედგენილ რუკაზე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიას ლათინურად დიდი ასოებით აწერია:„მინგრელია“.

**ოხვამე** — დაახლოებით რკინიგზის სადგურ კელასურთან ახლოს... XIX საუკუნის 30—იან წლებში დიუბუა დე მონპერე აღნიშნავს ოხვამეს, იქ არსებული ეკლესიის გამო. მეგრულად ოხვამე ნიშნავს ეკლესიას, სალოცავს.

**გუმა**; გუმისთა—მდინარე, სოფელი სოხუმის რაიონში. პ.ინგოროყვა გუმას თავისი გრამატიკული აღნაგობით ქართულ ენობრივ სამყაროს მიაკუთვნებს.

**ლეჩქოფი** (ლეჭქოფი)—სოხუმის დასავლეთი უბანია. სვანური ტოპონიმია, ჭაობიანს ნიშნავს.

**შუქურა**—უბანი ქალაქის დასავლეთ ნაწილში, ზღვისპირას, სადაც შუქურაა.

**საშათო**—სოხუმის მთა, ტოპონიმი ქართულია.

**ჯანის ხეობა**—მდინარე სოხუმის ხეობა (აყვა) ჯანი—ქართული ტოპონიმია.

**ნაქულბაქევი**—ადგილი კელასურის ხიდთან, გზის პირას, მდინარის მარჯვენა მხარეს. ქულბაქი—დუქანი, ბაზრობისათვის მოხერხებული ადგილი იყო.

**საშარაშიო**—უბანი, ბათუმის ქუჩა და მისი მიდამოები.

**გუშა**—საბაშვილი—ადგილი გუმისთის ხეობაში.

**ლეფსა** — სოფელი. სვანური ტოპონიმია მომდინარეობს სიტყვიდან მესია, ე.ი. ქრისტეს კუთვნილი ადგილი.

**ჩედიმი**—ქედი, გადმოცემით დევს ჰგავდა თეთრი კლდე, ამი-

ტომ უწოდეს მას ჩედემი—თეთრი დევი; შეიცვალა ჩედიმით. ქ.სოხუმსა და სოხუმის რაიონში იშვიათია აფხაზური ტოპონიმები.

## გულრიფშის რაიონი

**გულრიფში** — დაბა, რაიონული ცენტრი. **რიფშ** ბოლოკიდურიან ტოპონიმებს გვიან შუა საუკუნეებში გაგრის დასავლეთით მცხოვრები საძების ტომს უკავშირებენ (ზ.ანჩაბაძე). გაგრის ზონაში: გაგრიფში, ცანდრიფში, მიქელრიფში; გუდაუთის რაიონში: ზვანდრიფში, დურიფში, დიდრიფში. უფრო შორს, სოხუმის აღმოსავლეთით —გულრიფში. აქ საძების ყოფნა გამორიცხულია. ტოპონიმ გაგრიფშის საფუძველია გაგი, ცანდრიფშის—ცანთა, მიქელრიფშის —მიქელი, ე.ი. ქართული სიტყვები; ასევე ზვანდრიფშის —ქართული საგვარეულო სახელი—ზვანბა (ქართულ ბა—ზე დამთავრებული გვარი), დიდრიფში—დიდი, გულრიფში—გული. ამიტომ, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ტოპონიმი გულრიფში ქართულია. ფშ—უცხო არ არის ქართული ენისათვის: ფშავი, ფშაური, ფშაფი, ფშია და ა.შ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საძები ისტორიაში არც არიან მოხსენებულნი და უფრო ჯიქებს მიეკუთვნებიან, ვინემ აფხაზებს.

**დალი**—კოდორის ხეობა, „სახელწოდება დაკავშირებულია სვანების წარმართული პანთეონის ქალ—ღმერთის სახელთან“ (პ.ინგოროყვა).

**კოდორი**—მდინარე, უფრო ადრე ჰენიწყალი ეწოდებოდა. პ.ინგოროყვა ჰენის კოლხურ ტომს ჰენიოხებს უკავშირებს. კოდორი მოხსენიებულია ბერძნულ და ქართულ წყაროებში. აპოკრისი წერდა: ჰენი,ჰუნე, ნიშნავდა ცხენს, ამიტომ ანტიკური ხანის ბერძენი ავტორები მდინარეს ჰენის, ე.ი. ცხენის წყალს უწოდებდნენ. კოდორს უკავშირებენ კოლხურ ტომ კორაქსებს (პტოლემაიოსი).

გ.გასვიანი სწერს, რომ კოდი სვანურად ღრმას ნიშნავს. ამით

ხსნის იგი სახელწოდება კოდორის წარმოშობას. მდინარის ხეობაში კოდორი ერქვა სოფელს 1955 წლამდე, ამჟამად მას ვლადიმიროვკას უწოდებენ. სახელწოდება კოდორს უკავშირებენ მის ხეობაში მდებარე სოფელ კოდას (პ.ინგოროყვა). ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „მოიგო სახელი კოდისაგან, რომელიც არს დრანდას ზეით ამ წყალზედ მთაში“. „სახელწოდება კოდორი ქართულია, როგორც ფუძე სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით“ (პ.ინგოროყვა). კოდორი—სოფელია აბაშის რაიონში, კოდორი ადგილის სახელია გურიაში: ღრმაღელეში, შრომის უბანსა და ჯიხანჯირში. აფხაზები კოდორს კუდრის უწოდებენ, რადგან ხმოვანი ო არ არის აფხაზურში.

**მაჭარა**—სოფელი, მდინარე ქ.სოხუმის აღმოსავლეთით. ტოპონიმი ქართულია, ფუძე სიტყვაა მაჭარი (იმერეთში—სოფელ შრომშაში არის მდინარე მაჭარისწყალი). „და მოგუისწრო ღამემან და დავსდექით მას ღამესა მდინარის მაჭარის პირსა ზედა“, — წერს ნ.დადიანი (ქართველთ ცხოვრება“, გვ.21).

**კლუხონი**—უღელტეხილი. პ.ინგოროყვას მიხედვით: „კოლხთა სახელთან არის დაკავშირებული თვით სახელწოდება უღელტეხილისა კოლხორი, საიდანაც მომდინარეობს კლუხონი. კლუხორი არის ამ ტერმინის გვიანდელი ფორმა“.

**ასტელეფი**—მდინარე პატარა კოდორი (ფლ. არიანე). ფ.ბრუნი ასტელეფს მდინარე სკურჩას უწოდებს.

**წყაბა** (წყუბუნი)—დრანდასთან მდებარე პუნქტი. წყაბა, წყუბუნი დაკავშირებულია ცნებასთან ტყუპი. ხშირად წყუბუნს დრანდის მეორე სახელწოდებად თვლიან, მოხსენებული აქვს ფრ. დიუბუა დე მონ პერეს.

**წებელდა**—სოფელი. სახელწოდება წიფელთან არის დაკავშირებული (პ.ინგოროყვა). აფხაზები უწოდებენ ცაბალს. წებელდაში მოპოვებულ არქეოლოგიურ ძეგლებს აფხაზი არქეოლოგი მ.ტრაფში კოლხურად თვლის. წებელდის მიდამოებში—ქვაჩარაში ნაპოვნია პალეოლითის იარაღები (ნ.ბერძენიშვილი). პ.ინგოროყვა: „ამ პუნქტის სახელის ორი ძირითადი ფორმა არსებულა — წიბელი და წებელთა (ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს წებელდა). ეს სახელწოდება წიბელი, წიბელთა დაკავშირებულ-

ია ხის სახელთან წიფელი, ისე როგორც ბიჭვინთა ფიჭვთან“.

წებელდის ეკლესიაში აღმოჩენილია ქვაზე წარწერა:

„ამის ჯვარისა
მაშენებე—
ლსა ლუკასა მარტინიკს
შეუნდოს ღმერთმან, ამინ“.

**დრანდა, დანდარი**—დაბა. დრანდა აღნიშნულია ლამბერტის რუკაზე. „სახელწოდება დანდარი თავისი გრამატიკული გაფორმებით განეკუთვნება ქართული გეოგრაფიული სახელების ჯგუფს“ (პ.ინგოროყვა). დრანდა, დანდარი—მანამდე იყო ცნობილი, სანამ აქ აფხაზები მოვიდოდნენ. ლამბერტის დროს დრანდა სამეგრელოში შედიოდა. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „არს ეკლესია დრანდას. გუმბათიანი, შვენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიას შორისას ადგილთა. არამედ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამას შენა ეპისკოპოსნი დრანდას და მოქვს“. დრანდის ეკლესია აღნიშნულია დასავლეთ საქართველოს რუკაზე 1737 წელს.

**ჩხალთა** — სოფელი, ისტორიკოს აგათია სკოლასტიკოსს მოხსენებული აქვს მისიმიანეთის მთავარი ციხე—სიმაგრე ჩხარი, რომელსაც მეტსახელად „რკინის ციხე“ რქმევია. ეს ისტორიული ციხე—სიმაგრე მისი მიანეთის მხარისა არის პუნქტი, რომელსაც ამჟამად ეწოდება ჩხალთა. უდაოა ისიც, რომ ეს სახელწოდება ქართულენობრივ სამყაროს ეკუთვნის (ჩხარი, ჩხერი, საჩხერე და სხვა. — პ.ინგოროყვა); მდინარის პირას ბორცვზე დღემდე მოაღწია ჩხალთის ციხე—სიმაგრის ნანგრევებმა.

**დარენი**—უღელტეხილი მდინარე კოდორის სათავეებთან; მოხსენებულია ბიზანტიურ წყაროებში. დარენი სვანური სიტყვაა და ნიშნავს საგუშაგოს.

**ტყუბუნი**—თხუბენი—სოფელი მდ.კელასურის მარცხენა მხარეზე, ზღვის პირას. სახელწოდება დაკავშირებულია დიოსკურიის დამაარსებელი ტყუპი ძმების პოლუქსისა და კასტორის სახელთან. „და მოვედით თხუბუნს, ე.ი. ცხომს“ (ნ.დადიანი).

**„კედელი“**—ასეა აღნიშნული ლამბერტის რუკაზე სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის მიერ მე—17 საუკუნის 30—იან წლ-

ებში აღმართულ კედელზე „აფხაზთა გამოუსელელობისათვის“ (ვახუშტი). კედლის ნაშთები დღემდე შემორჩენილია.

**პოლტავსკოე** — სოფელი. ცნობილია ხატზე ქართული წარწერა, სადაც მოხსენებულია აბულასანი.

**ბაბუშარა** — სოფელი, მეგრულად ბაბუას გზა;

**ოჯიბინე** — მეგრული ტოპონიმია;

**შუაძთა** — სოფელი ამტყელის სოფსაბჭოში;

**ჭანღარი** — სოფელი წებელდის რაიონში;

**ჯელი** — სოფელი, წებელდის სოფსაბჭოში;

**ძარანი** — სოფელი წებელდის სოფსაბჭოში;

**ზეგანი** — სოფელი წებელდის სოფსაბჭოში;

**ზემო წყარო** — სოფელი წებელდის სოფსაბჭოში;

**ქვემო წყარო** —სოფელი წებელდის სოფსაბჭოში;

**წიფლოვანი** — სოფელი წებელდის სოფსაბჭოში;

**განახლება** — სოფელი;

**ჭალა** — სოფელი, განახლების სოფსაბჭოში;

**ხუმუშქური** — სოფელი განახლების სოფსაბჭოში;

**ბუძუგური** — სოფელი აჟარის სოფსაბჭოში;

**ოქარიშარა** — სოფელი აჟარის სოფსაბჭოში;

გულრიფშის რაიონში ბევრია სვანური ტოპონიმები მისიმიანების დროიდან, ასევე XIX-XX საუკუნეებისა.

თ.მიბჩუანის მიხედვით:

**გერგემიში** — სოფელი აზანთის სოფსაბჭოში; წმ.გიორგის კულტთანაა დაკავშირებული.

**ფუსტა** — ადგილი აზანთაში, სვანურად ღვთაებას ნიშნავს.

**ხვარა** — უღელტეხილი, ამ გადასასვლელით ჩავიდნენ ქართველი ლტოლვილები ჭუბერში 1993 წლის სექტემბერში.

**ჩანჩარე ნაშღუღ** — ადგილი—ჩანჩერის სამარხი.

**მერხეული** — სოფელი. ნიშნავს ჭინჭრიანს.

**კირნათი** — სოფელი წებელდის სოფსაბჭოში. ტოპონიმი ქართულია, ბოლოკიდური „ათი“.

**ოქროწყარი (ოქრო წყალი)**—ტბა ფანავის ქედის ჩრდილოეთ ფრთაზე.

**ფშაფი** — სოფელი, წარმოქმნილია—ფშიადან, ქართული ტო-

პონიმია.

**ყორასი** — სოფელი ბაბუშარაში. ყორე—ბოლოკიდური ასი—ქართული ტოპონიმია.

**ღურზული** — სოფელი მერხეულის სოფსაბჭოში, ქართული ტოპონიმია. ბოლოკიდური „ული“.

**კირკიპალი** — მთა, ქართული ტოპონიმია, ბოლოკიდური „ალი“.

**შოუდიდი** — ქედი, ქართული ტოპონიმია.

**ბალშარანი** — სოფელი. ქართული ტოპონიმია.

**აზანთა** — სოფელი. სახელწოდებას უკავშირებენ ქართულ გვარს — ზანთარაიას.

**სვანთა სავანე** —მღვიმეპალეოლითის ადამიანის ნადგომი.

**აბტყელი** — სოფელი, მდინარე, ტბა, ბოლოკიდური „ელი“—ქართული ტოპონიმია.

**ჯამპალი** —მდინარე, ბოლოკიდური „ალი“—ქართული ტოპონიმია.

**კელასური** — მდინარე, სოფელი, დაკავშირებულია ქართულ ტომ კორაქსებთან. ტოპონიმი ქართულია. „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ვარიანტში ტოპონიმი კელასური სხვადასხვა ფორმით გვხვდება:

კელასური, კლისური (მარიამის და მაჩაბლის ვარიანტი), ეკლისორი (ბროსეს „ქართლის ცხოვრება“), კლისორი—(ჭილაშვილის ვარიანტი).

## ოჩამჩირის რაიონი

მე—17 საუკუნის დასასრულამდე მდ.კოდორსა და ღალიძგას შორის ტერიტორია სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო—დასავლეთი ნაწილი იყო და მას ქართულად შუა სოფელს, შუა ქვეყანას უწოდებდნენ. აქ მოსახლეობა ქართული იყო და, ცხადია, გეოგრაფიული სახელწოდებანიც—ქართული. მაგრამ მე—17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როდესაც აქ აფხაზები დასა-

ხლდნენ, შუა სოფელი აბუუათი შეიცვალა, რაც დაახლოებით ნიშნავს—შუა სოფელს. თუ ღალიძგასა და ენგურს შორის მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართველობა—სამურზაყანო ქართულ მხარედ დარჩა, კოდორსა და ღალიძგას შორის გაბატონდნენ აფსუები. მათ ქართველების ნაწილი მონებად წაიყვანეს, მიჰყიდეს თურქებს, ნაწილი გაიქცა ინგურს გაღმა, ნაწილი გააფხაზდა.

მიუხედვად იმისა, რომ ოჩამჩირე აფხაზურ რაიონად ითვლება, აფხაზეთის ომის წინ რაიონის მოსახლეობის 38 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ, აფხაზები კი—36 პროცენტს.

**ოჩამჩირე**—ქალაქი, რაიონული ცენტრი. ჩვენი აზრით, ოჩამჩირე ქართული (მეგრული) ტოპონიმია. ოჩე—მეგრულად საყანე ადგილი, ჩირე—პატარა გუბე. ოჩამჩირე ქართული ტოპონიმი რომ არის, ამიტომაც გამოუცვალეს სახელი და ოჩამჩირა უწოდეს. მაგრამ ოჩამჩირას მარტო აფხაზები ეძახიან, დანარჩენთათვის ქალაქი ოჩამჩირეა. ოჩამჩირე მე—19 საუკუნემდე არცერთ წყაროებში მოხსენიებული არ არის. ქალაქში არც რაიმე ისტორიული ძეგლია ცნობილი.

ფრ.დიუბუა დე მონპერეს ცნობით, მდ. მოქესა და მდ.ღალიძგას შორის ზღვის პირას თურქებმა თანამედროვე ოჩამჩირის ადგილზე გააშენეს ქალაქი **იენი—შერი** (ახალი ქალაქი).

**ილორი**—სოფელი. სახელწოდება ქართულია. სამტრედიის რაიონშიც არის სოფელი ილორი. აფხაზები სოფელს ელირს უწოდებენ, რადგან აფხაზურში „ო“ ასო არ არის. სოფელ ილორის წმინდა გიორგის ეკლესია მე—11 საუკუნის პირველი მეოთხედის ძეგლია. ნაგებია მოყვითალო წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვით. „პროპორციათა მოხდენილობით და შესრულების ტექნიკის დონით იგი ექცევა იმ წრეში, რომელშიც ჩანს შუა საუკუნეთა საქართველოს წამყვანი რაიონების მხატვრული მიმართულებანი“ (ქ.ს.ე., ტ. IV, გვ.108). აღმოსავლეთ ფასადზე შემონახულია ძველი ქართული წარწერებიანი ქვები, ასევე მე—11 საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებული ტექსტი: „წმინდაი გიორგი მფარ(ვე)ლ მექმენ დიდსა დღესა“. ილორში ერთ—ერთ ხატზე

ასეთი ქართული წარწერაა: „ქ.წმინდაო გიორგი ილორისთავო, ადიდენ და ასუფევენ ორთავე შინა სუფევათა ძლიერი და უძლეველი ღვ(თ)ვ გვირგვინოსანი მეფე ძე რუსუდან(ი), რომლისა ბრძანებითა მოიჭედა ხატი ესე ილორისმთავარიმოწამისა“.

საუკუნეების მანძილზე ილორის ეკლესიას ემსახურებოდნენ მერჭულეს გვარისანნი. ადგილობრივი გადმოცემით, გვარი მერჭულე რჯულიდან წარმოიშვა. ილორში არის ტოპონიმი „მერჭულეფიში ნაწისქვილი“. ღვთისმსახურნიც არ დაინდეს აფხაზმა სეპარატისტებმა, ილორელი მერჭულები დღეს ლტოლვილები არიან. თბილისიდან აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძისადმი გამოგზავნილ წერილობით ბრძანებაში (1834 წლის 17 ივნისი), აღნიშნულია, რომ რადგან სოფელი ილორი მდინარე ღალიძგის მარცხენა მხარეზეა, საზღვარი კი აფხაზეთისა მდინარე ღალიძგაა, ილორი არ ეკუთვნის აფხაზეთს, იგი სამეგრელოში შედის.

**ხოირი** — სოფელი, ხშირადაა მოხსენიებული ქართულ წყაროებში. ხოირი დღევანდელი ოხურეია. წინათ იგი სამურზაყანოს ეკუთვნოდა. ამ სოფელში მოსახლეობა წარსულშიც და ამჟამადაც ქართულია. XVII საუკუნის საბუთებში მოხსენიებულია ქართული გვარები.

**ღალიძგა** — მდინარე ტოპონიმი მეგრულია და ნიშნავს სანაპირო ღელეს (მდინარეს). ვახუშტი ბაგრატიონი ღალიძგას ეგრისს უწოდებდა. ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია მდინარე ღალიცკა. მე—18 საუკუნის დასაწყისიდან ღალიძგა იყო საზღვარი აფხაზეთსა და სამურზაყანოს შორის. აფხაზი სეპარატისტები ცდილობენ ქართული ტოპონიმი შეცვალონ „ალზგად“, „გალისგად“, მაგრამ მდინარეს დღემდე ღალიძგა ეწოდება.

**ღალიძგა** — სოფელი მდინარე ღალიძგის პირას. მოხსენიებულია ს.კაკაბაძის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში, (ნაწ.I 1921 წ.), ლამბერტის რუკაზე; თ.ჟორდანიას „ქრონიკების“ III ტომში ნახსენებია ღალიძგის სასახლე. შეწირულობის სიგელი ლევან დადიანისა (1628წ., მიცემული ბიჭვინთის

ტაძრისადმი ასეთ ტექსტს შეიცავს: „შემოგვიწირავს ღალიძგის ძველი ჩვენი სასახლე, მისის კარის ეკლესიითა“.

აფხაზებმა სოფელ ღალიძგას სახელი გამოუცვალეს და ბესლახუბა უწოდეს.

**კვიტაული**—კვიტაური—სოფელი, ტოპონიმის ბოლოკიდური „**ული**“—„**ური**“—ქართულია. აფხაზები უწოდებენ კუტოლს, იგი აღნიშნულია ლამბერტის რუკაზე. XVII საუკუნეში აქ სასახლე სამეგრელოს მთავარს ჰქონია კვიტაურის სახელწოდებით.

აღაპის წიგნში ლევან დადიანისა, რომელშიც შედგენილია 1640 წელს, ნათქვამია: „და გავიჩინეთ ორი ესე აღაპი, კვიტაულის სასახლეშია. და დავაყენეთ საკვიტაურო კაცი მოაღაპეთ: ტოტოჩი დავითია, მეორე მოსახლე სულაიმან დავითია, მესამე მოსახლე მარკო დავითია; მეოთხე მოსახლე მაჭიხოლი დო თომიხოლი დავითია და მათი სახლის კაცი, მეხუთეს—გაიზარდი აფიას მართებს ერთი ცხვარი სატაბელედ და ორი გუდა ღვინო, მეექვსე მოსახლეს ანჩიბუხ ჩხანგელიას მართებს ბეგარის მაგიერ ხუთი ლაღარიკონის სანთელი, ერთი საპერანგე ტილო... კვიტაურს სასახლეში მოიტანდნენ და კურთხეულის დედოფლის ბატონის ნესტან—დარეჯანის სულის სახსრად და საოხად აღაპსა გადაიხდიდნენ“.

**გიენოსი** — ანტიკური დროის ზღვისპირა ქალაქი თანამედროვე ოჩამჩირის დასავლეთით. გარდა ბერძნული წერილობითი ცნობისა, არ არის დარჩენილი ქალაქის არავითარი ნაშთი, ალბათ ზღვამ შთანთქა. „ს“ ბოლოკიდურიანი ტოპონიმი მიგვანიშნებს, რომ იგი ქართულია.

**მარცხული** — სოფელი მდებარეობდა მდინარეების მოქვსა და ღალიძგას შორის. პ.ინგოროყვას მიხედვით, მარცხული ნიშნავს „მარცხნით“, მდინარე მოქვის მარცხნივ მდებარეობის გამო. ქრ. კასტელი წერს: „სამეგრელოს სოფელ მარცხულში, სადაც ხშირად ეძახიან ჩვენებს სამკურნალოდ, იქ ჰგადაგებენ, ნათლავენ მათ, ვისთვისაც ეს საჭირო იყო. სახელწოდება მარცხული ამჟამად არ არსებობს. სოფელს ალბათ სხვა სახელი ეწოდება.

**ჭალა**—ასე ეწოდებოდა შუა საუკუნეებში დღევანდელ სოფელ

ჭლოუს. დღესაც შემორჩენილია ამ სოფელში ადგილის სახელწოდება ჭალოუ. ქართული ტოპონიმი ჭალა მოხსენიებულია „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში“ და სხვა დოკუმენტებში (პ.ინგოროყვა). ჭალა ეკუთვნოდა თავად ჯაიანებს, ამ სოფელში დღემდე შემორჩენილია უბნის სახელწოდება „ნაჯაიანუ“.

აქ 1955 წელს, ეკლესიის ნანგრევებში იპოვეს ქვის ფილა შუა საუკუნის, ქართული წარწერით, სადაც დადიანია მოხსენიებული: „ერისთავთ—ერისთავი მანდატურთ უხუცესი დდნობს. შეუნდვეს ღმერთმან“. აფხაზი ენათმეცნიერი კ.შაკრილი ცდილობს დაატკიცოს, რომ ჭლოუ მომდინარეობს აფსუური ჭლიაუედან, რაც არ არის სწორი.

სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას შემოსწირა სოფელი ჭალა, კაკა ჯაიანის და მისი შვილის ხუტისეული ორი მონასტერი, მათი მამულითა და ყოვლის ქონებით (დასახელებულია ქართული გვარები).

**მერკულა** — სოფელი. ცნობილია მერგულის სახელწოდებითაც. მე—17 საუკუნეში აქ ჰქონია სასახლე სამეგრელოს მთავარს. პ.ინგოროყვას მიხედვით, ბოლოკიდური „ულა“ ქართული ფორმანტია. ქართულ წყაროებში მერკულა პირველად მოხსენიებულია XIV საუკუნეში.

**ქიაჩი** — სოფელი ჯგერდეს ჩრდილოეთით, მთა—გორიან ადგილას, დღემდე შემორჩენილია XI საუკუნის ქიაჩის ეკლესიის ნანგრევი. მოპირკეთებულია ტრავერტინით (კირქვის ტუფით), გადახურული არ არის. აფხაზები ქიაჩ—აბაას უწოდებდნენ; აბაა —აფხაზურად კოშკს ნიშნავს ქიაჩის ხატი აფსუების შემოსევის გამო XVII საუკუნის დასასრულს გადატანილ იქნა სოფელ ობუჯში (წალენჯიხის რაიონი), ეკლესიაში, რომელსაც დღესაც უწოდებენ ქიაჩის ეკლესიას. აქედან მიიღო მწერალმა ლეო შენგელაიამ ფსევდონიმი ქიაჩელი.

**თილითი**—ანუ თლითი—სოფელი მოხსენიებულია ბიჭვინთის სიგელში, დიდ დავთარში აღნიშნულია ლამბერტის რუკაზე, მდებარეობდა მდინარე მოქვის ზემო წელში, სახელწოდება ქა-

ართულია (ლიახვის ხეობაში არის ტოპონიმი თლია). მე—17 საუკუნეში თილითში იყო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის სასახლე. ამჟამად შემორჩენილია სასახლის ნანგრევები თლუთ—აბაას სახელწოდებით. მე—17 საუკუნის 80—იან წლებიდან აქ ქართული მოსახლეობა შეიცვალა აფხაზურით და სოფელს ეწოდა აბააჟვ. ამჟამად შედის თხინის სოფსაბჭოში. დოკუმენტებში მოხსენიებულია თილითის სასახლე.

**თხილარი** — ლამბერტის მიხედვით სოფელი მე—17 საუკუნეში. თხილარი არის თანამედროვე სოფელი თხინა. თხილარი ქართული ტოპონიმია.

**ზაგანი** — სოფელი გუფის სოფსაბჭოში, მოხსენიებულია XVII საუკუნის დოკუმენტებში. აფხაზებმა ზეგანი ზაგანით შეცვალეს.

**მარმარი—კარი** — სოფელი აძიუბჟის სოფსაბჭოში. შემორჩენილია შუა საუკუნის ეკლესია, რომელიც მარმარილოთი ყოფილა მოპირკეთებული. ამჟამად მარმარილო არაა შემორჩენილი. აფხაზები ამ ეკლესიასაც კოშკს უწოდებენ—მარმალ—აბა. მე—17 საუკუნეში აქ მოხსენიებულია გვარები: ჩხენჯერია, ეგვიპტია.

**შქაწყარი** — სოფელი კოდორის მარცხენა ნაპირას. მე—19 საუკუნის პირველ ნახევარშიც სოფელს ეწოდებოდა შქაწყარი. ამჟამად კი—აძიუბჟა, რაც ასევე შქაწყარს ნიშნავს. ქართული მოსახლეობა მეტწილად შეიცვალა აფხაზურით.

**ტამიში** — სოფელი. მოხსენიებული აქვს ნ.დადიანს, თ.მიბჩუანი ტამიშს თვლის სვანურ ტოპონიმად, პ.ინგოროყვა—მეგრულად. ტამიშს სათამაშოსაც უკავშირებენ.

**რეკა** — სოფელი. ქართული ტოპონიმია. ამ სახელწოდების სოფელი არის სამეგრელოში. აქ ბევრი ქართული ტოპონიმია. მაგალითად, **გალავანი** — სოფლის უბანი რეკაში, ეწოდა კოშკის ნანგრევებთან გალავნის გამო.

**ხაუჟელი**, სახაუჟელო—სოფელი, მდებარეობდა თილითსა და ღალიძგას შორის. მოხსენიებულია „ხაუჟელის სასახლე". სახელწოდება ბოლოკიდური „ელით" და თავკიდური „სა"—თი ქართულია. უცნობია ხაუჟელის თანამედროვე სახელწოდება.

**ოლაგუანე** — უბანი კინდღში, მეგრული ტოპონიმია, ქართულად — საქვევრე.

**ლამკაცი** — ქედი. ადრე ეწოდებოდა ლომკაცი.

**მოქვი** — სოფელი, მდინარე. თ.მიბჩუანის მიხედვით მოქვი სვანური ტოპონიმია და ნიშნავს მიწის ზვინულს. აფხაზები მოქვს მიქუს ეძახიან, რადგან „ო“ ხმოვანი და „ვ“ თანხმოვანი არ არის აფხაზურში. პ.ინგოროყვა მოქვს ქართულ ტოპონიმად თვლის. გრამატიკული გაფორმებით, ბოლოკიდური ფორმატით შეადარეთ მოქვი და ამავე ტიპის სხვა ქართული გეოგრაფიული სახელები თმოგვი, ძეგვი, არაგვი, ჩაქვი, ბახვი და სხვ... შავშეთში არის ადგილი მოქვთა... სოფელსაც და მდინარესაც მოქვი ეწოდებოდა მანამდე, სანამ აქ აფსუები დამკვიდრდებოდნენ. „მოქვი“ ცნობილია 957 წელს აგებული საკათედრო ტაძრით.

**გუფი** —სოფელი. ადრე ეწოდებოდა ქართული სახელი **გუბი. გები**—ფორმა დამოწმებულია დიუბუა დე მონპერეს და კ.კუდრიავცევის მიერ.

**წყურგილი**—მეგრული ტოპონიმია, ნიშნავს ციცეწყაროს, სოფელი წყურგილი, აღნიშნული აქვს ლამბერტს, მდებარეობს აძიუბჟაში.

**სკურჩა—ისკურია, მარმარი—კარი, წყურგილი** — სამი ქართული სოფელი მდებარეობდა კოდორის მარცხენა ნაპირთან, ზღვასთან ახლოს. აფხაზებმა სამივე სოფელს აძიუბჟა უწოდეს.

**ნაჯგიბოუ** — ჯგიბიასეული პუნქტი მდებარეობდა თილითის მახლობლად. მოხსენიებულია „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში“. ამჟამად უცნობია.

**ნაა** — სოფელი კოდორის მარცხენა ნაპირზე. პ.ინგოროყვას მიხედვით ქართული ტოპონიმია.

**დეპეგინძე** — სოფელი ათარის სოფსაბჭოში, დეპე ვერ განვმარტეთ, გინძე—მეგრულად გრძელს ნიშნავს.

**ოტორონჯია** — სოფელი ათარის სოფსაბჭოში. ტორონჯი მეგრულად მტრედია, ოტორონჯე—სამტრედე.

**ფსკალი** — სოფელი, ათარის სოფსაბჭოში. ფსკა—მეგრულად ფუტკარია, აღნიშნულია ლამბერტის რუკაზე.

**ფანავი** —ქედი. ქართული ტოპონიმია, შეადარეთ მანავი, ზანავი.

**ჯიხა—ხორა** — მოხსენიებულია წყაროებში. ამჟამად სოფელი **კინდღი**. კანდახი არის სოფელი საინგილოში.

**დღვანა**—სოფელი ტამიშის სოფსაბჭოში ზღვასთან. ტოპონიმი დღვანა გვხვდება კურზუში (მარტვილის რაიონი), აჭარაში. ბოლოკიდური „ნა“ გეოგრაფიული სახელების ჩვეულებრივი ფორმანტია ქართულში.

**ცხუზაშელი**—სოფელი აძიუბჟას სოფსაბჭოში. ბოლოკიდურია „ელი“, ე.ი. ქართული ტოპონიმია.

**ლეფონა**—სოფელი კინდღის სოფსაბჭოში—ლეფონი—ლეფანი მეგრულად.

**ქეთევანი** — სოფელი, ღელე კოჩარაში.

**მარშარი**—**წყარი**, სკურჩა და ცხურამელი ერთი და იგივე მდინარეა, ამჟამად მდინარეს მეტწილად ცხუზამელს უწოდებენ.

ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე გვხვდება ქართული სახელწოდებები **ცხენის წყალი, თაგურა, საჩინო, სანარდო, კოპიტი, ქვალონი, ნოჯიხევი, ოგუგულე, ზენი, ილორ—განი, ჯალი, ურთა, ფოქვეში** (მეგრულად ღვიმე) და სხვა.

## ტყვარჩელი

მოკლედ ტყვარჩელის გეოგრაფიულ სახელწოდებებზე:

**ტკვარჩელი**—ქალაქი 1942 წლიდან. მეგრული ტოპონიმია: ტკვა—კიბე, რჩელი—დაგებული. ტყვარჩელის სამხრეთ მინერალურ წყაროზე ჩასასვლელად კიბე ყოფილა დაფენილი (ალ. ცაგარელი, კ.ბერულავა).

**ხოჯალი** — „მწვერვალი ტკვარჩელის ჩრდილოეთით. ბოლოკიდური „ალი“—ქართულია.

**ლაშკინდარი** — მთა კვეზანსა და აკარმარას შორის—ლაშკედ—სვანურად სამჭედლო. **ხუხუნი**—უბანი ტყვარჩელში, ხუხუნი ქართული გვარია. **ხარჩილაკა**—უბანი ტყვარჩელში—ხარჩილავა

ქართული გვარია.

ღეჯირი—ღალიძგის შენაკადი ტყვარჩელთან, ღეჯი—მეგრულად ღორია.

## გალის რაიონი

გალის რაიონის ტოპონიმიკის შესასწავლად ჩვენ გამოვიყენეთ ვახუშტი ბაგრატიონის, არქ.ლამბერტის, ქრ.კასტელის, ჟან შარდენის, დიუბუა დე მონპერეს და სხვათა შრომები, სადაც მოხსენებულია ენგურსა და ღალიძგას შორის შუა საუკუნეების გეოგრაფიული სახელწოდებანი. ამ სახელწოდებებით დასტურდება, რომ გალის რაიონი თავიდანვე ქართული იყო და არა აფხაზური, როგორც ამის დამტკიცება სურთ აფხაზ სეპარატისტებს.

გალის რაიონის სოფლების სახელწოდებანი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გადარქმეულ სახელწოდებებს: მზიური (ცხირო გალი) და განახლება (ოკვინორე), ყველა ისტორიულია. დასანანია, რომ ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დროიდან ეწოდება აქაურ სოფლებს მათი სახელწოდებანი, მაგრამ მათი სიძველე საეჭვო არ არის.

**სამურზაყანო**—ეწოდება მდ.ღალიძგასა და ენგურს შორის ტერიტორიას მისი მფლობელის მურზაყან შარვაშიძის პატივსაცემად, რომელსაც როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „აღუყვავილებია“ ეს მხარე. პირველი მფლობელი იყო მურზაყანის მამა ყვაპუ, რომელიც ამ მხარეს დაეუფლა მე—17 საუკუნის დასასრულს. ვფიქრობთ, რომ ამ მხარეს სამურზაყანო ეწოდა მე—18 საუკუნის დასაწყისში. სამფლობელოს ჩამოყალიბებიდან 1840 წლამდე სამურზაყანოს ცენტრი იყო სოფელი გური ბედია, 1840 წლიდან 1906 წლამდე—სოფელი ოქუმი. 1906 წლიდან—მეორე გალი, დღევანდელი ქალაქი გალი. 1917 წლამდე რაიონს სამურზაყანოს უბანი (უჩასტოკ) ეწოდებოდა, 1917 წლიდან 1925

წლამდე—სამურზაყანოს მაზრა, 1925 წელს სამურზაყანოს მაზრა შეიცვალა გალის მაზრით, 1929 წელს კი—გალის რაიონით.

ქალაქი **გალი.** არქ.ლამბერტის რუკაზე (1654) მას გოგიელი ეწოდებოდა და შედიოდა სამეგრელოს სამთავროში. სანამ სამურზაყანოს ცენტრი გახდებოდა, სოფელს ეწოდებოდა მეორე გალი. 1931 წელს იგი რკინიგზით დაუკავშირდა თბილისს. 1932 წლიდან ქალაქია. ქალაქის ტერიტორიაზე ნაპოვნია პალეოლითის, ნეოლითის, ენეოლითის, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, შუა საუკუნეების კერამიკული მილები. შემორჩენილია კოშკის ნანგრევები.

**აჩიგვარა.** მე—18 საუკუნემდე სოფელს ეწოდებოდა **სუბეიში** (სუბეი). წყაროებში მოხსენებულია „სუბეიშის სასახლე", მე—17 საუკუნეში მცხოვრებთა მეგრული გვარები. აღნიშნულია ლამბერტის რუკაზე, მოხსენებულია აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში". საინტერესო ტოპონიმია „მაფაში წყურგილი" (დედოფლის წყარო). უკანასკნელ წლებში აფხაზებმა აჩიგვარა „აჩგუარად" შეცვალეს, რადგან „ვ" თანხმოვანი არ არის აფხაზურში.

**ბარღები.** ამ სახელწოდების ორი სოფელია: ზემო და ქვემო ბარღები. „ბარგებს" აღნიშნულია ლამბერტის 1654 წლის რუკაზე. ადგილობრივი მკიდრის ა.ზუხბაიას განმარტებით, ბარგები მეგრული ტოპონიმია და ნიშნავს ადგილზე დაბინავებას. ლამბერტის რუკაზე „ბარგებს" ზღვასთან ძლიერ ახლოსაა.

**ბედია** — ამ სახელწოდების ორი სოფელია—პირველი ბედია და მეორე ბედია. ცენტრალურ ნაწილში ტაძარია—გური (გული) ბედია. აფხაზებმა მეგრული გური აფხაზურ აგუდ შეცვალეს და სოფელს ამჟამად ეწოდება აგუ—ბედია. ტოპონიმი ქართულია. გადმოცემით, ბაგრატ მესამეს განუცხადებია: „აქ ჩემი ბედია".

ბაგრატ მესამემ მე—11 საუკუნის დასაწყისში „მოცვალა" გუდაყვის კათედრალი, იგი გადაიტანა ბედიის ახლად აგებულ ტაძარში; „აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ. შეამკო ყოვლითა სამკაულითა, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი" (თ.ჟორდანია, „ქრონიკები" ტ. I, გვ.137). „აქაც ბედ-

იასა აღაშენა მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდმშვენიერი, გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად, ამისათვის წერილ არს. ვისაც გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა განიხილე ბედიის ეკლესია და მით სცნობ" (ვახუშტი ბაგრატიონი). ბედიის სამონასტრო კომპლექსის ცენტრში ტაძარია. ფასადები ადგილობრივი კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებითაა მოპირკეთებული. ტაძრის ახლანდელი ნაგებობა მე—13—14 საუკუნეებს განეკუთვნება. კედლებზე არის ძველი ქართული წარწერები, მოხატულობანი, ბაგრატ მესამის სურათი ეკლესიის მოდელით ხელში. ერთერთ წარწერაში ნახსენებია დედოფალი მარიამი და მისი შვილი ერისთავთ—ერისთავი, მანდატურთუხუცესი დადიანი გიორგი. ტაძრის დასაკეც ხატზე არის ქართული წარწერა (მე—16 ს), იქვე გვერდით არის სასახლე და მე—14 საუკუნის სამრეკლო. ტაძართან ახლოს ადგილს „ნაქალაქარი" ეწოდება. შესაძლებელია, აქ იყო ძველი ეგრისი. შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშებიდან უმნიშვნელოვანესია ოქრომჭედლობის ძეგლი—ბედიის ოქროს ბარძიმი ანუ ჭედური თასი. 1997 წელს ბედიის ოქროს ბარძიმი წარმოდგენილი იყო ბიზანტიისადმი მიძღვნილ მსოფლიო გამოფენაზე ნიუ—იორკში.

**განახლება** (სოფ.ოკვინორე—საკვერნე), აქ სოფლებია: დიხაგუძბა. დიხაგუძბას—მეგრულად უწოდებენ ბრინჯაოს ხანის ყორღანს. სოფელი **გაგიდა** მოხსენებული აქვს ლამბერტს, რომ „გაგიდაში ნიადაგი ისე რბილია, რომ მოუხნავად თესავენ". 1812 წლის 8 იანვარს გიორგი შარვაშიძის მარკიზ პაულიჩისადმი გაგზავნილ წერილში (დაწერილია ქართულად) აღნიშნულია: „ჩემს მიერ მითითებული ადგილი და ნავსადგური არის გაგიდა. გაგიდის მხარეში იწყება ჩემი სამფლობელო". ჩვენი საუკუნის დასაწყისში უცხოელ ფეტერს გაგიდაში ჰქონდა სახერხი ქარხანა.

**გუდავა**—ზღვისპირა სოფელი. ქართული ტოპონიმია: გუდავა—გუდაყვა. გუდასი მოხსენებული აქვს ლამბერტს, დიუბუა დე მონპერეს, ნ.დადიანს. ლამბერტს დასახელებული აქვს გიობაწყარი — თანამედროვე ჯოყობაწყარი; დიუბუა დე მონ პერეს—მდინარეები ცორიკა, გუდავა. თანამედროვე გუდავის ადგილას

ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში გვხვდებოდა ქალაქის ტიპის დასახლება: ზიგანეონი—ზიგანისი—ზიღანეოსი—ზიღანევი—ძიდანაყევი. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ—ერთი გუდავაში იყო. მე—11 საუკუნის ხელნაწერის სქოლიოში აღნიშნულია: „გუდაყუას იტყვიან ზიღანეოსად“. გუდავაში დღემდე შემორჩენილია შუა საუკუნეების ორი ციხის ნანგრევი, ქვის ხიდის ნაშთები და სხვა ნაგებობათა ნანგრევები.

**დიხაზურგა** — ქართული ტოპონიმია: დიხა—მეგრულად მიწა, ზურგა—ზურგი. დიხაზურგას ტერიტორიაზე არის სათანჯოს მთა, ცნობილი აფხაზეთში ყველაზე მაღალი კოშკით. იგი მე—12—14 საუკუნეების ძეგლია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სათანჯო შუა საუკუნეებში ცნობილი იყო სანტ—ანჯელოს („წმინდა ანგელოზის“) სახელწოდებით, რომ ეს ციხე მე—14, მე—15 საუკუნეებში გენუელი ვაჭრების ფაქტორია იყო. ეს მოსაზრება პირველად ცნობილმა არქეოლოგმა ი.ბართოლომეიმ გამოთქვა: სათანჯო—სატანჯველა ან ატანჯელა შეიძლება გენუელთა სიმაგრე სანტ—ანჯელო იყოო. ვ.ბრუნის ნაშრომის „ჩერნომორიეს“ დამოწმებით, მოხსენებულია ენგურის პირეთის კოლონია „სანტ—ანჯელო“. მწერალ ვ.ალფენიძის (ვლ.ალფენიძე, „ფიქრიანი გზები“) ცნობით, „იტალიურ ეროვნულ ენციკლოპედიაში და სხვა წყაროებში, იტალიელი მეცნიერის ჯიაკომო მუსოს, ფრანგი მეცნიერის დელორის შრომებში, მე—14 საუკუნის გენუის სავაჭრო ფაქტორებს შორის მოხსენებულია სანტ—ანჯელო, ჩვენი სათანჯო, რომელიც დღესაც გადაჰყურებს ლეგენდარული კოლხეთის უმშვენიერეს პეიზაჟებს, როგორც წარსულის ელჩი და მოწმე“. სათანჯო მოხსენებული აქვს ლამბერტისაც.

მე—20 საუკუნის დასაწყისში ისტორიკოსმა მ.ჯანაშვილმა სოფელ დიხაზურგაში ეკლესიის ნანგრევებთან იპოვა ქვა ქართული წარწერით: „ქ.გრიგოლს, კალატოზთ უხუცესს, შეუნდეს ამინ“. ნოდარ შონიამ ამ ათიოდე წლის წინათ დიხაზურგაში წმ. ბარბალეს ეკლესიის ნანგრევებთან ისევ იპოვა წარწერებიანი ქვა. იგი მე—12 საუკუნით დაათარიღეს.

სათანაჯოს სამხრეთ—აღმოსავლეთით, მდ.ენგურის ნაპირას დღესაც დგას სამსართულიანი კოშკი **ოცარცე**, არა უგვიანეს მე—16, მე—17 საუკუნეებისა. დიხაზურგაში ოცარცეს კოშკის ჩრდილოეთით, ერთ კილომეტრზე არის შემორჩენილი ციხე—სიმაგრის ნაშთი.

**ერის წყალი** — მდინარე, გამოდის ერთის მთიდან. **ერთიში წყარი—ერწყარი** — მდინარე, რომელსაც არიანე (II საუკუნე) **სინგამეს** უწოდებს, ლამბერტი—**ჰეტისწყარს**, ვახუშტი ბაგრატიონი — **დადისწყალს**, ა.ლეონიდი—**დადისს**.

**ენგური** — მდინარე გალისა და წალენჯიხას—ზუგდიდის რაიონებს შორის. მეგრულად მდინარეს ინგირი ეწოდებოდა. არიანე — **ხობოსს** უწოდებს. ზოგიერთი მკვალევარი მას მიიჩნევს ეგრისად.

**ილორი** — სოფელ ილორის ეკლესია ექვემდებარებოდა ბედიის ეპისკოპოსს. მე—18 საუკუნეში მუსულმანობის გაძლიერების გამო ბედიის კათედრა გაუქმდა. ილორი მთელს სამურზაყანოსთან ერთად დაექვემდებარა ცაიშის მიტროპოლიტს. 1834 წელს აფხაზეთის მთავარმა მოინდომა ილორის დაბრუნება, მაგრამ გენერალმა როზენმა შეახსენა მთავარს, რომ აფხაზეთის საზღვარი სამეგრელოსთან მდინარე ღალიძგაზე გადის. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ რუსულმა მმართველობამ ილორი მიაწერა კოდორის უბანს, რათა შესუსტებულიყო ქარ-[illegible] გარემო. ილორელებმა აღძრეს საკითხი, რომ ილორი დარჩენილიყო სამურზაყანოში, მაგრამ მათ თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს. ილორი დღემდე ოჩამჩირის რაიონშია. ილორის ეკლესია აგებულია მე—11 საუკუნის პირველ ნახევარში, არის იმდროინდელი ქართული წარწერა: „წმინდაო გიორგი, შეიწყალე გიორგი ქოჩოლვაჲი (მღვდელი)". ხატის წარწერაზე მოხსენებულია მეფე რუსუდანის ძე. „არს ილორს ეკლესია წმინდა გიორგისა, უგუმბათო, მცირე, მდიდარი" (ვახუშტი ბაგრატიონი).

**თაგილონი** — სოფელი ენგურის მარჯვენა მხარეზე. თაგილონში მდებარეობს წყაროებში მოხსენებული **წიფურია** (სეპია), **საბათარის** ციხე, **ათანგელოს** ციხე—სიმაგრე. ნაპოვნია ანტიკური

დროის „თაგილონის განძი“ (ოქროს ირმისთავი და სხვ.). ადგილობრივი გადმოცემით, ტოპონიმი თაგილონი მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან, თაქგინოლი—დან—თითქოს აქ გადავარდა ენგურზე კაცი. თაგილონში ენგურის პირას ბორცვზე არის რიყის ქვით ნაგები გალავანი, მის შიგნით კი—ორი ეკლესიის ნანგრევები. ამ ადგილს მოსახლეობა დღესაც წიფურიას ეძახის. XVII საუკუნეში წიფურია მნიშვნელოვანი საეკლესიო და სავაჭრო ცენტრი იყო. აქ, ლამბერტის ცნობით, ბაზრობებზე ზოგჯერ 20 ათასამდე კაცი იკრიბებოდა. წიფურიას შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართველი ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი წიგნში „ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის“ (1902). წიფურიას მისიონში დაგროვილი შთაბეჭდილებებით დაწერა ლამბერტმა „სამეგრელოს აღწერა“. წიფურიაში ორი ეკლესია ყოფილა—მეგრელებისა და მისიონერებისა. წიფურიას მისიონში მოღვაწეობდნენ: იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე მედიჩი მილანელი—ავტორი შესანიშნავი წიგნისა „წერილები საქართველოზე“, იტალიელი მისიონერი, მხატვარი და კარტოგრაფი ქრ.კასტელი, დონ მარი ჟოზეფ ძამპი, რომელიც წიფურიას მისიონის პრეფექტი იყო წლების მანძილზე.

„ამგვარად, მე—17 საუკუნეში წიფურიამ შექმნა ცივილიზაციის პატარა კოლხური კერა, იგი იყო საეკლესიო და სავაჭრო—ეკონომიური ცენტრი. აქ იწერებოდა საელჩო წერილები, ეპისტოლები რომის პაპთან, იყო წიგნსაცავი ბიბლიოთეკა, მხატვრობის კერა, ადგენდნენ რუკებს (ქრ.კასტელი). იყო სამედიცინო ცენტრიც — მკურნალობდნენ, მოითხოვდნენ ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვას. ერთ დროს აქ გადიოდა რომსა და კონსტანტინეპოლს მიმავალი გზები. ახლა საცალფეხო ბილიკებიც დაუფარავს დავიწყების ბალახს“ (ვლ.ალფენიძე, „ფიქრიანი გზები“, 1973). წიფურიას კულტურის კერად გადაქცევას ხელი შეუწყო მე—17 საუკუნის ცნობილმა მწიგნობარმა, საელჩო-მჭერმეტყველების დიდოსტატმა ნიკიფორე ირბახმა (ჩოლოყაშვილმა). შარდენს წიფურიასთან ერთად დასახელებული აქვს საბათარის ციხე—სიმაგრე. წიფურიას (სეპიას) ჩრდილოეთით ორ კილომე-

ტრზე არის ძველი ციხის ნანგრევები. დიუბუა დე მონპერეს აღნიშნული აქვს, რომ თაგილონთან, სადაც ენგური ორად იყოფა, 1832 წელს ააგეს ანთანგელოს ციხე. ციხის ნაშთები ამჟამად უცნობია, ენგურმა წალეკა. ბორცვის ძირას, სადაც წიფურიას ეკლესიების ნანგრევებია, არის წყარო, ჩვენთვის უჩვეულო სახელწოდებით — ერგუჯარუ.

**ლეკუხონა** — სოფელი ენგურის პირას. ტოპონიმი ქართულია: ლეკუხა, მეგრულად ხის ჯიშია. ამ სოფელში შემორჩენილია გვიანი შუასაუკუნეების ეკლესია.

**მზიური** — (ყოფილი ცხირო—გალი) მდ. ყოჯელის შენაკად კიცის — ღალის მიდამოებში ნაპოვნია კერამიკის ნამსხვრევები. სხვა სიძველეები არ არის, არც ისტორიულ წყაროებშია მოხსენიებული.

**ცხირი** — ვფიქრობთ, რომ მეგრული ტოპონიმია — ცხირუა; ოჩამჩირის რაიონში არის სოფელი ცხირიში.

**მუხური** — სოფელი. ქართული ტოპონიმია. ნიშნავს კუთხეს, უბანს. „მუხური სოფელი აზნაურების შვილებითა" მოხსენებულია „ბიჭვინთის იადგარში" (1525—1550 წლები), აგრეთვე „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში" სუბეიშთან ერთად. შემორჩენილია შუა საუკუნეების კოშკის ნანგრევები.

**ნაბაკევი** — სოფელი ენგურის პირას. ლამბერტის რუკაზე სოფელს ნაბაკტი ეწოდება. ლამბერტი ნაბაკევში სოფელ **გაბარს** — **გადარს** უწოდებს. ენგურის პირას სოფელს, სადაც იყო შარვაშიძეთა სასახლე, **ბარბარა** ეწოდებოდა, ამჟამად **ხურჩა** ეწოდება. ნაბაკევი ქართული ტოპონიმია და მეგრულად დატკეპნილს ნიშნავს. აფხაზები ნაბაკევს—**აბაყას** (ძეგლს) უკავშირებენ, რაც არ არის სწორი. სოფელს რომ ნაბაკევი ერქვა, მაშინ აქ აფხაზები არ იყვნენ.

**ოტობაია**—სოფელი. ტობა—მეგრულად ტბა. ოტობაია—სატბე. შესაძლებელია ადრე აქ მცირე ზომის ტბები იყო.

მე—17 საუკუნეში ოტობაიას **ნაჟანეული** ეწოდებოდა; ცნობილია ნაჟანევის, ნაჟანეოს სახელწოდებითაც; მოხსენებულია „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში და სხვა

ქართულ წყაროებში. მე—16 საუკუნის პირველი ნახევრისაა „ნაჟანეულის გამოსავლის ნუსხა“. ერთ—ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნაჟანეულის და, საერთოდ, ამ მხარის ყმებს ყიდდა პირველი მფლობელი ყვაპუ შარვაშიძე და რომ მფლობელის ამ მოქმედებას წინ აღუდგა კათალიკოსი დავით ნემსაძე. დოკუმენტებში მოხსენებულია მე—17 საუკუნეში ნაჟანეულში მცხოვრებთა გვარები. ოტობაიაში ნაპოვნია ნაკაწრებიანი ფილაქვა, რომელზედაც მხარეთმცოდნის ნ.შონიას აზრით, მდინარე გაგიდას ქვემო წელია გამოსახული.

**ოქუმი** — მდინარე და სოფელი. სახელწოდება დაკავშირებულია მცენარის სახელთან. ოქუმ—მეგრულად სასელეს ნიშნავს. სოფელი და მდინარე პირველად მოხსენებული აქვს არქ. ლამბერტს, შემდეგ რეინეგსს, ნ.დადიანს. 1808 წელს აქ შედგა წებელდელი თავადების მარშანიებისა და სამეგრელოს მთავრის წარმომადგენელთა შეხვედრა. 1840—1906 წლებში ოქუმი იყო სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრი. შემორჩენილია შუა საუკუნეების კოშკი. სამურზაყანოს ცენტრი თუ რამდენად უცხო იყო ხალხისათვის, ჩანს მღვდელ ეფრემ ცხაკაიას მიერ ოქუმში ჩაწერილი ერთი ლექსიდან:

ჩქინი „ნაჩალნიკი“ ნალამკუ* ჩვენი უფროსი ნალამკუ
ოშმეში ნოჩე ძალამი ტკუ, ულვაშებბ ჰქონია კაი ერთი მტკაველი,
მუქ დინახლე მინილ დო, თვითონ შიგნით შევიდა,
მა გალე ქალამტუ. მე კი გარეთ დამტოვა.

ასე ჩივის სათხოვარზე მისული გლეხი, უფროსმა რომ აივანზე დატოვა.

**ოხურეი**—ამჟამად სოფელი ოჩამჩირის რაიონში. წინათ **ხოირი** ეწოდებოდა და სამურზაყანოში შედიოდა.

**რეფო—შეშელეთი** — სოფელი. ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია შიაშელეთი. შემორჩენილია შუა საუკუნის ეკლესიის ნა-

---

* ნალამკუ ვინმე რუმინელი ყოფილა

შთი. რეფში მიუთითებენ ნაქალაქარი **ხუმენის** არსებობას. არქეოლოგიური გათხრები ყველაფერს გაარკვევს. შეშელეთში აკადემიკოს ილია ვეკუას მუზეუმი აფხაზმა სეპარატისტებმა გაძარცვეს და დაანგრიეს.

**რეჩხო—ცხირი** — სოფელი, ქართული ტოპონიმია. ნაპოვნია პალეოლითის და ნეოლითის იარაღები, სიძველეებიდან შემორჩენილია დღემდე მოღწეული **წკელიკარის** ეკლესიის ნანგრევები. სოფელ რეჩხში, სათანჯოს მთის ჩრდილო—დასავლეთით შემორჩენილია X საუკუნის ძეგლი—წკელიკარის ეკლესია. ქვის ერთ—ერთ შემორჩენილ ლოდზე წარწერიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეებში ეკლესიას ეწოდებოდა **წყევლის კარი**. ამჟამად ხალხი ეკლესიას **წკნელის კარს** (მეგრულად წკელიკარს) ეძახის... წყევლის კარი თუ წკნელისკარი—ორივე ქართული ტოპონიმია. აფხაზი ენათმეცნიერი კ.შაკრილი, სახელწოდებას აფხაზურად მიიჩნევს და **აცკარს** უწოდებს. მე—12—14 საუკუნეებში ეკლესიისათვის მიუშენებიათ ეკვედრები. შემორჩენილია კედლების ფრაგმენტები. მხატვრობა მე—11 და მე—14 საუკუნეებისა. შემორჩენილია ქართულ ასომთავრული (მე—11 საუკუნე) და მხედრული (მე—17 საუკუნე) წარწერები. წარწერებში მოხსენებულია თავადი ფაღავა.

**საბერიო** — სოფელი. ვარაუდობენ, რომ ტოპონიმი იქ მოსახლე ბერიებთან არის დაკავშირებული. ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი წერს საბერიოელ ჩქოტუაზე: „ამათგან მოხსენიების ღირსია ამ პროვინციის ზოგიერთი შესანიშნავი ბატონი, ჩვენი დიდი კეთილისმყოფელი როსტომ ჩქოტუა“. საბერიოში დღემდე მოაღწია მეტნაკლებად დაცულმა შარვაშიძეთა და ჩქოტუათა ეკლესიებმა.

**სიდა**—სოფელი, მდინარე. არქ.ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია **სუდდას** სახელწოდებით. აქვე აღნიშნულია პუნქტი **ხვითი**. ასეთი პუნქტები ამჟამად არ არსებობს, არის ღელე ხვითი.

**ფიჩორი** — ზღვისპირა სოფელი. ტოპონიმი ქართულია. ასეთი ტოპონიმი ცნობილია ფოთთანაც. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ბრინჯაოს ხანის იარაღები.

**ღუმურიში** — სოფელი. ქართული ტოპონიმია. ღუმუ—ღომი და ურიში—სამეგრელოში გავრცელებული ხორბლის კულტურაა. მხარეთმცოდნე ნ.შონიამ 1953 წელს ღუმურიშში ძველ ნაეკლესიართან ახლოს აღმოაჩინა წარწერებიანი ქვა, სადაც მოხსენებულია ეკლესიის მშენებელი საგდუხტ დედოფალი:

„სა... სამშენებელი დ
ე(დ)ოფალთ დედოფალი
საგდუხტ ნიანის ას
ასული. ამინ“.

ღუმურიშის წარწერის ტექსტი ამოიკითხა და X-XI საუკუნეებით დაათარიღა თ.ბარნაველმა. ძეგლი ამჟამად დაცულია სოხუმის მუზეუმში. ღუმერიშში კირილის მთაზე აღმოჩენილია შუა საუკუნეების გრანდიოზული ციხე—სიმაგრის საძირკვლისა და კედლების ნაშთები, მთის სამხრეთ ფერდობზე ანტიკური ხანის სამარხის ნაშთები, კერამიკის ნაწარმი.

**ჩხორთოლი** — სოფელი. აქ სვეტისებრ ბორცვზე აღმართულია ცხრათვალა ციხესიმაგრე ჩხოროთოლი. სოფელში არის მეორე სიმაგრე ჯიხუ. ქვედა კოშკი დანგრეულია, ზედა უფრო დიდია და უკეთ დაცული. ქართულ წყაროებში მოხსენებულია მე—17 საუკუნიდან. ნაპოვნია ბრინჯაოს ხანის ძეგლი.

შუა საუკუნეების კულტურის ძეგლებით განსაკუთრებით ცნობილია სოფელი **წარჩე**. ლამბერტი მდინარე წარჩეს ტარსურას უწოდებს. ცნობილია წარჩის მთავარანგელოზის ხატი მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები (მოოქროვილი ვერცხლი, XVII საუკუნე).

წარჩეში ნაპოვნია ქვის ფილა ქართული წარწერით: „ეს წმინდა მთა ეკუთვნის პაშაძეს“. პაშაძე უცნობია საქართველოს ისტორიისათვის. წარწერა თარიღდება მე—12 – მე—13 საუკუნეებით.

ეკლესია **მაფაში ოხვამე** ამჟამად დანგრეულია. ყოფილა დარბაზის ტიპისა, იქვე ახლოს მეორე უფრო პატარა ეკლესია უკეთაა დაცული. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია მრავალი მოხატულობანი (XV საუკუნე). „ფიჭერისთეს“ ეკლესია შუა საუკუნ-

ეებით თარიღდება. იქვე ახლოს არის შუა საუკუნეებიდან ცნობილი წყარო „ბერეფიში წყურგილი“. წარჩეში გვაქვს ყველაზე მეტად შუა საუკუნეების ციხე—სიმაგრეები, კოშკები. სოფელ ჭუბურხინჯში შემორჩენილია ოთხკუთხედის ფორმის კოშკების ნანგრევები. სოფლის ერთ უბანს ნალიმა ეწოდება, რაც მეგრულად ნაომარს ნიშნავს. არქ.ლამბერტის რუკაზე ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე აღნიშნულია სოფელი გენათი. ქრ.კასტელი წერს: „გენათი ისეთი სოფელთაგანია, სადაც ბევრ ღვინოს აყენებენ... ჩვენი რეზიდენციის სეპიასაგან ოთხ მილზე მეტადაა დაცილებული, ხშირად მივდივარ ამ მხარეში სამკურნალოდ და ბავშვების მოსანათლად“. სურათზეა გენათის ხედი. გენათი ამჟამად ცნობილი არ არის. ოუგარია. კასტელი წერს: „წიფურიას ცოტა ზემოთ ოუგარიაში ჩვენები ეკლესიას რთავდნენ, რომელიც დადიანმა გადმოგვცა,სადაც ჩვენი ოჯახი შეჩერდა“. პუნქტი ოუგარია ამჟამად უცნობია, შეიძლება ეს იყოს ჭუბურხინჯში აქირთავების ეკლესია ენგურის პირას. ბაბაშიას ღალზე (ღელეზე) გადებული ყოფილა წაბლის ხიდი, ამიტომ დარქმევია სოფელს ჭუბურხინჯი.

გალის რაიონის, ასევე აფხაზეთის სხვა რაიონების გეოგრაფიული სახელწოდებანი აღნიშნულია შავი ზღვისპირეთის რუკებზე, მოხსენიებულია სხვადასხვა დოკუმენტებში (იხ. Джемал Гамахария, Бадри Гогиа. Абхазия - Историческая Область Грузии. Тбилиси, 1997г., გვ.309-311, 349-350, 369-372, 377-382, 678-679, 820-842, 848-849 და სხვა). ვენეციურ რუკაზე (XIIს.) მითითებულია ენგური, კორენ—ბედია—გურბედია, მე—18 საუკუნიდან — აგუზედია.

პეტრუს ვესკონტეს შავი ზღვის რუკაზე (1318 წ.) აღნიშნულია ენგური, კორენბედია—ცენტრალური ბედია, გურბედია, აგუბედია. ენგური და ბედიაა აღნიშნული ძმების პიციგანების (1367 წელი), სოლერის (1385 წელი), დიეგო ომემის (1559 წელი) რუკებზე.

# შინაარსი

**წინასიტყვაობის მაგიერ** ---------- 5
**I. ბუნება** ---------- 8
აფხაზეთის ბუნებაც ქართულია ---------- 8
შავი ზღვა ---------- 16
აქ ყველაფერი მომხიბვლელია ---------- 19
მიწისქვეშა საოცრებანი ---------- 22
მდინარეები და ტბები ---------- 25

**II. ისტორია** ---------- 36
კაჟიცა და ოქროც (არქეოლოგიური მონაპოვარნი) ---------- 36
აფხაზეთის ძველისძველი ბინადარნი ---------- 41
ჩვენი მიწა ---------- 45
მხოლოდ სიცრუე და სიყალბე ---------- 49
ჟამი მეგობრობისა და ჟამი მტრობისა ---------- 56
არსებობდა თუ არა აფხაზთა სახელმწიფო ---------- 61
აფხაზები და აფსუები „ქართლის ცხოვრებაში“ ---------- 68
ქართული კულტურის ძეგლები აფხაზეთში ---------- 75
ქართული წარწერები ---------- 84
1.გალის რაიონი ---------- 84
2.ოჩამჩირის რაიონი ---------- 85
3.სოხუმის რაიონი ---------- 86
4. გუდაუთის რაიონი ---------- 86
გვარები აფხაზეთში ---------- 88
გამქრალი გვარები ---------- 93
გაგრის ძველი სახელწოდებანი ---------- 97
გალი ---------- 99
მოგონების ერთი ფურცელი ---------- 103

**III. აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის** -- 106
გაგრა ---------- 106
გუდაუთის რაიონი ---------- 110
ქალაქი სოხუმი და სოხუმის რაიონი ---------- 115
გულრიფშის რაიონი ---------- 120
ოჩამჩირის რაიონი ---------- 124
გალის რაიონი ---------- 132

კორექტორები: თეანა ზაქარაია
მაია ფარულავა

კომპიუტერული დამუშავება: მაია გორგიაშვილი
ირმა პაპავა

**წიგნი გამოიცა ავტორის ხარჯით**

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 900
შეკვეთა№

აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „ზანის
კომპიუტერულ ცენტრში
ქ.თბილისი, ტაშკენტის №25
დაისტამბა სააქციო საზოგადოება „ფარნავაზში“
გრ. რობაქიძის №7